# ბიულეტენი

№ 59
2001
სექტემბერი

საქართველოს
სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი

ISSN 1512-0813


- ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი
- საქართველოს შიდა კონფლიქტურ რაიონებში მიმდინარე პროცესები
- ნეიტრალიტეტი – მესამე ალტერნატივა?


FRIEDRICH EBERT STIFTUNG



C 02 - 00953

© საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

© FRIEDRICH EBERT STIFTUNG

# საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

გელა კვაშილავა

**ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი** .......... 3

ირაკლი ნინუა

**საქართველოს შიდა კონფლიქტურ რაიონებში მიმდინარე პროცესები** .......... 15

ნუგზარ ღურმიშიძე

**ნეიტრალიტეტი - მესამე ალტერნატივა?** .......... 41

**„Aspekte der Informationssicherung. Aktuelle Prozesse der Innenkonflikte Georgiens. Neutralität als die dritte Alternative?"**

***Bull. Nr. 59; September 2001***

| | |
|---|---|
| **Auflage:** | 1000 |
| **Verfasser:** | Zentrum f. Strategische Studien und Entwicklung Georgiens |
| **Seitenzahl:** | 50 |
| **Sprache:** | Georgisch |
| **Originaltitel:** | `inpormaziuli usaprtchoebis usrunvelkopis sogierti aspeqti. saqartvelos schoda konpliktur raionebschi mimdinare prozesebi. Neitraliteti – mesame alternativa?' |

თბილისი

C 02 - 00953

# ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი

■ გელა კვაშილავა

მიმდინარე ასწლეული მსოფლიო საზოგადოების ინფორმატიზაციის საუკუნე იქნება. უკანასკნელი წლების განმავლობაში მსოფლიოში მიმდინარე კარდინალური სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული გარდაქმნები, რომლებსაც თან ერთვის ქვეყნების ინფორმატიზაციის პროცესი, შეიძლება დახასიათდეს როგორც "ინფორმაციული საზოგადოების" ჩამოყალიბების მცდელობა. საუბარია გლობალური ინფორმაციული ინდუსტრიის შექმნაზე. მთელი მსოფლიო განიცდის ტექნოლოგიური კონვერგენციის, ორგანიზაციების შერწყმის, კანონმდებლობის ლიბერალიზაციის, ინფორმაციული ინდუსტრიის განვითარების, დასაქმების სფეროში სტრუქტურული ცვლილებების პროცესს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საზოგადოების განვითარება ნებისმიერ ისტორიულ ეტაპზე შეუძლებელი იყო ცოდნის დაფიქსირების, გადაცემის საშუალებების შექმნის გარეშე. ჩვენამდე მოაღწია მესოპოტამიის თიხის ფილებმა, რომლებიც ინფორმაციის გადაცემის უძველეს საშუალებას წარმოადგენდნენ. შემდგომი ეტაპი, ახალი ფორმა, ხერხი ინფორმაციის დაფიქსირების და გადაცემის პაპირუსის ქაღალდი გახდა. იგი დაგროვილი გამოცდილების, ცოდნის უფრო დიდი მოცულობის დაფიქსირების საშუალებას იძლეოდა. ძვ. წელ. აღ. III საუკუნიდან იწყება პერგამენტის დამზადება. კაცობრიობის ისტორიაში პირველად ორმხრივი დაწერის საშუალება გაჩნდა, რამაც განაპირობა წიგნის თანამედროვე ფორმაზე გადასვლა. პირველი ინფორმაციული რევოლუცია, მეცნიერების აზრით, ჩინეთში მოხდა, სადაც II საუკუნეში გამოიგონეს ქაღალდი. მის საბოლოო დამკვიდრებას 600 წელზე მეტი დასჭირდა და მხოლოდ VIII საუკუნიდან ქაღალდი შემოვიდა მასიურ მოხმარებაში.ქაღალდი, როგრც ინფორმაციის გადაცემის ყველაზე მოსახერხებელი საშუალება ევროპაში XII საუკუნეში გამოჩნდა. იგი არაბული დაპყრობების დროს ესპანეთში შემოიტანეს. როგორც ესპანელი მეცნიერი კასტელსი თვლის, ამ პროცესში გადამწყვეტი როლი სახელმწიფოს ინსტიტუტის შემოღებამ ითამაშა. სახელმწიფო საქმეთა წარმოებისთვის აუცილებელი გახდა ინფორმაციის ცირკულაციის, შენახვის, გადაცემის საშუალებათა დახვეწა.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად იხვეწებოდა ინფორმაციის წარმოებისა და გავრცელების საშუალებები, რასაც ტექნოლოგიური სიახლეების: რადიოს, ტელეგრაფის, ბეჭდვის, აუდიო და ვიდეო ჩანერის, კომპიუტერის და სხვა ინფორმაციული სისტემების შექმნა მოჰყვა. საზოგადოებაში ტერმინი ინფორმაციული ტექნოლოგია (informatio tecnology/IT) შემოვიდა. ის წარმოადგენს საერთო ტერმინს, რომელიც ყველა მანქანური, კომუნიკაციური ტექნოლოგიების მიმართ გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიების ყველაზე გავრცელებული ფორმაა წარმოების ავტომატიზაცია. როგორც ინგლისელი მეცნიერი ლენკი ამბობს: აღნიშნული ტექნოლოგია ინფორმაციის ნაკადს აწესრიგებს და მის ეფექტურობას, დემოკრატიზაციას უწყობს ხელს. **მეცნიერის აზრით ინფორმაციული ტექნოლოგია პირველად** 1943 წელს დიდ ბრიტანეთში წარმოიშვა, სადაც გამომთვლელი მანქანა "Colossus" შეიქმნა.

ომის დროს მანქანას გერმანელთა შიფრები უნდა გაეშიფრა. 40-იანი წლების დასასრულს აღნიშნულ მანქანებს ბუღალტრული ოპერაციების შესასრულებლად იყენებდნენ. პირველ ეტაპზე ტექნოლოგია შეზღუდული იყო რუტინული ოპერაციების შესრულებით. 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან მსოფლიოში უფრო სრულყოფილი ინფორმაციული ტექნოლოგიები გამოჩნდა. მათ ტექსტებისა და მონაცემთა ბაზის ანალიზის სტანდარტული პროგრამები დაემატა. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება, ძირითადად, საწარმოო, სამეცნიერო და სამხედრო მოთხოვნებით იყო განპირობებული. ცივი ომის პერიოდში ამერიკის სამხედრო დაწესებულებებმა ინფორმაციის სწრაფად გაცვლის მიზნით ინტერნეტის სისტემა შემოიღეს. 80-იანი წლებიდან ინფორმაციული ტექნოლოგიები საყოფაცხოვრებო სფეროშიც ფართოდ შემოვიდა. ინფორმაციული ინდუსტრიის შემდგომ ნაბიჯს ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების ინტეგრაცია წარმოადგენდა. 90-იანი წლების შემდეგ ტერმინი ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების გაყოფა თანდათანობით ადგილს უთმობს ერთიანი კომუნიკაციური ტექნოლოგიების ტერმინს.

ადამიანის მიერ XX საუკუნეში გაკეთებულმა აღმოჩენებმა: ბირთვული იარაღის გამოგონება, კოსმოსში გაფრენამ, რევოლუციური ზემოქმედება მოახდინა საზოგადოების განვითარების შემგომ ბედზე. მაგრამ, ადამიანის გონის ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი მიღწევა უკანა პლანზე გადაწია სამეურნეო საქმიანობის სფეროში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის შემოღებამ. როგორც ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ლ. ტუროუ თავის ბოლო წიგნში ამბობს: ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა სამეურნეო საქმიანობის პროგრესის მესამე სტადიის განხორციელებას წარმოადგენს. მისი აზრით ბოლო 2-3 ასწლეულის განმავლობაში სამ სამრეწველო რევოლუციას ჰქონდა ადგილი. პირველი XVIII საუკუნის დასასრულს და XIX საუკუნის დასაწყისში მოხდა, როცა აგრარული სისტემის დომინირებას მოეღო ბოლო. მისი მთავარი მიღწევა ორთქლის ენერგიისა და მანქანური

წარმოების გამოყენება იყო. მეორე კი - ელექტროენერგიის ათვისებით, ტექნოლოგიური სიახლეების სისტემატიზაციით და მართვის პროცესების მოწესრიგებით აღინიშნა. ეს პროცესი XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო. ტუროუს აზრით, მესამე რევოლუციას, რომელიც გამოწვეულია მიკროელექტრონიკისა და კომპიუტერული ტექნიკის სწრაფი განვითარებით, ახლა ეყრება საფუძველი. თანამედროვე ტრანსფორმაციას ტუროუ ინფორმაციულ რევოლუციაზე მეტად მიიჩნევს და ყურადღებას მის სივრცობრივ-რაოდენობრივ პარამეტრებზე ამახვილებს. ის წერს: ,,მესამე სამრეწველო რევოლუცია ნაციონალური სამეურნეო სისტემებიდან გლობალურ ეკონომიკაზე გადასვლით აღინიშნება, მაშინ როცა მეორე სამრეწველო სისტემა ლოკალურიდან ნაციონალურ სამეურნეო სისტემაზე გადასვლას გულისხმობდა". ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ პირველი სამრეწველო რევოლუციის დროს განმსაზღვრელი ადგილი წარმოების კონცენტრაციას და მობილიზაციას ეკავა, მეორე სტადიისას არსებული ტექნოლოგიების კოპირების ტენდენცია სჭარბობდა. დღევანდელი პირობები აქტიურ დამოუკიდებელ განვითარებას გულისხმობს, როდესაც გავრცელებადი, გამრავლებადი ცოდნა ეკონომიკური განვითარების დეტერმინანტი ხდება. ავტორის აზრით ცოდნა სიმდიდრის ახალი წყარო გახდა, რასაც კაცობრიობის ისტორიის ადრეულ პერიოდებში არასდროს ადგილი არ ჰქონია. ყოველივე ამან სოციალური ორგანიზაციის ფორმებიც შეცვალა და ადამიანისათვის უთანასწორობისა და ჩაგვრის ახალი ფორმების შექმნა გამოიწვია. ადრე, როცა ადამიანები ლაპარაკობდნენ თავიანთ სიმდიდრეზე, მხედველობაში მიწა, ქარხნები, დანადგარები, ბუნებრივი რესურსები ჰქონდათ.

მომავალში ისინი სიმდიდრეზე საუბრისას ცოდნის კონტროლის შესაძლებლობას იგულისხმებენ. შეიცვლება ბიზნესის შეფასების კრიტერიუმები, ენაც. ტუროუ მიიჩნევს, რომ ცოდნის მფლობელი ადამიანების დამონება შეუძლებელია და XXI საუკუნის მთავარი საჭირბოროტო კითხვა იქნება, თუ როგორ დაეუფლება ადამიანი ცოდნას. აქ ჩვენ ვეთანხმებით ავტორს, მაგრამ თავს უფლებას მივცემთ და პრობლემათა სპექტრს გავაფართოებთ. ჩვენ უშვებთ ალბათობას, რომ ცოდნის მფლობელი ადამიანის კონტროლი გარკვეულ მომენტებში შესაძლებელია. მთავარ შეკითხვას, თუ როგორ დაეუფლება ადამიანი ცოდნას, შესაძლებელია დაუმატოთ თუ ვის შეუძლია დაუფლება და რა მიზნით? ჩვენი აზრით, წმინდა ეკონომიკურ ინტერესთან ერთად რეალურია საშიშროება ცოდნის კონტროლი მოხდეს პოლიტიკური, კულტურული და სხვა მიზნებით. დინამიური და განვითარებული ეკონომიკის არსებობა ადამიანის საქმიანობის ფუნდამენტურ მიზნებს ეკუთვნის. მაგრამ, როგორც იაპონელი წარმოშობის ამერიკელი მეცნიერი ფრენსის ფუკუიამა თავის წიგნში "ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი" ამბობს: ადამიანის ცხოვრება შეიძლება ორი დიდი ძალის ურთიერთმოქმედებით ავხსნათ. პირველია *ადამიანის გონივრული სურვილი*, რომლითაც ადამიანები თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მატერიალური სიმდიდრის დაგროვების გზით ცდილობენ. მეორე, ისტორიული პროცესის არაკანლებ მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა, ის რასაც ჰეგელი *"აღიარებისათვის ბრძოლას"* უწოდებდა. დიდი გერმანელი ფილოსოფოსი თვლიდა, რომ ყველა ადამიანის მისწრაფებაა, რომ მისი არსებობა, როგორც თავისუფალი და ზნეობრივი ადამიანისა, სხვა ადამიანების მიერ აღიარებულ იქნას. გონიერი სურვილი მეტ-ნაკლებად შეესაბამება ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიას, მატერიალური რესურსების უსასრულო დაგროვების პროცესს, რათა მუდმივად მზარდი მოთხოვნები იქნას დაკმაყოფილებული. აღიარებისკენ სწრაფვას მატერიალური მიზნები არ გააჩნია და ის სხვა ადამიანის შეგნებაში სამართლიანი შეფასების მოპოვებას ცდილობს. ყველა ადამიანი თვლის, რომ გააჩნია გარკვეული თანდაყოლილი ფასეულობა და ღირსება. თუ ეს ფასეულობა სათანადო შეფასებას არ ღებულობს გარედან, ის განიცდის გულისწყრომას, მრისხანებას. იმ შემთხვევაში, როცა შეფასებას არ ამართლებს, მას რცხვენია. სიამაყეს განიცდის, როცა ადამიანი ღირსეულად ფასდება. აღიარებისკენ მისწრაფება ადამიანის ფსიქიკის ძლიერი ელემენტია. ისეთი გრძნობები როგორიცაა - გულისწყრომა, სიამაყე, სირცხვილი პოლიტიკური ვნებების საფუძველს წარმოადგენს. ისინი პოლიტიკური ცხოვრების პროცესების მოტივაციას ქმნიან. მისი გამოვლინებები ცხოვრების ყველა სფეროში გვხდება. სამსახურში, ფემინისტური, ეკოლოგიური, ეროვნული და სხვა მრავალი პოლიტიკური პროცესების კატალიზატორი აღიარებისათვის ბრძოლაა. უკანასკნელი მაგალითიც ამის ნათელი დადასტურებაა. კერძოდ, ჰააგაში იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტის მილოშევიჩის ექსტრადირება მოხდა. მას უამრავი ბრალდებები წაეყენა, რაც კარგად ესმის იუგოსლავიის მოქალაქეების უმრავლესობას. იმავე დროს სტრასბურგში იმართებოდა დონორ ქვეყანათა შეხვედრა, სადაც იუგოსლავიისთვის მილიარდობით დოლარი გრანტის გამოყოფაზე მსჯელობდნენ. ყოველივეს მიუხედავად, მის დასაცავად უამრავი მოქალაქე გამოვიდა ბელგრადის ქუჩებში. ამ შემთხვევაში სერბებმა თავი იგრძნეს შეურაცხყოფილად. ჯერ კიდევ ადამ სმიტი თავის წიგნში "ზნეობრივი გრძნობების თეორია" ამბობდა: ჩვენ პატივმოყვარეობა, სახელი გვაინტერესებს და არა უჭირველი ცხოვრება და კმაყოფილება. ჩვენ ვიზიარებთ ფრენსის ფუკუამას იმ მოსაზრებას ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის საფუძველს მატერიალური სიმდიდრის დაგროვებასთან ერთად, მისი აღიარებისკენ სწრაფვა წარმოადგენს. **გაიზარდა რა ცოდნაზე კონტროლის** ეკონომიკური, პოლიტიკური ბერკეტები სავსებით რეალური ხდება ქვეყნის წინაშე სხვადასხვა ხასიათის პრობლემების წამოჭრა. სხვადასხვა მიზნებით ინფორმაციით მანიპულირების საშიშროებამ ქვეყნების წინაშე ინფორმაციული უსაფრთხოების ცნების განმარტების აუცილებლობა დასვა. ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოში მიმდინარე ინფორმატიზაციის ფონზე ჯერ კიდევ 70-იან წლებში მთელი სიმწვავით დადგა ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემა. ტერმინი ინფორმაციული უსაფრთხოება (information security) პირველად ახალი ინფორმაციული წესრიგის მომხრეთა გამოსვლებში იქნა გამოყენებული. ქვეყნების ნაწილი ინფორმაციული იმპერიალიზმის პოლიტიკის გატარების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ახალი ინფორმაციული და კომუნიკაციური წესრიგის კონცეფცია (New international information and communication order) წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ კონცეფციას, რომელიც ეხებოდა ინფორმაციული უსაფრთხოების ტერმინის განმარტებას. ეს საერთაშორისო ხასიათის კონცეფცია მიუმხრობელი ქვეყნების ლიდერებმა 70-იანი წლებში წამოაყენეს. ელექტრონულ-ინფორმაციული რევოლუციის დასაწყისშივე შესამჩნევი გახდა ინფორმაციის გაცვლის დისბალანსი განვითარებულ და განუვითარებელ





ქვეყნებს შორის. ამ ინიციატივის ფართო განხილვა 1976 წელს ქ. ნაირობიში მოეწყო. შეიქმნა ავტორიტეტული კომისია და მას ხელმძღვანელად ცნობილი ირლანდიელი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე შონ მაკბრაიდი (MacBraide commision) დაინიშნა. კომისიამ 1980 წელს იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე ქ. ბელგრადში გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომლის ძირითადი თეზისები შემდეგი გახლდათ:

1. ეროვნული კულტურული ტრადიციების შენარჩუნება;

2. ადამიანების თანასწორობისა და ღირსების პრინციპების პატივისცემა;

3. ნებისმიერი სახელმწიფოსთვის კომუნიკაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება;

4. მულტინაციონალური კორპორაციების მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვა, თუ ეს ეწინააღმდეგება ადამიანების და ხალხების არსებობის ფუნდამენტურ პრინციპებს;

5. ინფორმაციისადმი როგორც სოციალური, კულტურის პროდუქტისადმი დამოკიდებულება, სანაცვლოდ მატერიალური, ვაჭრობის საგნისა;

6. კონცეფციის ავტორები ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ კომუნიკაციებს მთელი კაცობრიობის საკუთრებად მიიჩნევდნენ.

ამ კონცეფციას დაუპირისპირდა დასვლეთის განვითარებული ქვეყნები, რომლებიც ინფორმაციულ ტექნოლოგიებს კომერციული ჭრილიდან განიხილავდნენ. დასავლეთის ლიდერები განუვითარებელ ქვეყნებს თავიანთი მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებისკენ, შესაბამისი საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, სააგენტოების, ინფორმაციის გადაცემის საშუალებების წარმოებისკენ მოუწოდებდნენ. მათი მთავარი მოთხოვნა ინფორმაციული პროდუქტის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის პრინციპის ხელუხლებელი დაცვა იყო. 80-იანი წლების დასაწყისში განუვითარებელ ქვეყნებში და საერთოდ მსოფლიოში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ქვეყნებს შორის სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში ბზარები გაჩნდა და პრობლემამ სიმწვავე დაკარგა. თუ 70-იანი წლების დასაწყისში ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნა "ზემოდან" (ხელისუფლებიდან) მოდიოდა, ცივი ომის დამთავრების შემდეგ საპირისპირო ტენდეცია გაჩნდა. ინიციატივებმა "ქვემოდან" დაიწყო წამოსვლა. 1990 წელს ქ. ლიმაში სამხრეთ ამერიკის ქვეყნების წარმომადგენელები შეიკრიბნენ, სადაც ინფორმაციული უსაფრთხოების ახალი კონცეფცია მიიღეს. კონცეფციის ძირითადი თეზისები გახლდათ:

1. საზოგადოებრივი, არასამთავრობო, კერძო ორგანიზაციების ინფორმატიზაციის პროცესში აქტიური ჩართვა;

2. მულტიპოლარული სამყაროში ინფორმაციის თავისუფალი წარმოების, გაცვლის და მოხმარების პრინციპების დამკვიდრება.

ინფორმაციული უსაფრთხოება მხოლოდ კომპიუტერულ უსაფრთხოებას არ გულისხმობს, და იგი კომპიუტერიზაციის ცნებამდე არ დაიყვანება. ინფორმატიზაცია მოიცავს, სოციალურ-ეკონომიკური, ორგანიზაციულ-სამართლებრივი, პოლიტიკური უზრუნველყოფის და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მრავალ სფეროში მიმდინარე პროცესებს. მიღებულია ინფორმატიზაციის რამდენიმე განმარტება. რუსი მეცნიერის კ. კოლინის აზრით ინფორმატიზაცია ეს არის ორგანიზაციული სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პროცესი, როდესაც ინფორმაციული რესურსების ფორმირებისა და გამოყენების საფუძვლეზ ხდება საზოგადობის ინფორმაციული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნა. ჩვენთვის უფრო მისაღებია ინფორმატიზაციის შემდეგი განმარტება, ეს არის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანური საქმიანობის ყველა საზოგადოდ მნიშვნელოვან სახეობებში, უტყუარი, ამო ამომწურავი და დროული ცოდნის სრულ გამოყენებას. კომპიუტერული უსაფრთხოება მოწყობილობების და ქსელების საბოტაჟისგან, წინასწარგანზრახული, უნებური ზემოქმედებებისგან დაცვას გულისხმობს. როგორც თეოდორ ნ.ცირდა განმარტავს: **ინფორმაციული უსაფრთხოება, მოიცავს რა კომპიტერულ უსაფრთხოებას როგორც აუცილებელ შემადგენელ ელემენტს, ვრცელდება ყველა სოციალურ პროცესებზე, რომლებშიც ინფორმაცია ფუნქციონირებს და ინფორმატიკა გამოიყენება. ეს სოციალური სისტემის, ცივილიზაციის თვისებაა, რომ მოახდინოს ინფორმაციული პროცესების და საზოგადოების ინფორმატიზაციის ისეთი განვითარება, რომელიც მისი გადარჩენისა და შემდგომი პროგრესის ინფორმაციულ პირობებს უზრუნველყოფს.** როგორც განმარტებიდან ჩანს ინფორმაციული უსაფრთხოება სოციალური ორგანიზმის, ცივილიზაციის ინფორმაციული სფეროს ყველა მოვლენაზე ვრცელდება. იგი პირადაპირ ან ირიბად საზოგადოებრივი სისტემის ოპტიმალურ განვითარებაზე მუშაობს, ქმნის რა მისი გადარჩენისა და თანმიმდევრობითი პროგრესის პირობებს. ინფორმატიაზიის პროცესის დროს კომპიუტერების კომუტაციის საშუალებების სახით გამოყენების და კომპიუტერით სოციალური ინფორმაციის მონაცემების დამუშავების ფორმებს შორის ზღვარი იშლება. ორივე ეს ტექნოლოგია ერთ მოდელში შეერწყა და მას "კომუნიკაციის" სახელწოდებით იცნობენ. თანამედროვე მსოფლიოში ინფორმაციის ცირკულაციის სამართლებრივ, ეკონომიკურ, ეთიკურ პრობლემებს გამოყოფენ. ჩვენი აზრით, ყველაზე მთავარ ასპექტს მისი პოლიტიკური მხარე წარმოადგენს, რადგანაც ინფორმაცია არის ძალაუფლება, საშუალება და მისი გამოყენებით ადამიანი, ჰეგელის ენით რომ ვთქვათ, აღიარების მოპოვებას ცდილობს. ვისაც ხელეწიფება ინფორმაცია თავისუფლების და აღიარების მოპოვების რეალური შესაძლებლობები უჩნდება. არსებობს ინფორმაციული უსაფრთხოების ცნების საყოველთაოდ მიღებული განმარტება. **ინფორმაციული უსაფრთხოება ეს არის სუბიექტის ინფორმაციულ გარემოსთან ურთიერთმოქმედების დროს, მისი დაცულობის მდგომარეობა, რაც გამორიცხავს სასიცოცხლო ინტერესებისადმი ხიფათის მიყენების ყოველგვარი საშიშროების არსებობას.** აღნიშნულ განმარტებას მრავალი ქვეყნის სამეცნიერო ლიტერატურაში, სახელმწიფო დოკუმენტებში შეხვდებით.

ინფორმაციული უსაფრთხოება ამ განმარტებას შეხვდებით რუსეთის, კანადის, ამერიკის, ევროპის მრავალი ქვეყნის ინფორმაციული უსაფრთხოების დოქტრინებში. დღევანდელ პირობებში ადამიანის და საზოგადოების ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემა მსოფლიოში მიმდინარე "ინფორმაციული აფეთქების" ფონზე ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესების სფეროში მოხვდა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეების კვლევის ობიექტი ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემების კვლევა გახდა. როგორც ზემოთ

ვნახეთ, ინფორმატიზაციის პროცესი სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ სისტემას ძირეულად ცვლის. გარემოს შეცვლით მთლიანად იცვლება პიროვნება, საზოგადოება. ჩვენი კვლევის მთავარი საკითხი არის იმ ძირითადი უარყოფითი მომენტების გამოვლენა, რომლებიც თავს იჩენენ ინფორმატიზაციის პროცესის დროს და ხელს უშლიან პიროვნების თვითრეალიზაციას, საზოგადოების მდგრად და სტაბილურ განვითარებას. აქვე შეიძლება რამდენიმე კითვა დაიბადოს, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარია - რა მიმართულებით უნდა წარვმართოთ ინფორმატიზაციის პროცესი ჰუმანიზაციის თვალსაზრისით? საზოგადოების მდგომარეობა დღეს შეიძლება შევადაროთ ჩინურ ანდაზაში მოხსენიებულ წყლიდან ამოგდებულ დიდ თევზს, რომელიც გააფთრებით ფართხალებს, რათა უკან დაბრუნდეს. ასეთ დროს ის არსდროს არ ფიქრობს, მისი შემდგომი ნახტომი თუ სად მიიყვანს მას. ის მხოლოდ გრძნობს, რომ მისი დღევანდელი მდგომარეობა აუტანელია და სხვა რამ უნდა სცადოს. ინფორმაციული უსაფრთხოების ცნებაში გასარკვევად, პირველ რიგში, ჩვენი აზრით, საჭიროა დადგინდეს ის პირობები, რომელშიც ხვდება პიროვნება და საზოგადოება ინფორმატიზაციის პროცესის შედეგად. აუცილებელია სოციალური გარემოს ანალიზი, ინფორმატიზაციის წინამძღვრების და შედეგების დადგენა, უარყოფითი და დადებითი მხარეების გამოყოფა. ინფორმაციული უსაფრთხოება ისეთ კატეგორიაში, როგორიცაა სახელმწიფო პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესების დაბალანსირებას და ეროვნული ინტერესების დაცვას გულისხმობს.

პიროვნების ინტერესები ინფორმაციულ სფეროში მდგომარეობს, მის მიერ ინფორმაციის მიღების კონსტიტუციური უფლებების რეალიზაციაში, საზოგადოებრივი საქმიანობისას ფიზიკური, სულიერი და ინტელექტუალური განვითარებისათვის ინფორმაციის გამოყენებაში. გარდა ამისა, ინფორმაციის დაცვაში, რომელიც თავის მხრივ პერსონალური და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას გულისხმობს.

საზოგადოების ინტერესები საინფორმაციო სფეროში შეიცავს: პიროვნების ინტერესების უზრუნველყოფას ამ სფეროში, დემოკრატიის განმტკიცებას, სამართლებრივი სოციალური სახელმწიფოს შექმნას, საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევას და შენარჩუნებას, ქვეყნის სულიერ განახლებას.

სახელმწიფო ინტერესები საინფორმაციო სფეროში შეიცავს: ქვეყნის საინფორმაციო ჰარმონიული განვითარებისათვის, ადამიანისა და მოქალაქის საკონსტიტუციო უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციისათვის პირობების შექმნას ინფორმაციის მიღებისა და გამოყენების სფეროში, რათა განმტკიცებული და ურყევი იყოს საკონსტიტუციო წყობილება, სუვერენიტეტი და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა, თანასწორუფლებიანი და ურთიერთმომგებიანი საერთაშორისო თანამშრომლობა.

ინფორმატიზაციის პროცესისას არსებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ხასიათის წინააღმდეგობები საზოგადოების განვითარებას, პროგრესს რეალურ საფრთხეს უქმნიან. პოსტინდუსტრიულ, ინფორმაციულ საზოგადოებაში არსებული კონფლიქტები, ჩვენი აზრით, უფრო მწვავეა, ვიდრე საზოგადოების განვითარების სხვა ისტორიულ ეტაპზე არსებული კონფლიქტები.

ინფორმატიზაციის პროცესისას რადიკალურად იცვლება ადამიანის საქმიანობის არსი და მოტივაცია, სამეურნეო საქმიანობის პრინციპების მოდიფიკაციასთან ერთად, მატერიალური დოვლათის წარმოების ორგანიზაციის ფორმებიც იცვლება. ინდუსტრიულური ეპოქის პირობებში ძირითადად კონფლიქტი გამოიხატებოდა კაპიტალისა და შრომის ფაქტორების დაპირისპირებაში. დაპირისპირებულ მხარეებს ბევრი საერთოც გააჩნდა. ყველაზე მთავარს მოტივაციის სისტემა წარმოადგენდა. ორივე მათგანის საბოლოო მიზანი მატერიალური კეთილდღეობის საგნების დაუფლების მაქსიმიზაცია იყო. მეორე მნიშვნელოვანი მომენტი ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებულებაა, დაბალი ფენის წარმომადგენლები შესაბამისი სამუშაოს შესრულების გარეშე თავიანთ არსებობას ვერ უზრუნველყოფენ. მაღალი ფენა თავისი სიმდიდრის შექმნას მხოლოდ მათი საშუალებით შესძლებს. ინფორმაციული ეკონომიკის პირობებში ჩვენ ახალ დომინირებად სოციალურ ჯგუფს ვხედავთ, რომელმაც თავის ხელში ინფორმაციის და ცოდნის კონტროლი მოაქცია. ინფორმაცია სწრაფად ხდება წარმოების ძირითადი რესურსი. დღეს მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი ბილ გეიტსი არ ფლობს ქარხნებს, ნავთობს, ოქროს, ჯარს, ის მხოლოდ ცოდნის მესაკუთრეა. ადამიანების ამ ახალ ფენას ლ. ტუროუ განსწავლულთა ფენას (“**knowledge stratum**”) უწოდებს. ინდუსტრიული ეპოქისგან განსხვავებით ინფორმაციულ ეპოქაში არსებულ სოციალურ ჯგუფებს უფრო მეტი განმახსხვავებელი ნიშნები აქვთ, ვიდრე საერთო. მმართველი ჯგუფების წარმომადგენლები ძირითადში არამატერიალისტური მოტივებით ხელმძღვანელობენ. აშშ-ს ეროვნული შემოსავლიდან მოსახლეობის 5% წილი ბოლო 25 წლის განმავლობაში გაიზარდა 16,7%-დან და 21,4%-მდე. 1995 წელს ყველაზე მდიდარი ფენა, რომელიც მოსახლეობის 1%-ს შეადგენდა, ქონების 39%-ს ფლობდა, ხოლო მოსახლეობის 20% ეროვნული ქონების 84%-ს ფლობდა. ჩვენი აზრით, ინფორმატიზაციის პროცესის დროს ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდება, რადგანაც ცოდნაზე დაფუძნებული საქმიანობა სიმდიდრის მოპოვების არნახული წყარო ხდება. ინტელექტუალურ სფეროში დასაქმებული ადამიანების მთავარი მოტივი მათი, როგორც უნიკალური პიროვნებების თვითდამკვიდრების სურვილია. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების ჩარევა სხვადასხვა პოლიტიკურ, კულტურულ, საქველმოქმედო საქმიანობებში. მმართველი სოციალური ფენა **თვითონ ქმნის წარმოების საშუალებებს, რათა უზრუნველყოს ინფორმაციული პროდუქციის გავრცელება**. დაბალი ფენა ისევ მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ფიქრობს, მაგრამ დღეს, ფაქტიურად, გარიყულია საწარმოო პროცესებიდან და საქმე მის გარეშე კეთდება. წინა ეპოქაში სამუშაო ძალაზე მოთხოვნილება არსებობდა, ამიტომ მას საფუძვლიანი პრეტენზიები გააჩნდა ეროვნული პროდუქტიდან გარკვეულ წილზე. ჩვენი აზრით, ინფორმატიზაციის პროცესის დროს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის მატერიალური უთანასწორობის ზღვარი კიდევ უფრო გაიზრდება.

მაღალი ტექნოლოგიების გავრცელება კომპიუტერების, პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების, ტელეკომუნიკაციის საშუალებების გაიაფებას იწვევს. აქ თავი იჩინა სერიოზულმა პრობლემამ, კერძოდ, ერთი მხრივ, ყველა მსხვილი ინვესტიციები მიემართება ტექნოლოგიების და ცოდნის შეძენისკენ, მეორე მხრივ, მცირდება ინვესტიციები ძირითად საწარმოო ფონდებში. ეს პრობლემა აქტუალურია საქართველოსთვის, რადგანაც მისი ძირითადი საწარმოო ფონდები ღარიბია. განვითარებულ ქვეყნებში ინფორმატიზაციის პროცესის დროს მთლიან ეროვნულ შემოსავალში კაპიტალის დაგროვების წილი შემცირდა,





რასაც ქვემოთ მოყვანილი ციფრებიც ადასტურებენ. აშშ-ში 1997 წელს ეს მაჩვენებელი 4%-მდე დაეცა და 1998 წლის სექტემბერში 1933 წლიდან მოყოლებული პირველად გახდა უარყოფითი. ლესლი ტუროუს აზრით: ,,მესამე სამრეწველო რევოლუციამ გიგანტური საბაზრო სიმდიდრე წარმოშვა მატერიალური წარმოების მინიმალური ზრდის ფონზე". ამერიკელი მეცნიერისთვის ყოველივე ,,ნამდვილ გამოცანას" წარმოადგენს. იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს სტატისტიკის არსებული მოდელის შეცვლას. მისი აზრით, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის პირობებში ეკონომიკის ძველებური მეთოდებით შეფასება სახიფათოა მსოფლიო სამეურნეო სისტემის მდგრადობისთვის. ტუროუს აზრით, ინფორმაციული ეკონომიკის დროს თავს იჩენს სხვადასხვა ხასიათის სოციალური კონფლიქტები. ერთ-ერთი მთავარი მათგანი დანახარჯების და შედეგების ერთმანეთთან არაპროპორციული დამოკიდებულებითაა გამოწვეული. მას საილუსტრაციოდ მოჰყავს განათლების სფერო. 90-იან წლებში პირდაპირი და ირიბი ხარჯებით აშშ-ში ერთი ადამიანის უმაღლეს განათლებაზე 200-250 ათასი დოლარი იხარჯებოდა. უმაღლესი განათლების დიპლომების მფლობელთა 21% გამოიმუშავებდა საშუალო განათლების მქონე ადამიანებზე ნაკლებს. მათი 26%, თავის სოციალურ ჯგუფთან მიმართებაში, საშუალოზე ოდნავ მეტს გამოიმუშავებდა. ყოველივე უკმაყოფილებას იწვევს უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებში. ტუროუს აზრით ინფორმატიზაციის პროცესისას სამეურნეო პროცესების ინტერნაციონალიზაციასთან გვაქვს საქმე. ინფორმაციული ეკონომიკა არის გლობალური. გლობალური ეკონომიკა ახალი ისტორიული რეალობაა, რომელიც მსოფლიო ეკონომიკისაგან განსხვავდება. ფერნან ბროდელის და ი. უოლერსტაინის განმარტებით: მსოფლიო ეკონომიკა ისეთი სისტემაა, როდესაც კაპიტალის დაგროვების პროცესი მთელს მსოფლიოში ხდება. მას საფუძველი დასავლეთ ქვეყნებშ XV საუკუნიდან ჩაეყარა. გლობალური ეკონომიკა, ეს არის ეკონომიკა, რომელსაც შეუძლია მუშაობა როგორც ერთიან სისტემას დროის რეალურ რეჟიმში მთელი პლანეტის მასშტაბით. მსოფლიო ეკონომიკა გლობალური გახდა ახალი ინფრასტრუქტურის საშუალებით. ეს ინფრასტრუქტურა ინფორმაციულ და კომუნიკაციურ ტექნოლოგიებზეა დაფუძნებული. ყოველი წუთის განმავლობაში ელექტრონულ რეჟიმში მთელ მსოფლიოში მილიარდობით დოლარის ოპერაციები ხორციელდება.

საერთაშორისო საფინანსო ნაკადები 1980-92წ.წ. (% მშპ-სთან)*

| ქვეყანა | 1980წ. | 1981წ. | 1982წ. | 1983წ. | 1984წ. | 1985წ. | 1986წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 9,3 | 9,4 | 11,8 | 15,9 | 20,8 | 36,4 | 71,7 |
| იაპონია | | | | | 25 | 62,8 | 163,7 |
| გერმანია | 7,5 | 7,8 | 12,5 | 16,0 | 20,7 | 33,9 | 45,6 |
| საფრანგეთი | | | 8,4 | 13,8 | 14,0 | 21,4 | 28,0 |
| იტალია | 1,1 | 1,4 | 1,0 | 1,4 | 1,9 | 4,0 | 6,9 |
| კანადა | 9,6 | 8,0 | 7,4 | 10,5 | 15,8 | 26,7 | 40,5 |

გაგრძელება

| ქვეყანა | 1987წ. | 1988წ. | 1989წ. | 1990წ. | 1991წ. | 1992წ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 86,1 | 85,3 | 104,3 | 92,1 | 98,8 | 109,3 |
| იაპონია | 147,3 | 128,5 | 156,7 | 120,7 | 92,9 | 72,2 |
| გერმანია | 55,2 | 60,7 | 67,3 | 61,1 | 59,2 | 90,8 |
| საფრანგეთი | 47,3 | 34,6 | 51,6 | 53,6 | 78,9 | 122,2 |
| იტალია | 8,1 | 10,3 | 17,6 | 26,6 | 60,4 | 118,4 |
| კანადა | 58.9 | 39,1 | 54,5 | 64,1 | 81,4 | 111,2 |

ცხრილები ნათლად ადასტურებს ფინანსური ნაკადების მოძრაობის მასშტაბების სწრაფ ზრდას და ასეთი სახის ხელშეკრულებების რიცხვი 1980-92 წლებში დაახლოებით 10-ჯერ გაიზარდა. ინფორმაციული ტექნოლოგიები უმოკლეს ვადებში კაპიტალის ერთი ეკონომიკიდან მეორე ეკონომიკაში გადაყვანის საშუალებას იძლევა. ინფორმაციული ქსელები აკავშირებენ სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ მეწარმეებს და კაპიტალის მოძრაობა გლობალური ხასიათს იღებს. კომპანიები დღითიდღე დამოუკიდებელი ხდებიან თავიანთი ქვეყნების სახელისუფლო სტრუქტურებისაგან. აღნიშნული პროცესი სახელმწიფო ინსტიტუტების ნორმალური ფუნქციონირებისას გარკვეულ პრობლემებს ჰქმნის. ინტერნაციონალიზაციის მთავარ ასპექტებს მსოფლიო სამეურნეო საქმიანობაში სახელმწიფოს როლის დასუსტება და კერძო ინვესტორების. კორპორაციების გავლენის გაძლიერება წარმოადგენს ტრანსნაციონალური კორპორაციები დამოუკიდებელ თამაშ ეწევიან. ზოგჯერ ისინი სახელმწიფოებს შორის დაპირისპირების, ან პირიქით ინტეგრაციის პროცესების პროვოცირებას ახდენენ. თანამედროვე მსოფლიოში მომრავლდა ოფშორული ტიპის კუნძულები და ისინი ნელ-ნელა მნიშვნელობის მიხედვით მსოფლიოს მეხუთე ფინანსურ ცენტრად გვევლინებიან. ამის გამო სახელმწიფოები საკუთარი სოციალური პრობლემების რეგულირების ბერკეტებს ხელიდან უშვებენ. საუკუნეების მანძილზე პოლიტიკური ხელისუფლების გარშემო არსებული აურა, ძალაუფლების განხორციელების სხვა მექანიზმები ადგილს საერთაშორისო ხასიათის ორგანიზაციებს, გაერთიანებებს უთმობენ. ტუროუს აზრით დიდ

*რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის მოცულობის შეფასება.
წყარო: Bank for International Settlements, 62" Annual Report, 15 June, 1992

სახელმწიფოებს შორის დაპირისპირება ახალ ფორმებს მიიღებს, გამწვავდება უთანასწორობის პრობლემა მსოფლიო მასშტაბით. ჩვენ აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოშიც მიმდინარეობს ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის პროცესი. ამ მოსაზრებას ადასტურებს ის ტრანსნაციონალური კომპანიები, რომლებიც ჩვენთან შემოვიდნენ. მათ შორისაა: ეიეს თელასი, კოკა-კოლა, მეტრომედია კომუნიკეიშნი, ტურქსელი, შევრონი, გლობალქასტი, ბრიტიშ პეტროლიუმი, მედიტერიან შიპინგ ქომპანი და სხვა უამრავი. ინფორმაციული ინდუსტრიის განვითარება რადიკალურად ცვლის ქვეყნის ხელისუფლების ფუნქციონირების მიზნებსა და მეთოდებს. იცვლება ხელისუფლების როლი და ადგილი საზოგადოების მართვის პროცესში. სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული პროცესების მიმდინარეობისას, ჩვენი აზრით, უკვე დღეს შეუძლებელი ხდება ხელისუფლების მხრიდან გადაწყვეტილებების მიღება ინფორმატიზაციის, ინტერნაციონალიზაციის ასპექტების გაუთვალისწინებლად.

ინფორმატიზაციის პროცესების განვითარების თანამედროვე ეტაპზე გამოყოფენ ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემების ორ ძირითად მიმართულებას:

1. სახელმწიფო საიდუმლოების და კონფიდენციალური ცნობების დაცვას;
2. ინფორმაციის ზემოქმედებისგან დაცვა.

პირველი მიმართულება უმთავრესად გულისხმობს ინფორმაციის მატარებელი ობიექტის არასანქცირებული შეღწევისგან დაცვა. მეორე მიმართულება ნებისმიერი ობიექტის ინფორმაციისგან დაცვას ითვალისწინებს. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ინფორმაციის ზემოქმედებისაგან დაცვა საერთაშორისო და სტრატეგიული ხასიათის პრობლემა გახდა. რუსი მეცნიერი ს.სემკინი ინფორმაციული იარაღისაგან დაცვის სამ ძირითად სფეროს გამოყოფს:

1. ტექნიკური სისტემების და საშუალებების დაცვა ინფორმაციული ზემოქმედებისგან;
2. საზოგადოების დაცვა ინფორმაციული ზემოქმედებისგან;
3. ადამიანის ფსიქიკის დაცვა ინფორმაციული ზემოქმედებისგან.

ინფორმატიზაციის პროცესის დროს საზოგადოებაში არსებულ პრობლემათა სპექტრის გაფართოებამ მეცნიერები იძულებული გახადა ტრადიციულად არსებული ინფორმაციის დაცვის ცნება ინფორმაციული უსაფრთხოების საერთო ცნებით შეეცვალათ. 60-იანი წლებიდან მოყოლებული 90-იან წლებამდე გამოქვეყნებული პუბლიკაციების დიდი ნაწილი ძირითადად ინფორმაციის დაცვის ტექნიკურ ასპექტებს ეხებოდა. სახელმწიფო ორგანიზაციები და ფირმები განიცდიდნენ დიდ ფინანსურ, მატერიალურ დანაკარგებს კომპიუტერულ სფეროში ჩადენილი დანაშაულებებისგან. ყოველდღიურ ლექსიკონში შემოვიდა კომპიუტერული ტერორიზმის, კომპიუტერული ხულიგნობის, ტელეფონის ფანატის, ხაკერის, კრეკერის და სხვა მრავალი ახალი ტერმინი. ჩვენი აზრით, საქართველოში ბოლო დრომდე ინფორმაციის დაცვაზე ძალიან ვიწრო წარმოდგენაა გაბატონებული. აქამდე იგი ასოცირდებოდა სახელმწიფო საიდუმლოების დაცვასთან, მაშინ როცა ქვეყანაში საყოველთაო გავრცელება ჰპოვა სამრეწველო, კომერციულმა, საბანკო, პირადმა და სხვა ტიპის საიდუმლოებებმა. მიგვაჩნია, ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტა უნდა მოხდეს კომპლექსურად. ინფორმაციული უსაფრთხოების სტრუქტურა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ.

ინფორმაციული უსაფრთხოების სტრუქტურა








ნახაზიდან ჩანს, რომ პირველ ჯგუფს მიეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებებისა და კონფიდენციალური ცნობების დაცვა. სახელმწიფო საიდუმლოებებში შედის: სახელმწიფო საიდუმლოებები. მეორე ჯგუფში შედის საზოგადოებრივი ხასიათის კონფიდენციალური ცნობები (კომერციული საიდუმლო, პარტიული საიდუმლო და სხვა). მესამე ჯგუფში შედის პიროვნების კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა. პიროვნების კონფიდენციალურ ინფორმაციაში მოიაზრება: პერსონალური მონაცემები, ინტელექტუალური საკუთრება და სხვა. მათი დაცვის უზრუნველსაყოფად არსებობს ინფორმაციის დაცვის სისტემა, რომელიც შემდეგი ქვესისტემის ელემენტებისგან შედგება:

1. საიდუმლო რეჟიმის უზრუნველყოფის ქვესისტემა;
2. კრიპტოგრაფიული დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხო დაშიფრული კავშირის უზრუნველყოფის ქვესისტემა;
3. დაზვერვის ტექნიკური საშუალებებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ქვესისტემა;
4. ელექტროგამომთვლელ მანქანებში შენახული, დამუშავების პროცესში მყოფი კონფიდენციალური მონაცემების დაცვის ქვესისტემა.

საიდუმლო რეჟიმის უზრუნველყოფის ქვესისტემის ფუნქციებში შედის:

ა) სახელმწიფო საიდუმლოებებთან პირების დაშვების გამიჯვნა;

ბ) საიდუმლო სამუშაოების ჩატარების, საიდუმლო დოკუმენტების ბრუნვის წესების განსაზღვრა;

გ) აღნიშნული წესების განხორციელებაზე კონტროლის გაწევა.

მეორე ქვესისტემის მეშვეობით ხორციელდება ტელეკომუნიკაციური სისტემებით გადაცემული კონფიდენციალური ცნობების დაცვა. საჭიროების შემთხვევაში ქვესისტემამ უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო დაშიფრული კავშირის განხორციელების საკითხები. მესამე ქვესისტემის ფუნქციებში შედის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა ტექნიკური არხებით მისი გადაცემის პროცესში. თავიდან აიცილოს ინფორმაციის გაჟონვა. მეოთხე ქვესისტემის ფუნქციებში შედის კონფიდენციალური მონაცემების დაცვა კომპიტერული ქსელით ინფორმაციის გადაცემის პროცესში. ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის ახალ და, ჩვენი აზრით, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს ნებისმიერი ობიექტის ინფორმაციული ზემოქმედებისგან დაცვა. როგორც ნახაზიდან ჩანს ამ მიმართულების ქვესისტემის ფუნქციაა ინფორმაციული იარაღისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ინფორმატიზაციის პროცესის დროს ადამიანი, სოციალური ფენები, სახელმწიფო ინფორმაციის ინტენსიური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან. ერაყის წინააღმდეგ ოპერაციის - ,,ქარიშხალი უდაბნოში'', განხორციელების წინ მოახერხეს მისი საჰაერო დაცვის კომპიუტერული სისტემსი ვირუსებით დასენიანება. ამ ფაქტმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ოპერაციის წარმატებით დასრულებაში. ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა გადაწყვეტილებების მიღების დროს ეყრდნობა სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურების მიერ მოპოვებულ და გადამუშავებულ ინფორმაციას. ადვილი წარმოსადგენია, რა შედეგებს მოუტანს ქვეყანას გარედან თავსმოხვეულ, დამახინჯებულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პრეზიდენტს. დაკვირვებებისა და ანალიზის შედეგად დამტკიცებულია, ფაქტების მიზანმიმართული და მეთოდური გადასხვაფერება და მათი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მოქალაქეებისათვის მიწოდება სასურველი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას უწყობს ხელს. ადამიანის ფსიქიკაზე, აზროვნებაზე გამიზნული, ორგანიზებული ზემოქმედებით შესაძლებელია ადამიანის ქცევის დაპროგრამება. უფრო მეტიც, ბოლო ხანებში მიმდინარეობს მუშაობა ადამიანის ქვეცნობიერში კომპიუტერების საშუალებით შეღწევაზე. 1997 წელს იაპონიაში ტელევიზიით ნაჩვენები იქნა კომპიუტერული მულტფილმი. ჩვენების შემდეგ ბავშვების დიდ ნაწილს ფსიქიკის მოშლის ნიშნები აღმოუჩნდათ. ე.წ. ფსიქოტრონული იარაღის ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედებისას ადგილი აქვს ელექტრომაგნიტური, აკუსტიკური და სხვა ველების გამოყენებას. აუდიოვიზუალური გაღიზიანების დროს ადამიანის ქვეცნობიერზე ზემოქმედება ხდება ძალიან სუსტი გამაღიზიანებლების მეშვეობით. სასიამოვნო მელოდიაზე მიქშერის მეშვეობით სიტყვიერ ტექსტს ადებენ. ვიდეოინფორმაციის დროს აქცენტი ადამიანის მხედველობის ორგანოებზე კეთდება. ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედების სხვა მეთოდებიდან აღსანიშნავია: 100 ჰერცის ზემოთ რხევების მქონე სხეულების მიერ გამოწვეული სითბური და მექანიკური ზემოქმედება, დაბალი 16 ჰერცის მქონე ინფრაბგერების ზემოქმედება, მაღალი სიხშირის გამოსხივების გამოწვეული ინფორმაციული ზემოქმედება. როგორც ვხედავთ პრობლემაა არა მხოლოდ ინფორმაციის დაცვა, არამედ არანაკლებ მნიშვნელოვანია ინფორმაციისგან დაცვა. სტრატეგიული შეიარაღებების განვითარება ისეთი ტემპებით მიმდინარეობს, რომ მსოფლიოში არსებული პრობლემების მოგვარებისას ყველა სახელმწიფო ერიდება სამხედრო გზის გამოყენებას. საზოგადოებაში თანდათანობით მკვიდრდება ,,ინფორმაციული ომის'' და ინფორმაციული იარაღის'' ტერმინები. ყოველივე ზემოთქმულის შეჯამებით შესაძლებლობა გვეძლევა ინფორმაციული უსაფრთხოების ცნების შედარებით სრული განმარტება ჩამოვაყალიბოთ. **ინფორმაციული უსაფრთხოება ეს არის სახელმწიფოს, საზოგადოების და მოქალაქის უნარი:**

**1. თავისი არსებობის და სიცოცხლისუნარიანობის, ფუნქციონირების და განვითარების მხარდასაჭერად უზრუნველყოს საკმარისად დაცული ინფორმაციული რესურსები და ნაკადების არსებობა;**

**2. წინააღმდეგობა გაუწიოს ინფორმაციულ გამოწვევებს და მუქარებს ინდივიდზე, საზოგადოებაზე, ინფორმაციულ სისტემებზე ნეგატიური ინფორმაციულ ზემოქმედებისას;**

**3. გამოიმუშავოს პიროვნული და ჯგუფური უსაფრთხო ქცევის ჩვევები, უნარები;**

**4. ინფორმაციული დაპირისპირების შემთხვევაში იყოს მუდმივ მზადყოფნაში ადეკვატური ზომებისთვის.**

**მოკლედ, ინფორმაციული უსაფრთხოება ეს არის ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს**

**ინფორმაციული მოთხოვნილებების დაცულობის მდგომარეობა, როდესაც შიდა და გარე მუქარის ფაქტორების არსებობის მიუხედავად უზრუნველყოფილია მათი არსებობა და პროგრესული განვითარება.** ჩვენი აზრით, უპრიანი იქნება განვიხილოთ ინფორმაციული მუქარის სახეობები, რათა მოვახდინოთ შინაარსის მიხედვით მათი კლასიფიკაცია. **ინფორმაციული მუქარა ეს არის სისტემის არსებობის რაღაც ეტაპზე ისეთი მოვლენის ან შემთხვევის წარმოშობა, რომლის შედეგადაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ინფორმაციაზე არასასურველ ზემოქმედებას.** დღეს არსებობს დიდი რიცხვი მუქარისა, რომელიც ინფორმაციისთვის საშიშროებას წარმოადგენს. სისტემაში მოქცევის მიზნით უმჯობესი იქნება მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია. ინფორმაციაზე ზემოქმედების შემდეგი ძირითადი სახეები გამოიყოფა:

1. ფიზიკური მთლიანობის განადგურება და შემადგენელი ელემენტების დანგრევა;
2. ლოგიკური მთლიანობის და ლოგიკური კავშირების დანგრევა;
3. ინფორმაციის შინაარსის(ინფორმაციის ბლოკების) ცვლილება და გარედან არასწორი ინფორმაციის თავსმოხვევა;
4. ინფორმაციაზე საკუთრების უფლების უგულველყოფა, მისი არასანქცირებული კოპირება და გამოყენება.

ინფორმაციაზე ზემოქმედების შესაძლო მეთოდები

ინფორმაციაზე ზემოქმედების შესაძლებელი გზები




ნახაზზე შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ.

აქ **n** არის ინფორმაციული ელემენტების ერთიანობა, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკური ჯაჭვებით არის დაკავშირებული. ციფრები ზემოთ მოყვანილი ინფორმაციული მუქარის სახეობების ნუმერაციაა.

ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემებზე საუბრისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ინფორმაციის გაჟონვის ტერმინს უკავია. თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ინფორმაციის გათქმა არ შეიძლება ცალსახად ჩაითვალოს ინფორმაციის გაჟონვად. ინფორმაციის გაჟონვა ეს არის კონფიდენციალური ინფორმაციის უკონტროლო და არამართლზომიერი გადინება იმ ორგანიზაციების და პიროვნებების გარეთ, რომლებსაც ჰქონდათ მინდობილი მისი დაცვა. ინფორმაციის გაჟონვა კონფიდენციალური ინფორმაციის უკანონო გზით დაუფლებას გულისხმობს, რასაც ვერ ვიტყვით გათქმაზე. ინფორმაციულ გაჟონვას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

1. კონფიდენციალური და საიდუმლო ინფორმაციის მოპოვებაში დაინტერესებული მხარის არსებობა. იგი მზადაა ნებისმიერ ხერხს მიმართოს მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოსაპოვებლად;
2. მოწინააღმდეგისათვის საინტერესო ინფორმაციის მფლობელი ინფორმაციის მატარებელი ობიექტის არსებობა;
3. გარკვეული მიზეზების და გარემოებების არსებობა, რაც მოწინააღმდეგეს არასანქცირებული გზით შეღწევის შესაძლებლობას უქმნის.

ზემოთ განხილული ინფორმაციული მუქარებიდან გამომდინარე ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევა შეიძლება განხორციელდეს შემდეგი გზებით:

**1.კონფიდენიციალური ინფორმაციის მთლიანობის დარღვევით;**

**2. არსებული ინფოარმაციის გაჟონვით.**

ინფორმაციის გაჟონვის თავიდან აცილების მიზნით სხვადსხვა ქვეყნებში ინფორმაციის დაცვის სისტემები მუშავდება. ინფორმაციის დაცვის სისტემა ეს არის ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული საშუალებების, მეთოდების და ღონისძიებების ერთობლიობა. სისტემის მიზანია ინფორმაციის განადგურების, დამახინჯების, არასანქცირებული გზით მიღების თავიდან აცდენა. ინფორმაცია აისახება ფიზიკური ველებით, ელექტრომაგნიტური ველებით, სხვადასხვა მატარებლებზე დაფიქსირებული სიგნალების, გამოსახულებების, სიმბოლოების მეშვეობით. ინფორმაციული დაცვის სისტემების შექმნისას პირველი რიგის ამოცანაა მისი მართვის პროცესების ეფექტური ორგანიზება. მართვის გარეშე სისტემის გამოყენება შეუძლებელი ხდება. ინფორმაციის დაცვის სისტემების მართვის მიზნით უნდა განხორციელდეს შემდეგი პირობები:

1. მართვის სისტემას უნდა ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა ინფორმაციის უსაფრთხოების მდგომარების შეცვლის, რათა მიღებულ გადაწყვეტილებებთან შესაბამისობაში მოიყვანოს;
2. მართვის სისტემა უნდა ფლობდეს რესურსებს, ზემოქმედების არჩეული მეთოდების რეალიზაციისთვის;
3. გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელია ინფორმაციის დაცვის სისტემის სტრუქტურის ანალიზი. ეს საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ მისი ფუნქციონირების პირობები, შიდა და გარე მადესტაბილიზირებელი ფაქტორები;
4. მართვის სისტემა უნდა ითვალისწინებდეს დინამიურობას, რათა გადაწყვეტილება დროულად იქნას მიღებული;
5. მართვის ზემოქმედების ხასიათის და ინტენსიურობის სწორი არჩევისთვის მკაფიოდ უნდა იქნას ჩამოყალიბებული სისტემის დაცვის და შეფასების კრიტერიუმები;
6. აუცილებელია სისტემის გარეთ არსებული გარემოს მდგომარეობის პროგნოზირება. ამ მიზნით შემუშავებულია სისტემისა და მათი პროცესების





ფუნქციონირების მოდელირების მეთოდები.

ინფორმაციის დაცვის სისტემის მართვის ეტაპები გამოსახულია ქვემოთ მოყვანილ ნახაზში.

ინფორმაციის დაცვის სისტემის მართვის ეტაპები




ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემებზე საუბრისას აუცილებლად მიგვაჩნია შევეხოთ მისი უსაფრთხოების მიზნებსა და ამოცანებს. ყოველივე ნახაზზე შემდეგნაირად შეიძლება გამოვსახოთ:

უსაფრთხოების მიზნები კლასებად იყოფა. ამ გზით ჩვენ შევძლებთ ინფორმაციული უსაფრთხოების მიზნების და ამოცანების კლასიფიკაციას. პირველი კლასის მიზანს მიეკუთვნება ინფორმაციის დაცვა გამომჟღავნებისაგან. მის ამოცანებს წარმოადგენს ინფორმაციის დამალვა, დეზინფორმაცია, ლეგენდირება. აქ შედის ინფორმაციის არგამჟღავნება, აგენტურული გზებით ინფორმაციის გაჟონვის თავიდან აცილება. დეზინფორმაციის მიზანია წინასწარ განსაზღვრული ყალბი ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა არხებით. ინფორმაციის ელემენტების დამახინჯება, ყალბი ობიექტების შექმნა, იმიტაცია. "ლეგენდირების მიზანია ინფორმაციის მატარებელი ობიექტის ნამდვილი ზრახვების და მიზნების შენიღბვა. ინფორმაციული უსაფრთხოების მეორე კლასის მიზანს წარმოადგენს ინფორმაციის შინაარსის დაცვის უზრუნველყოფა. იგი შემდეგი ამოცანებისაგან შეედგება: სიჭარბის შემოტანა, ელემენტების რეზერვირება, შეღწევისა და გამოყენების რეგულირება, შენიღბვა, რეგისტრაცია, განადგურება, სიგნალიზაცია, რეაგირება, მართვა, პერსონალის მომზადება. სიჭარბის შემოტანის მიზანია ინფორმაციის დაცვის სისტემის ზედმეტი კომპონენტებით გაძლიერება. ინფორმატიზაციის პროცესისას იზრდება კომპიუტერების მეხსიერება, გარედან და შიგნიდან მომავალ მადესტაბილიზირებელ ფაქტორებსაც თუ გავითვალისწინებთ, აუცილებლად მიგვაჩნია მუდმივად ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. რეზერვირება გულისხმობს რეზერვულ მდგომარეობაში გადაყვანას. რეგულირების გამოყენებისას ინფორმაციის რანჟირებას აქვს ადგილი. რანგირების პროცესისას ინფორმაცია იყოფა საიდუმლოების ხარისხის მიხედვით. იმავდროილად ხდება სისტემაში შეღწევისა და გამოყენების რეგულირების მექანიზმების რეგლამენტაცია. ინფორმაციის შენიღბვის მიზანია არსებული მასივების გადაკეთება, რათა

ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანათა კლასიფიკაცია

| ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნები | | |
|---|---|---|
| ალმოჩენისგან სისტემის დაცვის უზრუნველყოფა | ინფორმაციის შინაარსის დაცვის უზრუნველყოფა | ინფორმაციული ზემოქმედებისაგან დაცვის უზრუნველყოფა |

| ინფორმაციული უსაფრთხოების ამოცანათა კლასი | | |
|---|---|---|
| ინფორმაციის დაცვის ხერხები | ინფორმაციის დაცვის საშუალებები | ინფორმაციული ზემოქმედებისგან დაცვის სახეები |
| 1.1 დამალვა<br>1.2 დეზინფორმაცია<br>1.3 ლეგენდირება | 2.1 სიჭარბის შემოტანა<br>2.2 ელემენტების რეზერვირება<br>2.3 შეღწევის რეგულირება<br>2.4 გამოყენების რეგულირება<br>2.5 შენიღბვა<br>2.6 რეგისტრაცია<br>2.7 განადგურება<br>2.8 სიგნალიზაცია<br>2.9 რეაგირება<br>2.10 მართვა<br>2.11 პერსონალის მომზადება | 3.1 ტექნიკურ საშუალებების ინფორმაციული ზემოქმედებისაგან დაცვა<br>3.2 საზოგადოების ინფორმაციული ზემოქმედებისაგან დაცვა<br>3.3 ადამიანის ინფორმაციული ზემოქმედებისაგან დაცვა |

როგორც ნახაზიდან ჩანს ინფორმაციული

გამორიცხოს გარეშე პირების ინფორმაციის შინაარსთან

შეღწევა. ცნობების რეგისტრაცია გულისხმობს ყველა ფაქტების, მოვლენების, ცნობების ფიქსაციას. ინფორმაციის განადგურების პროცედურა ობიექტს მოძველებული, უსარგებლო ინფორმაციისგან ანთავისუფლებს. სიგნალიზაცა ობიექტთან უკუკავშირის დამყარებას უზრუნველყოფს. მიღებული სიგნალის შემდეგ აუცილებელია მოხდეს მადესტაბილიზირებელ ფაქტორებზე რეაგირება. ინფორმაციის დაცვის სისტემის მართვის ორგანოების ამოცანებში შედის ინფორმაციის მოძრაობის და დაცვის მექანიზმების კონტროლი. ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირველი რიგის ამოცანას კვალიფიციური პერსონალის მომზადება წარმოადგენს. ისინი ფსიქოფიზიოლოგიურად, მორალურად მდგრადი პიროვნებები უნდა იყვნენ. მათ უნდა გამოიმუშაონ ნებისყოფა, წინააღმდეგობა გაუწიონ მადესტაბილიზირებელი ფაქტორების ზემოქმედებას.

ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მესამე კლასის მიზნებს მიეკუთვნება ობიექტის ინფორმაციული ზემოქმედებისგან დაცვა. აქ შედის ინფორმაციული ზემოქმედებისგან ტექნიკური საშუალებების დაცვა, საზოგადოების დაცვა, პიროვნების დაცვა. ინფორმაცული ზემოქმედება ტექნიკურ საშუალებებზე შეიძლება განხორციელდეს შემდეგი მიმართულებით:

ა) ინფორმაციის განადგურება (მაგალითად კავშირგაბმულობის საშუალებების ელექტრონული ჩახშობა);

ბ) ინფორმაციისა და ლოგიკური კავშირების დამახინჯება ან მოდიფიკაცია (მაგალითად კომპიუტერული ვირუსების დანერგვა);

გ) სისტემაში ყალბი ინფორმაციის დანერგვა.

საზოგადოებაზე ინფორმაციული ზემოქმედების მიზნებია:

ა) საზოგადოებრივ აზრზე საკუთარი შეხედულებების თავსმოხვევა (მაგალითად პროპაგანდა);

ბ) ეკონომიკური პრობლემების მოგვარება (მაგალითად რეკლამა);

გ) ეროვნული ტრადიციების და კულტურის დანგრევა (მაგალითად გარეშე სახელმწიფოების მხრიდან უცხო კულტურული ფასეულობების აგიტაცია).

ადამიანზე ინფორმაციული ზემოქმედების მიზნებში შედის: ადამიანის მოტივების, ქცევის მანიპულირების შესაძლებლობა. ინფორმატიზაციის პროცესისას თავს იჩენს სხვადასხვა ხასიათის ნეგატიური მოვლენები. კომპიუტერის ხანგრძლივი გამოყენების შედეგად ადამიანი მონიტორისგან დასაშვებ ნორმაზე მეტ გამოსხივებას ღებულობს. კომპიუტერის დისპლეი ტელევიზორზე უფრო ძლიერად მოქმედებს მხედველობაზე, რაც იწვევს ნერვული სისტემის გადაღლილობას. ყოველივე ეს შეიძლება გახდეს ფსიქიკური დაავადებების გამოწვევის მიზეზი. ინფორმაციული ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება ადამიანში ინდივიდუალიზმის ფსიქოლოგიას აძლიერებს და მინიმუმამდე დაჰყავს ადამიანებს შორის ურთიერთობა. ადამიანი მოწყვეტილი ხდება რეალურ სამყაროს და ის ცდილობს ბუნებრივი ურთიერთობის ფორმების ხელობნური შემცვლელებით ჩანაცვლებას. შედეგად იგი ვირტუალურ სამყაროში ხვდება, რაც მის სოციალურ იზოლაციას იწვევს. ამერიკელი ფსიქოთერაპევტის კარლ ბროდის აზრით, ინტელექტუალური კომპიუტერის გამოჩენით, რომელსაც არავითარი ანგარება არ გააჩნია შეიძლება ადამიანი იზოლაციის შედეგად ოჯახის დანგრევამდეც მიიყვანოს. ასეთ დროს პიროვნებებს ოჯახში ურთერთობა მინიმუმამდე დაჰყავთ და ის უტილიტარული ხასიათის ხდება. ურთიერთობები მოკლებულია ყოველგვარ ემოციებს და ადამიანურ სითბოს. ადამიანებს ეცვლებათ წარმოდგენა სიყვარულზე, სექსუალურ ცხოვრებაზე და ისინი "კომპიუტერული ურთიერთობების" მეშვეობით თავიანთი ემოციებისა და ვნებების დაკმაყოფილებას ცდილობენ. კ.ბროდმა შემოიტანა ტექნოსტრესის ტერმინი, რაც გულისხმობს ადამიანის უუნარობას ნორმალური რეაგირება მოახდინოს ინფორმაციულ-კომპიუტრეულ ტექნოლოგიებზე. ინფორმატიზაციის შედეგად პირადი ცხოვრება, დასვენება და სხვა ადამიანური გამოვლინებები მკაცრად ნორმირებული ხდება. წარმოიშვა ისეთი მოვლენა, როგორიცაა ჰიპოდინამია (დამქანცველი ოპერაციების შესრულების გაძნელება). ელემენტარული ოპერაციების განხორციელებისას ადამიანი მიმართავს გამომთვლელ მანქანას. მოსალოდნელია ეს მოვლენა დროთა განმავლობაში "ინტელექტუალურ ჰიპოდინამიაში" გადაიზარდოს.

ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნების ანალიზის შემდეგ ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია განვიხილოთ ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის მეთოდები და საშუალებები. რუსი მეცნიერი ს.სიომკინი ინფორმაციული დაცვის ორ მეთოდს გამოყოფს. ესენია: დაცვის ფორმალური და არაფორმალური მეთოდები. ფორმალური დაცვის მეთოდებს მიეკუთვნება ის საშუალებები, რომლებიც ახორციელებენ ინფორმაციის დაცვას უპირატესად ადამიანის მონაწილეობის გარეშე. არაფორმალური მეთოდებია ადამიანის მიზანმიმართული საქმიანობა. ფორმალური მეთოდები შეიძლება დაიყოს:

1. ფიზიკურ საშუალებებად, სადაც შედის მექანიკური, ელექტრული, ელექტრომექანიკური, ელექტრონული და სხვა ტიპის მოწყობილობები და სისტემები. ისინი ავტომატურ რეჟიმში ფუნქციონირებენ და მადესტაბილიზატორებელ ფაქტორებს წინაღობებს უქმნიან.

2. აპარატულ საშუალებებად, რომლებიც ჩამონტაჟებულია ობიექტის აპარატურაში სპეციალურად ინფორმაციის დაცვის მიზნით.

ორივე ეს საშუალება ერთიანდება ინფორმაციის დაცვის ტექნიკური საშუალებების კლასში.

3. პროგრამული საშუალებები სპეციალური პროგრამების პაკეტებს ან ცალკეულ პროგრამებს წარმოადგენენ. ისინი შეყვანილია ავტომატიზირებული





სისტემების პროგრამულ უზრუნველყოფაში. მაგალითად

ინფორმაციის დაცვის მეთოდების და საშუალებების კლასიფიკაცია




მონაცემთა ბაზის კრიპტოგრაფიული შეცვლის პროგრამები.

არაფორმალური მეთოდები იყოფა: საორგანიზაციო, საკანონმდებლო და მორალურ-ეთიკურ საშუალებებად. ინფორმაციის დაცვის მეთოდებსა და საშუალებებზე ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ქვემოთ მოყვანილი ნახაზი.

ორგანიზაციული საშუალებები ეს არის ინფორმაციის მატარებელი ობიექტების ფუნქციონირებისათვის სპეციალურად შემუშავებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების ნუსხა. ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ამ დროს მიზანმიმართულ საქმიანობას ანხორციელებს. საკანონმდებლო საშუალებები ეს არის ქვეყანაში არსებული ნორმატიულ-სამართებლივი აქტები. მათი მეშვეობით ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებული პიროვნებების, ორგანიზაციების უფლებებისა და მოვალეობის რეგლამენტირება ხდება. დგინდება იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც მოახდენენ ინფორმაციის დაცვის წესების დარღვევას. მორალურ-ეთიკური ნორმები არის სახელმწიფოში და სხვადასხვა სოციალურ ფენებში დამკვიდრებული მორალური ნორმების და ეთიკური წესების ერთობლიობა. არსებული გამონათქვამიდან გამომდინარე "საიდუმლოს ინახავენ ადამიანები და არა ციხესიმაგრეები", ჩვენი აზრით ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უდიდესი როლი ენიჭება საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალურ-ეთიკურ ნორმებს. აქ იგულისხმება საიდუმლო ინფორმაციის მატარებელი ადამიანების სათანადო განათლების დონე და მასში გარკვეული თვისებების, შეხედულებების, ფასეულობათა სისტემის ფორმირება. მხედველობაში გვაქვს პატრიოტიზმი, ერთგულება, პროფესიონალიზმი.

ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემებზე ორიგინალური მოსაზრება გამოთქვა რუსეთის კრიპტოგრაფიის აკდემიის წევრ კორესპონდენტმა ს. რასტორგუევმა. მან შემოიტანა "დაცვის აბსოლუტური სისტემების" ცნება. რასტორგუევი ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას ცხოველთა სამყაროში არსებულ დაცვის მეთოდებს ადარებს. რუსი მეცნიერი მათ შორის ბევრ საერთოს ხედავს. ცხოველთა სამყაროს ახასიათებს:

**1. პასიური დაცვა.** მუქარის არსებობის დროს ცხოველები კეტავენ ზემოქმედების ყველა გზას და ტერიტორიულ დაბრკოლებებს აშენებენ. ინფორმაციული უსაფრთხოების განხორციელებისას მთავარი მეთოდი დაბრკოლებების შექმნაა.

**2. ადგილმდებარეობის გამოცვლა.** ცხოველის დამალვის სურვილი შეიძლება შეუსაბამოთ ისეთ ხერხს, როგორიცაა ინფორმაციის დაფარვა.

**3. გარეგნობის ცვლილება, მიმიკრია, შერწყმა ლანდშაფტთან.** თავდამსხმელმა მხარემ იგი უინტერესო ობიექტად უნდა ჩათვალოს. ანალოგიურად ინფორმაციის დაცვისას ადგილი აქვს შენიღბვის მეთოდს.

როგორც ვნახეთ, ინფორმატიზაციის პროცესისას საზოგადოებაში თავს იჩენს კულტურული, სოციალური, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური ხასიათის პრობლემები. ინფორმაციული უსაფრთხოების ცნების განმარტება, მისი მუქარის წყაროების კლასიფიკაცია და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის ძირითადი მეთოდების განსაზღვრა აღნიშნული პრობლემების მოგვარების საშუალებას გვაძლევს. შესაძლებლობა გვეძლევა ინფორმაციული თავდასხმის შემთხვევაში მოვახდინოთ ადეკვატური რეაგირება.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. ფრენსის ფუკუიამა 'ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი", თბილისი 1999 წელი.
2. Мануэль Кастельс ,, Информационная Эпоха", Высшая Школа Экономики, Москва, 2000 г.
3. Дэвид Джери, Джулия Джери ,,Большой Толковый Социологический словарь" Москва, 1999 г.
4. Землианова Л. М. ,,Зарубежная коммуникативистика предверии информационного общества" МГУ, Москва, 1999 г.
5. К. К. Колин ,,Фундаментальные основы информатики Социальная Информатика", Москва, 2000 г.
6. Доктрина информационной безопасности Российской Федерации, Москва, 2000 г.
7. В. Иноземцев ,,Постиндустриальное Общество" Академия, Москва 2000 г.
8. С. П. Расторгуев ,,Информацирование как способ защиты жизни", Яхтсмен, Москва 1996 г.
9. С. Н . Сёмкин ,,Основы информационной безопасности обьектов обработки информации", Москва, 2000 г.
10. Thurow L. Creating Wealth. The new rules for individuals, companies and countires a knowledge based economy. N. Y. Harper Collin, 1999
11. Smith Ad. The theory of moral sentiments. Indianapolis, 1982
12. Brod C. Technostress. The human cost of the computer revolution. Cambridge, 1984
13. Perry Link. China in transformation. Deadalos, 1993 spring
14. http:// www. ase.moldnet.md/ ~ osa/ pupllru/pubru 06.htm






# საქართველოს შიდა კონფლიქტურ რაიონებში მიმდინარე პროცესები

ირაკლი ნინუა

სამხრეთ კავკასიის პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების პოლიტიკური იერსახე კვლავაც ინარჩუნებს ისტორიულ არაერთგვაროვნებას, რაც ამ სახელმწიფოთა ვექტორების სხვადასხვაობაში აისახება. საქართველოში მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში, მნიშვნელოვანია სომხეთსა და აზერბაიჯანში მიმდინარე პროცესების შეფასება.

## ცხინვალის რეგიონი

### შიდაპოლიტიკური ვითარება

მიმდინარე წლის განმავლობაში ცხინვალის რეგიონში განვითარებული პროცესების მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს აღნიშნული პერიოდისათვის განვსაზღვროთ რეგიონში არსებული სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელისუფლებაში განხორციელდა გარკვეული საკადრო ცვლილებები. „მთავრობის" ხელმძღვანელის თანამდებობა დაიკავა თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების მინისტრმა, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ გენერალ-მაიორმა დ. სანაკოევმა, რომელიც მონაწილეობდა 1990-92 წლებში ქართულ-ოსურ შეიარაღებულ კონფლიქტში. მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე მ. ჩიგოევი დაინიშნა გენერალური პროკურორის თანამდებობაზე, რომელიც 1999 წლის ნოემბრიდან ვ. ჯიგკაევს ეკავა.

ამასთან, სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის, მთავრობის, ძალოვანი სტრუქტურების თანამდებობის პირთა შემადგენლობა პრაქტიკულად არ შეცვლილა. ისინი პრეზიდენტ ლ. ჩიბიროვთან დაახლოებული პირები არიან, ფლობენ მართვის გარკვეულ ბერკეტებს და ძალუძთ გაატარონ სეპარატისტული რეჟიმისათვის საჭირო პოლიტიკური კურსი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის თანამდებობაზე დაინიშნა ვ. გობოზოვი, რომელიც 1999 წელს ქართულ-ოსურ მხარეებს შორის მოლაპარაკებებში ლ. ჩიბიროვის წარმომადგენელი და ოსური ნაციონალისტური ორგანიზაცია „ადამონ ნიხასი"-ს ერთ-ერთი დამფუძნებელია. საგულისხმოა, რომ ლ. ჩიბიროვის ხელისუფლებაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს წინ უსწრებდა (მიმდინარე წლის მარტი) მისი ვიზიტი ქ. მოსკოვში, სადაც გაიმართა დაგეგმილი შეხვედრები რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებთან, სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე გ. პასტუხოვთან და მის მოადგილესთან, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელთან, ა. ჩეხოევთან. ამასთან ერთად, შეინიშნება რუსეთის გარკვეული პოლიტიკური წრეების რეგიონისადმი დაინტერესების ზრდის ტენდენცია, რომელიც სავარაუდოდ, კონფლიქტის დარეგულირების პროცესის დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე რუსეთის ადექვატური რეაქციის შედეგია.

**ოსური მხარე ისწრაფვის კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების საკითხებში კვლავ დაიკავოს მკაცრი და უკომპრომისო პოზიციები.**

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ოსური მხარე ისწრაფვის კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების საკითხებში კვლავ დაიკავოს მკაცრი და უკომპრომისო პოზიციები. კონფლიქტის დარეგულირებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რეგიონში ეკონომიკის რეაბილიტაცია და ლტოლვილთა დაბრუნება, რომელთა გადაწყვეტის საკითხებში რუსეთის დელეგაციის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსური მხარის პოზიციები იმთავითვე მიუღებელი და საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის ზიანის მომტანია, კერძოდ, ეკონომიკური პროექტების რეალიზაციისას რუსეთის ფედერაციისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება, რეგიონსა და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკას მოსაზღვრე რაიონში თავისუფალი ეკონომიკური ზონის ჩამოყალიბება, ლტოლვილი ოსი მოსახლეობის

მხოლოდ ოსური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე დაბრუნება და ა.შ. ოსური მხარის საკითხებისადმი ამგვარი მიდგომის საფუძველზე მოლაპარაკების წარმოების ჩამოყალიბებული ტაქტიკის მიზანია აიძულოს საქართველოს ხელისუფლება წავიდეს მაქსიმალურ დათმობაზე. აღნიშნული კი, რეგიონის მთელ ტერიტორიაზე რუსეთის გავლენის განმტკიცების და შემდგომში მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური „პატრონაჟის“ დაწესების პირობად განიხილება.

ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პროცესის პერსპექტივა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სეპარატისტულ ხელისუფლებაში არსებულ შიდაპოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც კვლავ რთული რჩება. ვითარების გართულება გამოიწვია პრეზიდენტ ლ. ჩიბიროვსა და პარლამენტის ოპოზიციურად განწყობილ წევრებს შორის დაპირისპირებამ, რომელსაც საფუძვლად დაედო შეუთანხმებლობა ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციის პროექტით გათვალისწინებული უფლებამოსილებების გადანაწილების საკითხში. მიმდინარე წლის თებერვალში ვითარების ესკალაციას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ პრეზიდენტს დაუპირისპირდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ჯგუფი პარლამენტის თავმჯდომარის ს. კოჩიევის ხელმძღვანელობით, რომელმაც პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვის ხარჯზე პარლამენტის უფლებამოსილების გაზრდა მოითხოვა. მხარეების მიერ ერთმანეთის დისკრედიტაციის მიზნით წარმოებული კამპანიის მიუხედავად ოსური მოსახლეობის ფართო ნაწილი მიმდინარე პროცესებისადმი ინდიფერენტული რჩებოდა, რამაც წარმოქმნილი დაპირისპირების ლოკალიზების პირობა შექმნა და საშუალება მისცა პრეზიდენტ ლ. ჩიბიროვს ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელისუფლების გავლენიანი ძალების მხარდაჭერით განემტკიცებინა საკუთარი პოზიციები (ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ს. ქესაევის ქ. ცხინვალში ვიზიტი და ლ. ჩიბიროვისადმი მხარდაჭერის დემონსტრირება). ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ე.წ. პრეზიდენტის თავმჯდომარეობით კონსტიტუციის პროექტზე მომუშავე კომისიის მიერ მომზადებული კონსტიტუციის პროექტის საბოლოო ვარიანტში, რომელიც 8 აპრილის „რეფერენდუმზე“ ხმების უმრავლესობით იქნა მიღებული, გარკვეულწილად გათვალისწინებული იქნა ოპოზიციის მოთხოვნები, თუმცა აღნიშნული ცვლილებები არაარსებითია, არ გაუქმდა ე.წ. პრეზიდენტის არჩევნებში (2001 წლის ნოემბერი) პრეზიდენტობის კანდიდატებისთვის დაწესებული ცენზი (ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კონსტიტუციით პრეზიდენტობის კანდიდატი არჩევნების დღიდან ბოლო 10 წლის განმავლობაში „რესპუბლიკა“-ში უნდა ცხოვრობდეს), რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს ამჟამად რუსეთში მცხოვრები ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიული ფუნქციონერების და პოლიტიკოსების (ფ. სანაკოევი, თ. ყულუმბეგოვი, რ. ხუგაევი და სხვა) არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობას. შიდაპოლიტიკური ვითარების თავისებურებას განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ ოსურ ხელისუფლებაში არსებული დაპირისპირების შედეგად აქტიურად მიმდინარეობს ძალების პოლარიზების პროცესი პრეზიდენტ ლ.ჩიბიროვის „მომხრეებად“ და მის „მოწინააღმდეგეებად.“ საგულისხმოა, რომ პრეზიდენტ ლ.ჩიბიროვის „მომხრე“ ე.წ. სამხრეთ ოსეთის კომუნისტური პარტიის წევრთა ინიციატივით შეიქმნა ახალი პოლიტიკური გაერთიანება - „ოსეთის კომუნისტური პარტია“, რომლის დამფუძნებლებს შორის არის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ი. მამიევი.

## ეკონომიკური სიტუაცია

ოსური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე ფინანსურ-ეკონომიკური ვითარება კვლავ მძიმე რჩება. რუსეთიდან შემოსული პროდუქციის მოცულობა ადრინდელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკასთან დამაკავშირებელ ავტომაგისტრალზე საბაჟო-ადმინისტრაციული რეჟიმის გამკაცრებისა და კორუფციის მასშტაბების გაზრდით არის განპირობებული. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, როკის გვირაბის გავლით ტვირთბრუნვის მოცულობა დიდია. კერძოდ, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის საბაჟოს მონაცემებით 2000 წელს ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში შეტანილი იყო 143,1 ათასი ტონა ტვირთი, მაშინ, როდესაც „ზემო ლარსი“-ს სასაზღვრო-გამტარი პუნქტის გავლით 2000 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 132,8 ათას ტონას შეადგენდა. ლარის კურსის სტაბილურობა ხელს უწყობს მასზე მოთხოვნილების ზრდას. ამავე დროს, ოს და ქართველ მოსახლეობას შორის სავაჭრო ოპერაციები საკმაოდ აქტიურად და წარმატებულად მიმდინარეობს, რაც ძირითადად ეფუძნება კონტრაბანდულ ბიზნესს. აღსანიშნავია, რომ სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ბიუჯეტში შემოსავლების ძირითად წყაროს საბაჟო გადასახადები შეადგენენ, კერძოდ, 2000 წელს შემოსავლებმა სულ 48680,4 ათასი რუსული რუბლი, ხოლო ბიუჯეტის სტრუქტურაში მხოლოდ საბაჟო გადასახადებიდან შემოსული თანხების მოცულობამ მთლიანი შემოსავლების 54,5% შეადგინა. მიმდინარე წლის ე.წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები საპროგნოზო მონაცემის თანახმად დაახლოებით 70000 ათას რუსულ რუბლს შეადგენს, რომლის 55% საბაჟო შემოსავლებიდან იქნება მიღებული.





საბიუჯეტო-საფინანსო სისტემის თავისებურებას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ფინანსური სახსრების ხარჯვის მონოპოლია პრაქტიკულად პრეზიდენტის და მისი მხრიდან უფლებამოსილებით აღჭურვილ მთავრობის თანამდებობის პირებს გააჩნიათ. ამავე დროს, ფულადი სახსრების გარკვეული ნაწილი რუსეთის და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის კომერციულ ბანკებშია განთავსებული, ხოლო მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მიმოიქცევა ადგილობრივი საბანკო-საკრედიტო დაწესებულებების გვერდის ავლით. საბანკო სისტემა სამრგოლიან (ე.წ. სამხრეთ ოსეთის ეროვნული ბანკი, სახელმწიფო და კომერციული ბანკები), დაბალეფექტურ და სხვადასხვა ფინანსური მაქინაციების განხორციელების ინსტრუმენტად რჩება.

საწარმოო ობიექტების უმრავლესობა ამორტიზირებულია. ამასთან, შეინიშნება ძირითადი და საბრუნავი ფონდების, ასევე ნედლეულის დეფიციტი. 2000 წელს წარმოებული პროდუქციის ღირებულებამ 10,2 მლნ. რუსული რუბლი შეადგინა. რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის შეზღუდული მიწოდების პირობებში, მცირე დატვირთვით (საპროექტო სიმძლავრის 10-25%) შედარებით სტაბილურად ფუნქციონირებდნენ მხოლოდ ცხინვალის ხე-ტყის გადამამუშავებელი კომბინატი, ელექტროვიბრაციული მანქანების, მომინანქრებული ელექტროსადენების და ბაგიათის მინერალური წყლის ქარხნები. ამასთან, სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობაში ამ უკანასკნელის წილი 60%-ს აღემატება. ამავე დროს, კვაისის სამთო-გამამდიდრებელი ფაბრიკის პროდუქცია და მაღაროებიდან მოპოვებული ნედლეული მთლიანად ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში გაედინება. ანალოგიური მდგომარეობაა შექმნილი ხე-ტყის ნედლეულის გამოყენების თვალსაზრისით, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა მრეწველობაში გამოსაყენებლად ვარგისი ტყის ფონდის მოცულობა. მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა კონკურსი, თუმცა მასში გამარჯვებული რამდენიმე ადგილობრივი ფერმერული მეურნეობისათვის გათვალისწინებული შეღავათიანი კრედიტი სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სახსრების დეფიციტის მოტივით მთლიანად არ გამოიყო და ფაქტობრივად, კრედიტის სახით გაცემულმა თანხამ 2001 წლის თებერვლისათვის 200 ათასი რუსული რუბლი შეადგინა.

აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის მიერ წარმოებული პროდუქცია ნაწილობრივ უზრუნველყოფს რეგიონის შიდა ბაზრის მოთხოვნებს. სარწყავ-საირიგაციო სისტემები მოითხოვენ შეკეთებას და რეკონსტრუქციას. აღნიშნულის გამო, განსაკუთრებით რთული მდგომარეობა შეიქმნა გასულ წელს, როდესაც გვალვის შედეგად განადგურდა მარცვლეულის ნათესი ფართობების დიდი ნაწილი. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ რუსეთის ფედერაციიდან ე.წ. სახელმწიფო მეურნეობებისა და ცალკეული პირების მიერ შემოტანილი სასუქი და შხამქიმიკატები ადგილობრივ ბაზარზე დიდ კონკურენციას უწევენ სააქციო საწარმო „აზოტი“-ს პროდუქციას.

რეგიონში 1999-2000 წლებში წარმოების მოცულობა უმნიშვნელოდ გაიზარდა. განხილულ პერიოდში ადგილობრივი წარმოების გაზრდის ფაქტორები არ არსებობდა, ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესება არ შეინიშნებოდა, რის გამოც მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გასულ წელთან შედარებით ადგილობრივი წარმოების რეალური ზრდა, სავარაუდოდ, უმნიშვნელოა.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური წრეების მიერ აქტიურად განიხილება ჩრდილოეთ ოსეთის რესპულიკის ტერიტორიის გავლით რუსეთის ამიერკავკასიასთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის მშენებლობის საკითხი. მომზადებულია შესაბამისი პროექტები (მ. შ. პროექტი „იუჟნიე ვოროტა“), რომლებიც ცხინვალი-ალაგირი საავტომობილო მაგისტრალის რეკონსტრუქციას ითვალისწინებენ. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის გავლით საქართველოსთან დამაკავშირებელი გზების რეკონსტრუქცია, რის შედეგად 2006 წლისათვის ორივე მიმართულებით გატარებული ტვირთების მოცულობა სავარაუდოდ 140 მლნ. ტონას შეადგენს.

მიმდინარე წლის მაისიდან, განვლილი წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, უმნიშვნელოდ გაიზარდა პენსიები და ხელფასები. მათი მინიმალური ოდენობა შესაბამისად 60 და 115 რუსული რუბლით განისაზღვრა. სეპარატისტულ მთავრობას გააჩნია დიდი შიდა დავალიანება მოსახლეობისადმი, რომელიც გამოწვეულია ხელფასების, პენსიების და სოციალური დახმარებების გაუცემლობით. ნომინალური ხელფასი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება მინიმალური სამომხმარებლო კალათის რეალურ ფასს. აღნიშნული გარემოება ნაკლებად სასურველ პერსპექტივას სახავს ოსი ახლგაზრდობისათვის, რომლის დიდი ნაწილი უმუშევარი, ნაწილი თვითდასაქმებული და ხშირ შემთხვევაში ნახევრად კრიმინალურ ბიზნესშია ჩართული. ბოლო სამი წლის განმავლობაში ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1300 კურსდამთავრებულიდან სპეციალობით მუშაობს მხოლოდ 32 ადამიანი. ამავე პერიოდში 480 პროფტექნიკური და სხვა სასწავლებლების კურსდამთავრებულებიდან მუშაობს მხოლოდ 37 ადამიანი, ხოლო 1532 საშუალო სკოლადამთავრებულიდან 559 უმუშევარია. ამავე დროს „პრესტიჟული“ და „ელიტარული“ სამსახურის კატეგორიაში შედის ოსური ძალოვანი სტრუქ-

ტურები, საგზაო ფონდი და საბაჟო სამსახური. აღსანიშნავია, რომ საბაჟო სამსახურის რიგითი თანამშრომელის შემოსავალი ცვლაში 1200-1500 რუსულ რუბლს შეადგენს.

### დემოგრაფიული მდგომარეობა

დემოგრაფიული მდგომარების გაუმჯობესება შრომითი რესურსების რუსეთის ფედერაციის რეგიონებსა და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში მასობრივი მიგრაციის გამო, უახლოეს პერიოდში ნაკლებად არის მოსალოდნელი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილი 17 ათასამდე ადამიანი მზად არის მიიღოს რუსეთის მოქალაქეობა და საცხოვრებლად დარჩეს ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში. საგულისხმოა, რომ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი იძულებით გადაადგილებული და ლტოლვილი მოსახლეობისათვის შენდება 11 დასახლება, რომელიც 900 ოჯახისთვისაა გათვალისწინებული.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, რომელიც ეყრდნობა მიმდინარე წლის 8 აპრილს ჩატარებული „რეფერენდუმის" შედეგებს, ოს ამომრჩეველთა რაოდენობა 34,3 ათას ადამიანს შეადგენს. არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით კი რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა საშუალოდ 43 ათას ადამიანს შეადგენს, ამასთან მათი 60%-ზე მეტი საშუალო და უფროსი ასაკის მცხოვრებია.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იმართება სეპარატისტული ხელისუფლების მხრიდან, რაც ძირითადად ძალოვან სტრუქტურებზე დაყრდნობით და შესაბამისი აგიტაციურ-პროპაგანდისტული მუშაობის წარმატებული განხორციელებით არის უზრუნველყოფილი. ამავე დროს, ოსი მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ყურადღება გადატანილია ყოველდღიური ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაზე, რის გამოც შექმნილია პოლიტიკური აზროვნების დეფიციტი. ადგილობრივი გაზეთებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემატიკას, რომელიც დისკრედიტაციას უწევს საქართველოს და ოს მოსახლეობაში ქართული ხელისუფლების ინიციატივებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების განმტკიცებას ემსახურება. ამ მიმართებით გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ადგილობრივი ოსი ახალგაზრდობა პრაქტიკულად არ ფლობს ქართულ ენას, ისტორიას და ქართულ-ოსური ურთიერთობების ასპექტების დამახინჯებული წარმოდგენის საფუძველზე საქართველოს პოტენციურ მტრად განიხილავს. აღნიშნული ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ოსურ მოსახლეობაში შექმნილია გარკვეული სტერეოტიპები. ამ მიმართებით საყურადღებო და კვლავაც აქტუალურია ცხინვალის საინფორმაციო ცენტრის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები, რომლის თანახმად რეგიონისათვის საქართველოსაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური სტატუსის მინიჭებას ემხრობოდა გამოკითხულთა 80%.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში არსებული 27 ქართული სოფელი ადმინისტრაციულად გაერთიანებულია ქურთის, ერედვის, თიღვის თემებში. მკვიდრი ქართული მოსახლეობა 14 ათასს აღწევს, რომელთაგან 1,3 ათასი იძულებით გადაადგილებულია.

ქართული მოსახლეობის ფსიქოლოგიური მდგომარეობისათვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი მომენტები:

· მდ. დიდი და პატარა ლიახვის ქართულ მოსახლეობას მიაჩნია, რომ ცენტრალური სახელისუფლებო სტრუქტურები ვერ ახერხებენ მათი ეროვნული ინტერესების გარანტირებულ დაცვას, მაშინ როდესაც ოსური სახელისუფლებო სტრუქტურები მეტ-ნაკლები ეფექტურობით ცდილობენ გავლენის სფეროების გაფართოებას ქართველი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებზე;

· ქ. ცხინვალიდან იძულებით გადადგილებულ მოსახლეობას დაკარგული აქვს მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების რწმენა, ვინაიდან ოსური სეპარატისტული ხელისუფლებისათვის აღნიშნულმა საკითხმა პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა და მისი გადაწყვეტა უახლოეს მომავალში, კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ნაკლებპერსპექტიულ მოვლენად არის მიჩნეული.

### სამხედრო-პოლიტიკური ვითარება

განვლილი პერიოდის განმავლობაში კონფლიქტის ზონაში განხორციელდა შერეული სამშვიდობო ძალების რუსული სამშვიდობო ბატალიონის მორიგი როტაცია, რომლის შედეგად, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში დისლოცირებული რუსეთის 58-ე არმიის ქვედანაყოფებით დაკომპლექტებული ბატალიონის 400-მდე სამხედრო მოსამსახურე შეიცვალა იმავე არმიის სამხედრო მოსამსახურეებით. ამავე დროს, შერეული სამშვიდობო ძალების ყოფილი სარდლის ე. ჩურაევის მოვალეობას ასრულებს სამშვიდობო ძალების შტაბის უფროსი-პოლკოვნიკი ა. პარასკევა. უახლოეს პერიოდში სამშვიდობო ძალებში მოსალოდნელი საკადრო ცვლილებები დაკავშირებულია სამშვიდობო ძალების ახალი სარდლის დანიშვნასთან, რომელიც სავარაუდოდ იქნება ქ. გროზნოს კომენდანტი გენერალ-მაიორი ვ. პრიზემლინი.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების ეფექტურობა დაბალია, რაც ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მათი საქმიანობა პოსტკონფლიქტურ პერიოდში მშვიდობის უზრუნველყოფის აქტუალური ამოცანების გადაწყვეტისათვის საჭირო მოთხოვნებს არ პასუხობს. ამავე დროს, რუსეთის სამშვიდობო ძალები, სარგებლობენ ოსური სეპარატისტული ხელისუფლების და ადგილობრივი ოსური მოსახლეობის სრული მხარდაჭერით და ფლობენ რეგიონში სიტუაციის მართვის ბერკეტებს. აღნიშნულთან დაკავშირებით საგულისხმოა, ცხინვალში საქართველოს სამშვიდობო ძალების სასწავლო-მოსამზადებელი ბაზის ჩამოყალიბების ინიციტივისადმი საქართველოში რუსეთის ფედერაციის ყოფილი ელჩის ფ. სტანევსკის პოზიცია, რომლიც მკვეთრად უარყოფითია და ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა კონფლიქტის ზონაში დაძაბულობას გაზრდის და შესაძლებელია გამოიწვიოს „ამიერკავკავკასიის რეგიონის სამხედრო საკითხების გადაწყვეტაში თურქეთის ჩაბმა." შექმნილი საერთო მდგომარეობის და სიტუაციის განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით, სავარაუდოდ, შერეული სამშვიდობო ძალების საქმიანობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ არის მოსალოდნელი.

ლ. ჩიბიროვის სეპარატისტული ხელისუფლების პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებად რჩება პრეზიდენტის ხელისუფლების მხრიდან ძალოვანი სტრუქტურების მართვის ბერკეტების გაძლიერებასა და მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაზე ზრუნვა. აღნიშნული პოლიტიკის თვალსაჩინო გამოვლინება არის ე.წ. მთავრობის თავმჯდომარედ, თავდაცვის და საგანგებო სიტუაციების მინისტრის, 32 წლის დ. სანაკოევის დანიშვნა, რომელიც 1990-92 წლების შეიარაღებული კონფლიქტის აქტიური მონაწილეა. ამასთან ერთად, ე.წ. საგანგებო სიტუაციების და თავდაცვის სამინისტროს, ასევე სამშვიდობო ძალების ოსური ბატალიონის უფროს ოფიცერთა შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილი იმავე კონფლიქტის მონაწილეა და მობილიზაციის შემთხვევაში, სწორედ ისინი დაიკავებენ ჩამოყალიბებული ქვედანაყოფების მეთაურების თანამდებობებს. ე.წ. მობილიზაციის შესახებ კანონის საფუძველზე, რომელიც მიღებულია 2000 წელს, პრაქტიკულად სისტემაშია მოყვანილი რეზერვთან მუშაობის საორგანიზაციო საკითხები. პრიორიტეტი ენიჭება რეზერვის მომზადებას ტერიტორიული პრინციპით. რეგიონის მთიან რაიონებში მოქმედებებისათვის მოსამზადებლად ყურადღება გამახვილებულია ჯავის რაიონის მკვიდრ მოსახლეობაზე.

სეპარატისტების შეიარაღებულ ძალებში მიმდინარეობდა მორიგი საგაზაფხულო გაწვევა ა.წ. აპრილ-ივნისში და გაწვეული კონტინგენტით ოსური სამშვიდობო ბატალიონის დაკომპლექტება. აღნიშნული ღონისძიების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით მიღებული იყო ძალოვანი სტრუქტურების ერთობლივი მოქმედების პროგრამა. ოსი ახალგაზრდობის სამხედრო სამსახურში გაწვევის სტიმულირების მიზნით მიღებულია გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ოსურ ძალოვან სტრუქტურებში და „მაღალ თანამდებობებზე" დასანიშნად წარდგენილ კანდიდატებს გავლილი უნდა ჰქონდეთ ე.წ. სავალდებულო-სამხედრო სამსახური. ოსურ ახალგაზრდობაში და საერთოდ მოსახლეობაში შეინიშნება სამხედრო მოსამსახურეებისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება.

### კრიმინოგენური ვითარება და ძალოვანი სტრუქტურები

ოსური ძალოვანი სტრუქტურების დაფინანსების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის წყაროების გაზრდის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია კონტრაბანდული საქმიანობიდან და ერგნეთის ბაზრობიდან ამოღებული თანხები, რომლებიც სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქციით ვაჭრობიდან შემოდის. მიმდინარე პერიოდში მხოლოდ აღნიშნული ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული ოსური „საგუშაგოების" რაოდენობა ერთ ათეულს აღწევს და მათი ძირითადი ფუნქციაა ე.წ. სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი თანხების ამოღებაზე კონტროლის განხორციელება. ამავე დროს აღნიშნული ბიუჯეტი პრაქტიკულად მათ მიერ მიღებული სახსრების რეფინანსირების ინსტრუმენტად გამოიყენება.

რეგიონში შექმნილია რთული კრიმინოგენური მდგომარეობა. შეინიშნება ორგანიზებული დაჯგუფებების მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულის რიცხვის ზრდა. დანაშაულის სტატისტიკის ამსახველ მონაცემებზე დაყდნობით, რეგიონში მომხდარი დანაშაულებები თითქმის თანაბრად არის გადანაწილებული ისეთი სახის დანაშაულთა შორის როგორიცაა: განზრახ მკვლელობა, ქონების გატაცება, ნარკობიზნესი. მდგომარეობის გაუარესების გამომწვევ გარემოებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოსახლეობიდან ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების ამოღების პროცესის გაჭიანურებას. უარყოფით როლს ასრულებს ოსური სეპარატისტული ხელისუფლების გადაწყვეტილება, ლეგალიზება გაუკეთოს მოსახლეობაში არსებულ ცეცხლსასროლ იარაღს, რისთვისაც უკვე მიღებულია ე.წ. კანონი ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ. ამავე დროს, მათი სტრუქტურების მხრიდან შერეული სამშვიდობო ძალებისათვის მოსახლეობის მხრიდან იარაღის ჩაბარების პროცესის დაბალეფექტურობის მიზეზად დასახელებულია ის გარემოება, რომ კონფლიქტის ზონაში არ ყოფილა მიღებული უსაფრთხოების დაცვის ქმედითი ზომები.


ბიულეტენი №59 სექტემბერი 2001 წ.

განვლილი პერიოდის განმავლობაში კრიმინოგენური ვითარების გაუარესების გამომწვევ ფაქტორს წარმოადგენდა სეპარატისტული ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურებში არსებულ დაჯგუფებებს შორის დაპირისპირების გამწვავება, რომელსაც ხელი შეუწყო ცალკეული თანამდებობის პირთა ინტერესების გადაკვეთამ. ამ მხრივ აღსანიშნავია დაპირისპირება ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პარლამენტის წევრ, კომერციული ბანკი „სელხოზბანკი“-ს მმართველ ი. თიბილოვსა და პრეზიდენტ ლ. ჩიბიროვის სახელმწიფო მრჩეველ პ. გათიკოევს შორის. პარლამენტარი ი. თიბილოვი, რომლის ხელმძღვანელობით მომზადდა და ოსურ პროკურატურას გადაეცა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ეროვნული ბანკის შემოწმების მასალები, პ. გათიკოევმა დაადანაშაულა მისადმი რწმუნებული ბანკიდან თანხების გაფლანგვაში. არსებობს ვერსია, რომლის თანახმად „სელხოზბანკი“-ს ხელმძღვანელობა დაკავშირებული იყო რუსეთის ფედერაციის ეროვნული ბანკიდან თანხების თაღლითური დატაცების მცდელობაში მიმდინარე წლის აპრილში.

ამავე დროს რეგიონის ტერიტორია სეპარატისტული, შიდა და გარე დესტრუქციული ძალების მიერ იარაღის და საბრძოლო მასალების კონტრაბანდისთვის გამოიყენება, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ძალების ალიანსი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დაძაბულობის კერების პროვოცირების ფაქტორს წარმოადგენს.

## აფხაზეთი

### შიდაპოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია

მიმდინარე წლის განვლილი პერიოდის განმავლობაში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ვითარება კვლავ დაძაბული რჩებოდა და მოსალოდნელი იყო არსებული სიტუაციის გარკვეული მიმართულებით პროვოცირების მცდელობა, რაც შესაძლოა შეიარაღებულ დაპირისპირებში გადაზრდილიყო, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვლ. არძინბას და მის სეპარატისრულ ხელისუფლებას საგარეო პოლიტიკურ და ეკონომიურ ასპარეზზე პრობლემები თითქმის არ ხვდებათ. უფრო მეტიც, ჯერჯერობით ისინი ნელ-ნელა, თუმცა სტაბილურად ახერხებენ აღნიშნულ სფეროებში წინ წაწევას.

აფხაზეთის სეპარატისტულმა მთავრობამ გახსნა თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენლობები რუსეთის მთელ რიგ ქალაქებსა და სხვა ქვეყნებში. სწორედ მათი მეშვეობით მყარდება პოლიტიკური, კულტურული და სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო სტრუქტურებთან (აღნიშნულს აფხაზური მხარე მიიჩნევს დამოუკიდებლობის აღიარებად). აფხაზეთში ყოველწლიურად რამოდენიმე საერთაშორისო დონის დელეგაცია ჩადის გერმანიიდან, ინგლისიდან, კანადიდან, ნორვეგიიდან, თურქეთიდან, რუსეთიდან, გაეროდან და ეუთოდან.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი პოლიტიკური გზებით გადაჭრის პროცესში ჩარეული არიან ისეთი დონის საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა გაერო და ეუთო, თუმცა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხი საქართველოს შემადგენლობაში კვლავ გადაუჭრელი რჩება. სეპარატისტული მთავრობა, იყენებს რა ზემოთ აღნიშნულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებს და სარგებლობს რუსეთის მხარდაჭერით, აქტიურად დგას თავის პოზიციაზე. არძინბას განცხადებით: „აფხაზეთში შექმნილია სამართლებრივი ბაზა სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის, ჩამოყალიბებულია სახელისუფლო სტრუქტურები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ აფხაზეთი შედგა როგორც სახელმწიფო და არჩეული გზიდან არ გადაუხვევს.“

გაეროს მისიის ყოფნა კონფლიქტის ზონაში მხოლოდ ოთხმხრივი შეხვედრების ორგანიზებით შემოიფარგლება, თუმცა ამ შეხვედრებმა უკვე ფორმალური სახე მიიღო და ხშირად იშლება კიდეც აფხაზური მხარის გამოუცხადებლობის გამო. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის და საქართველოში მისი სპეციალური წარმომადგენლის დიტერ ბოდენის შეფასებები სამშვიდობო პროცესების მიმართ მკვეთრად განსხვავდება. კოფი ანანის აზრით, საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის გადაწყვეტაში პროგრესი არ არის და ამან შეიძლება საფრთხე შეუქმნას მთელ შემდგომ სამშვიდობო პროცესს, ხოლო დიტერ ბოდენი თვლის, რომ მხარეებს შორის შეიმჩნევა წინგადადგმული ნაბიჯები.

აფხაზეთის სეპარატისტულმა მთავრობამ გახსნა თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენლობები რუსეთის მთელ რიგ ქალაქებსა და სხვა ქვეყნებში. სწორედ მათი მეშვეობით მყარდება პოლიტიკური, კულტურული და სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო სტრუქტურებთან.

ზემოაღნიშნული საგარეო პოლიტიკური კურსის შედეგად სეპარატისტებმა შეძლეს განეხორციელებინათ





მრავალი სავაჭრო-ეკონომიკური, საბანკო-საფინანსო, საინვესტიციო და საპრივატიზაციო პროგრამა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

1999 წელს ჩრდილოეთ კავკასიისა და რუსეთის სამხრეთის რესპუბლიკების, მხარეების ოლქების სოციალურ-ეკონომიკური თამნამშრომლობის ასოციაციაში აფხაზეთი ასოცირებულ წევრად მიიღეს, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის უხეში დარღვევაა. ეკონომიკურ ფორუმებზე აფხაზეთის აქტიური მონაწილეობა და სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში ჩართვა, უცხოეთიდან შემოტანილი დანადგარებით აღჭურვილი ათობით რუსულ-აფხაზური ერთობლივი საწარმოების შექმნით, პროდუქციის ფართო ბაზრით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ბარტერული გაცვლით და სხვა ეკონომიკური ბერკეტებით საკმაოდ მტკიცდება სეპარატისტების ხელისუფლება.

მიმდინარე წლის მაისის თვის ბოლოს ვლადისლავ არძინბას განკარგულებით, სეპარატისტულ აფხაზეთში განხორციელდა ცვლილებები სამთავრობო სტრუქტურებში, რაც გამოიხატა მინისტრთა კაბინეტის მთელი შემადგენლობის და პრემიერ მინისტრის ვლადისლავ ცუგბას გადადგომაში, რაც ფაქტიურად დაკავშირებული იყო აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის ლიდერობისათვის ბრძოლასთან. აღნიშნული დაჯგუფებების ლიდერები ნ. ხაშბა, ს. შამბა, ს. ბაღაფში და ლ. ლაკერბაია პრემიერ-მინისტრის პოსტს განიხილავდნენ, როგორც ერთგვარ წინაპირობას პრეზიდენტის თანამდებობის დასაკავებლად. მითუმეტეს, რომ სეპარატისტული აფხაზეთის ამჟამინდელ ხელმძღვანელს - ვლ. არძინბას სერიოზული პრობლემები გააჩნია ჯანმრთელობის მხრივ. არ არის გამორიცხული, რომ სოხუმის მთავრობის გადადგომა მიანიშნებს რუსეთის მცდელობაზე ჩამოაცილოს არძინბა ხელისუფლებას, ვინაიდან იგი უკვე ველარ აკონტროლებს სიტუაციას აფხაზეთში.

მინისტრთა კაბინეტის გადადგომის ერთ-ერთ წინაპირობად სახელდებოდა აგრეთვე ვ. ცუგბას მოღვაწეობის პერიოდში დაშვებული ე.წ. „შეცდომები“, კერძოდ:

· რუსეთის ხელისუფლებამ არ აპატია სეპარატისტთა მთავრობას აფხაზეთის ინფრასტრუქტურაში თურქეთის ეკონომიკის შეჭრა და იქ მისი ინტერესების დამკვიდრება, რამაც გარკვეულწილად შეასუსტა რუსეთის ზეგავლენა რეგიონზე.

· ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების პროცესში „აფხაზეთის რესპუბლიკის“ (შესაბამისად რუსეთის) ინტერესების დასაცავად ნაკლებად ეფექტური ღონისძიებების და ქმედებების გატარება.

აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, არც არძინბა არის დაზღვეული თანამდებობის დაკარგვისაგან და ადვილი შესაძლებელია უახლოეს მომავალში მან თავად განაცხადოს უარი პრეზიდენტის თანამდებობაზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, თუმცა აღსანიშნავია, რომ მან ყველა ღონე იხმარა, რათა პრემიერ-მინისტრის პოსტზე ა.წ. 7 ივნისს მისთვის სასურველი ფიგურა - ანრი ჯერგენია დანიშნულიყო, რომელსაც მანამდე რესპუბლიკის გენერალური პროკურორის პოსტი ეკავა. ჯერგენიას პიროვნება ვ. არძინბასა და მისი ოჯახისთვის გარკვეულწილად ხელშეუხებლობის გარანტიას წარმოადგენს, რადგან მისი ბიძაშვილი არძინბას მეუღლეა.

ა. ჯერგენიამ დღეისათვის უკვე დაიწყო მთავრობის ფორმირების პროცესი. სეპარატისტული აფხაზეთის პრეზიდენტის ვლ. არძინბას ბრძანებით, პირველი ვიცე-პრემიერის პოსტი უშიშროების ყოფილმა შეფმა რაულ ხაჯინბამ დაიკავა, რომელიც ვ. არძინბას უერთგულეს პიროვნებად იყო მიჩნეული. თანამდებობები შეინარჩუნეს რამოდენიმე მინისტრმა: საგარეო საქმეთა მინისტრი კვლავ სერგეი შამბაა, თავდაცვის მინისტრი - ვ. მიქანბა, შინაგან საქმეთა მინისტრი - ზურაბ აგუმავა, ფინანსთა მინისტრი - ლილი ბგანბა, ეკონომიკის მინისტრი - ადგურ ლუშბა, იუსტიციის მინისტრი - ბატალ ტაბაღუა, ჯანდაცვის მინისტრი - ლუდმილა ავიძბა, განათლების მინისტრი - ბესლად დბარი, კულტურის მინისტრი - ვლადიმერ ზანტარია, სოცუზრუნველყოფის მინისტრი - ოლეგ ბოციევი, სოფლის მეურნეობის მინისტრი - ჯემალ ეშბა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური წრეების და სეპარატისტული აფხაზეთის შეშფოთება გამოიწვია ა.წ. ივნისის თვეში ყულევის სამხედრო პოლიგონზე ნატო-ს ეგიდით „პარტნიორობა მშვიდობისათვის 2001“ ჩატარებულმა სწავლებამ. მიუხედავად იმისა, რომ სწავლების ჩატარების პროგრამა და პროცესი არავისთვის გასაიდუმლოებული არ იყო, რუსეთის მხარე და სეპარატისტული აფხაზეთის ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა სიტუაცია წარმოეჩინათ მათთვის ხელსაყრელი რაკურსით. რუსეთის პრესაში აქტიურად მუსირებდა მოსაზრება, რომლის თანახმად გუდაუთაში დისლოცირებულმა რუსეთის სამხედრო ბაზის არსებობამ იმოქმედა, როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების აფხაზეთის წინააღმდეგ აგრესიის შეკავების ფაქტორმა, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოთქმულ აბსურდულ მოსაზრებას საკმაოდ ადვილად აბათილებს ის გარემოება, რომ ყულევში გამართულ სწავლების პროცესზე დასასწრებად აფხაზეთის და რუსეთის წარმომადგენლებიც იყვნენ მიწვეულნი, რაზეც მათ უარი განაცხადეს.

რუსეთის ფედერაციის სამხრეთ საზღვრებთან ნატო-ს გავლენის არეალის შესაძლო გაფართოების საშიშროება წარმოადგენს სეპარა-

ტისტული აფხაზეთის ამჟამინდელი აგრესიული პოლიტიკური კურსის ძირითად მიზეზს. როგორც ცნობილია, 1999 წლის სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილებით, ა.წ. 1 ივლისამდე რუსეთმა საქართველოს ტერიტორიიდან უნდა გაეყვანა ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზები, რაც გამოიწვევს რეგიონზე მისი გავლენის შესუსტებას. სწორედ აღნიშნული ფაქტორი განაპირობებს აფხაზეთში ამჟამად მიმდინარე მოვლენებს, რომელიც გუდაუთის ბაზის გაყვანას უკავშირდება. სავარაუდოდ რუსეთის პროვოცირებით, გუდაუთის მოსახლეობის ნაწილი წინ აღუდგა სამხედრო ბაზიდან შეიარაღების და ტექნიკის გაყვანას, რითაც შეფერხდა ბაზის გატანის პროცესი, რომელიც შესაბამის ვადაში უნდა დასრულებულიყო. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აღნიშნული სამხედრო ბაზა აფხაზი სეპარატისტების ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენს წარმოადგენს, ხოლო მისი გასვლის შემთხვევაში აფხაზები მოითხოვენ შეიარაღების და ტექნიკის მათთვის გადაცემას.

სეპარატისტების ბიზნესის აყვავებაში დიდი წვლილი მიუძღვით დსთ-ს სამშვიდობო ძალებს და მის სარდლობას. აღნიშნული ძალები კონფლიქტის ზონაში 1994 წლიდან იმყოფებიან. ამ პერიოდში დაიჭრა 70 და დაიღუპა 100-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე. დღეისთვის სამშვიდობო ძალებში 1600-მდე სამხედრო მოსამსახურე ირიცხება. რუსი გენერლები აკონტროლებენ თურქეთიდან აფხაზეთში შემოსულ გემებს, შესაბამისად, სიგარეტის, ნავთობპროდუქტების და სხვა სახის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების საშუალებების ექსპორტ-იმპორტს. ისინი ხელს უწყობენ აფხაზ ბიზნესმენებს, სანაცვლოდ კი სოლიდურ საჩუქრებსაც იღებენ (ძვირადღირებული აგარაკი და ავტომობილები). ამგვარი ურთიერთობების შედეგად „აფხაზეთის რესპუბლიკაში“ მუშაობა მიმდინარეობს არა მარტო მცირემასშტაბიან ეკონომიკურ ურთიეთობებზე, არამედ ისეთ ფართომასშტაბიან და სტრატეგიულ პროექტებზე, როგორიცაა ოჩამჩირის ყურეში ზღვის ფსკერის გაღრმავება, რათა პორტმა შეძლოს 5 ათასი ტონა წყალწყვის მქონე გემების მიღება.

ყოველივე ზემოაღნიშნული ეწინააღმდეგება დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა სამიტის გადაწყვეტილებებს, სადაც აღნიშნულია, რომ აფხაზეთი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი და გამომდინარე აქედან უნდა განხორციელებულიყო აფხაზეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ბლოკადა, რაც არ შედგა უპირველეს ყოვლისა რუსეთის ხელისუფლების განსხვავებული პოზიციით აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. საყურადღებოა, რომ აფხაზეთის ეკონომიკურ ბლოკადას რუსეთთან ერთად გარკვეულწილად არღვევენ დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებიც.

უკანასკნელ პერიოდში აფხაზეთში არსებული ვითარების შესწავლის შედეგად იკვეთება ის სტრატეგიული საკითხები და მიმართულებები, რომლებსაც თვითმარქვია რესპუბლიკის სეპარატისტული ხელისუფლება პრიორიტეტულად მიიჩნევს, კერძოდ:

· მთავრობა ცდილობს გაატაროს ადგილებზე ხელისუფლების განმტკიცების პოლიტიკა, რაც საშუალებას მისცემს უფრო ეფექტურად მართოს რაიონებში არსებული სიტუაცია (ა.წ. მარტში ჩატარდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არჩევნები);

· აფხაზეთში აქტიურად განიხილება სახელმწიფო ხელისუფლების ფორმის საკითხი, კერძოდ პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებისა და საპარლამენტო მმართველობის შემოღება;

· რუსეთის რეგიონებთან საქმიანი ურთიერთკავშირების განმტკიცების მიზნით, სეპარატისტული მთავრობა აწარმოებს ინტენსიურ მოლაპარაკებებს რუსეთის სახელისუფლო სტრუქტურების და საქმიან წრეებთან;

· სეპარატისტები ცდილობენ გაატარონ რეგიონში კრიმინალური ვითარების ლოკალიზაციის ღონისძიებები, მოქმედებაში იქნა მოყვანილი „ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო და საზოგადოებრივი პროგრამა“;

· შემუშავდა და ამოქმედდა გადასახადების აკრეფის მექანიზმები, განიხილება სამრეწველო ობიექტების აღდგენის და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობები და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის, კულტურის და განათლების აღდგენისთვის საჭირო თანხების მოძიების საკითხები.

· აქტიურად ხორციელდება აფხაზეთის მოსახლეობის მასიური ანტიქართული იდეოლოგიური „დამუშავება.“

აფხაზი სეპარატისტები თვლიან, რომ რესპუბლიკაში სტაბილიზაციის მიღწევის საფუძველს წარმოადგენს რეგიონის ეკონომიკური ბაზის განვითარება, რაც მათ სტაბილურ შემოსავლებს მოუტანთ. სეპარატისტებს არ გააჩნიათ მსხვილი ფინანსური საშუალებები ეკონომიკური ინფრასტრუქტურის აღსადგენად, რამაც გამოიწვია აფხაზეთის ტერიტორიაზე უცხოური კაპიტალის მოზიდვა. აფხაზეთის ბიუჯეტისთვის სერიოზულ შემავსებელ დონორებს წარმოადგენენ მთელი რიგი უცხოური ფირმები და ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული აფხაზეთის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და ტურიზმის ბიზნესში.

აღსანიშნავია, რომ ასეთი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს შესაძლებელია წინააღმდეგობა შეუქმნას რეგიონში კრიმინოგენური ვითარების და კორუფციის მაღალმა დონემ, რის გამოც სამართალდამცავი ორგანოები ცდილობენ გაამკაცრონ ბრძოლა როგორც კრიმინალურ ელემენტებთან, ასევე ოჯახურ კლანებთან. სეპარატისტებს კარგად ესმით, რომ მათი მიზანი - „აფხაზეთის რესპუბლიკა“, შეიძლება





განხორციელდეს მხოლოდ რეგიონში უცხოური კაპიტალის მოზიდვით და დაბანდებით.

სტაბილიზაციის მიღწევისა და ძალაუფლების განმტკიცების მიზნით თვითმარქვია რესპუბლიკის მთავრობამ ჩაატარა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნები, რაც მათ საშუალებას მისცემს ადგილებზე არსებული აღმასრულებელი სტრუქტურების მეშვეობით, გაატარონ სახელმწიფო დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები.

აღსანიშნავია, რომ სეპარატისტულ მთავრობას საერთაშორისო საზოგადოების თვალში აუცილებლად ესაჭიროება საკუთარი იმიჯის ამაღლება, რომელიც არ იქნება დაკავშირებული ქართველების გენოციდთან და ქართულ-აფხაზური კონფლიქტისას მომხდარ მოვლენებთან. შესაძლებელია, ამიტომაც ვრცელდება ხმები არძინბას ავადმყოფობის და მისი პერსონის შეცვლაზე უფრო ღირსეული კანდიდატურით. ასევე შესაძლებელია სეპარატისტებმა გააუქმონ საპრეზიდენტო ინსტიტუტი და შეცვალონ იგი საპარლამენტო მართველობით. მოვლენების ასეთი სახით განვითარება მათ საშუალებას მისცემს მოახდინონ აფხაზეთის საზოგადოებრიობის კონსოლიდაცია, მიტაცებული ფასეულობების ლეგალიზება და მათი დაბანდება სამრეწველო საწარმოებში, ტურიზმის ბიზნესისა და ბუნებრივი რესურსების ათვისებაში.

**აფხაზეთის სეპარატისტული რესპუბლიკის პრეზიდენტის ქალიშვილი, მადინა არძინბა, 1999 წლიდან აქტიურად არის ჩაბმული ტურისტულ ბიზნესში. მას აფხაზეთის კურორტების სახით გააჩნია იაფი და საინტერესო ტურპროდუქტი, თუმცა, იმავდროულად, იგი ცდილობს გასაღების ბაზრის გამონახვას.**

განსაკუთრებით საყურადღებოა აფხაზების (იგულისხმება როგორც სეპარატისტული ხელისუფლება, ასევე მათი ოპოზიციური ძალები) მისწრაფება მიაღწიონ აფხაზეთის, როგორც შემდგარი სახელმწიფოს აღიარებას საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ და მისი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოყვანას მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე რუსეთის დახმარებით.

აფხაზეთის ეკონომიკის აღორძინების საქმეში, სეპარატისტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ რეგიონის ბუნებრივ რესურსებს, კერძოდ:

აფხაზეთის სეპარატისტული რესპუბლიკის პრეზიდენტის ქალიშვილი - მადინა არძინბა, 1999 წლიდან აქტიურად არის ჩაბმული ტურისტულ ბიზნესში. მას აფხაზეთის კურორტების სახით გააჩნია იაფი და საინტერესო ტურპროდუქტი, თუმცა იმავდროულად იგი ცდილობს გასაღების ბაზრის გამონახვას. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ტურისტულ ბიზნესში აფხაზეთის სეპარატისტული სტატუსის გამო, აღნიშნულ ტურპროდუქტს არც ერთი ტურისტული ფირმა და სააგენტო ყურადღებას არ მიაქცევს. აქედან გამომდინარე, რუსეთის ფართო და იაფი ბაზრის დაპყრობის მიზნით მ.არძინბას მარკეტინგული სტრატეგია სწორად იქნა განსაზღვრული. ის ცდილობს იაფი ფასებით მოიზიდოს რუსეთის მოქალაქეების ის ნაწილი, რომელიც ფინანსურად და ფსიქოლოგიურად მზად არის გახდეს აფხაზეთის პოტენციური დამსვენებელი.

ამ მიზნით მადინა არძინბამ 1999 წელს მოსკოვში გახსნა ტურისტული სააგენტო „რუსალ-ტური“ - აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა რუსეთის ფედერაციაში ტურიზმის და კურორტების საკითხებში, რომლის დირექტორიც თავად მადინა არძინბაა და დაიწყო აფხაზეთში განლაგებული კურორტების აღდგენითი სამუშაოები (რაშიც იყენებდა მამის თანამდებობას და ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის საბიუჯეტო სახსრებს). სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა აღდგენითი და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები რიწის ტბაზე, გაგრასა და ბიჭვინთაში. აღსანიშნავია, რომ დასასვენებელი სახლების ხელში ჩაგდებით და აღდგენა-განახლებით დაინტერესდნენ როგორც რუსეთის, ასევე თურქეთის და სხვა ქვეყნების კერძო კომპანიები და ფირმები. პანსიონატების შერჩევისას მადინა არძინბა უპირატესობას ანიჭებდა აფხაზეთის დასავლეთ ნაწილში განლაგებულ, ანუ რუსეთთან ახლოს მდებარე ნაწილს (აღნიშნულიდან გამომდინარე, სეპარატისტებს გუდაუთის, ბიჭვინთის და გაგრის რაიონები უსაფრთხოების თვალსაზრისით უფრო საიმედოდ მიაჩნიათ). ზაფხულის დასაწყისისთვის ტურისტების მისაღებად მზადყოფნაში იყო აფხაზეთის შემდეგი საკურორტო ობიექტები:

- პანსიონატი „სამშიტოვაია როშჩა“;
- დასასვენებელი სახლი „პიტიუსი“:
- გამაჯანსაღებელ-დასასვენებელი კომპლექსი „პიცუნდა“;
- დასასვენებელი სახლი „ნარტი“;
- სანატორიუმი „ამრა“;
- პანსიონატი „ენერგეტიკი“;
- დასასვენებელი სახლი „სოლნეჩნი“;
- დასასვენებელი სახლი „გაგრა“;
- სახელმწიფო აგარაკი „დაჩა სტალინა;
- სახელმწიფო აგარაკი „ლიძავა“ (პიცუნდა).

„რუსალ-ტური“ 2001 წლის საკურორტო სეზონის განმავლობაში, რომელიც იწყება

მაისიდან და გრძელდება ოქტომბრის ბოლომდე, ვარაუდობს გამოიმუშაოს მინიმუმ 3-5 მლნ აშშ დოლარი, რაც ამჟამად არძინბას კლანისთვის საკმაოდ საჭირო საშემოსავლო კაპიტალს წარმოადგენს. ამ გაანგარიშებებში არ შედის ის თანხები, რომლებიც სეპარატისტების ბიუჯეტში შევა კერძო სავაჭრო სექტორსა და მომსახურების კერძო სექტორებიდან.

ბიუჯეტსა და კერძო სექტორში შესული თანხები რა თქმა უნდა დადებითად იმოქმედებს მოსახლეობის სასიცოცხლო პირობების და ქვეყნის საერთო ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რაც გარკვეულწილად ხელს შეუწყობს აფხაზეთის მოსახლეობაში ვლ. არძინბას შელახული რეპუტაციის ამაღლებას. აღსანიშნავია, რომ სეპარატისტების ოფიციალური მონაცემებით ბიუჯეტის 25% იხარჯება „რესპუბლიკის" თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაზე.

ზემოხსენებული დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების გარდა, მადინა არძინბამ დაისაკუთრა და შემდეგ იჯარით გასცა შემდეგი საკურორტო ობიექტები:

➢ პანსიონატი „მიუსერა" - მოიჯარე ტურისტული ფირმა „ბერიოზკა", ქ. ჩებოკსარი;

➢ სასტუმრო „ტყვარჩელი" (სოხუმი) - მოიჯარე ფირმა „კოგოვ-ტარანტი" ქ. ჩერქესკი, იჯარის ვადა 49 წელი;

➢ პანსიონატი „აგუძერა" - მოიჯარე ყაბარდო-ბალყარეთის ახალგაზრდობის ცენტრი, ქ. ნალჩიკი;

➢ სანატორიუმი „არმენია" (გაგრა) - მოიჯარე რუსეთის თაცდაცვის სამინისტროს მოსკოვის ერთ-ერთი უწყება;

➢ დასასვენებელი სახლი „არაბიკა" (გაგრა, ყოფილი ლიტფონდი) - იჯარით გადაეცა როსტოვის ოლქის ქ. აქსაის ადმინისტრაციას;

➢ სანატორიუმი „აფხაზია" (ახალი ათონი) - მოიჯარე ყაბარდო-ბალყარეთის სახ. უნივერსიტეტი.

აღნიშნული ჩამონათვალი წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ იმ საკურორტო ობიექტების არასრულ სიას, რომლებიც უკვე სხვადასხვა არაკანონიერი ხერხებით დაისაკუთრეს აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა მხარდამჭერებმა. საგულისხმოა, რომ 2000 წლიდან რუსეთის დაინტერესებული წრეები ინტესიურად შეუდგნენ აფხაზეთის სტრატეგიულ ობიექტებში მსხვილი ინვესტიციების ჩადებას, რაშიც მათ აქტიურად ეხმარება ვლადისლავ არძინბა ხელსაყრელი კომერციული პირობების შექმნით. სხვადასხვა მონაცემებით, დაინტერესებულთა რიგში არიან ვ. ჩერნომირდინის ვაჟი და ასევე ბ. ბერეზოვსკი.

აფხაზეთის ვიცე-პრემიერის ვ. არშბას განცხადებით აფხაზეთის მთავრობა ინტენსიურად მუშაობს ახალ საინვესტიციო პროექტებზე, წარმოების რეკონსტრუქციის, უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი საწარმოების და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის საკითხებზე.

საკურორტო პოტენციალის გაცნობის მიზნით, აპრილში აფხაზეთში იმყოფებოდნენ 75-მდე რუსეთის სხვადასხვა ტურისტული ფირმების წარმომადგენლები. სეპარატისტული სოხუმის მინისტრთა კაბინეტის მიერ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ აფხაზეთის კურორტები მზად არიან ერთდროულად მიიღონ 50000-მდე დამსვენებელი. საგულისხმოა, რომ გაზეთ „აფხაზეთის რესპუბლიკა"-ში გამოქვეყნდა ვიცე-პრეზიდენტ ვ. არშბას განცხადება, რომლის თანახმად 1996 წელს აფხაზეთმა მიიღო 7,5 ათასი დამსვენებელი, ხოლო 2000 წელს - 18 ათასი. გარდა ამისა, გასულ წელს საექსკურსიო მარშრუტით აფხაზეთს ესტუმრა 50 ათასი ადამიანი, მათ შორის ახალი ათონის გამოქვაბული მოინახულა - 39 ათასმა კაცმა.

აქვე უნდა მიუთითოთ, რომ აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის შემოსავლის ძირითად წყაროს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობა წარმოადგენს, თუმცა იქ არსებული არასტაბილური სიტუაცია მძიმე ზეგავლენას ახდენს აგრარულ სექტორზე, მნიშვნელოვნად შემცირდა პირუტყვის სულადობა, ჩაის, ციტრუსის და თამბაქოს წარმოება.

ამჟამად გალის რაიონის ტერიტორიაზე ადგილობრივი ქართველი და აფხაზი მოსახლეობის თანაფარდობა ქართველების უპირატესობაზე მეტყველებს, რამაც აშკარად შეაშფოთა სეპარატისტები. აღნიშნულ რაიონში ქართველი მოსახლეობის უმრავლესობის არსებობის ფაქტმა შესაძლებელია გააადვილოს გალის რაიონის უმტკივნეულო შემოერთება, რადგან ტერიტორიული კონფლიქტების გადაწყვეტის პროცესებში ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობის მოთხოვნებს გაერო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. აღნიშნულ რაიონში დევნილი მოსახლეობის ნაწილობრივი დაბრუნების გამო სეპარატისტებმა დაიწყეს ქართველებით კომპაქტურად დასახლებული სოფლების გალის რაიონიდან გამოყოფა და მათ, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულებს აკუთვნებენ აფხაზი ეროვნების მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ ტყვარჩელის რაიონს (მაგ. სოფელი ღუმურიში).

აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ მომავალში სავარაუდოდ შესაძლებელია გამოიყენოს აღნიშნული ტაქტიკა იმ რაიონების მიმართ, რომლებიც კონფლიქტამდე დასახლებული იყო ქართველი მოსახლეობით და მოახდინოს აფხაზეთის ხელახალი დაყოფა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად.

### სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა

თუ გავითვალისწინებთ „აფხაზეთის რესპუბლიკის" 2000 წლის ბიუჯეტში სამხედრო ხარჯებისთვის განმსაზღვრელ მაჩვენებელს (28 მლნ 812 ათას 900 რუბლი, რაც დაახლოებით 1 მლნ. აშშ დოლარს უტოლდება), ნათლად დავინახავთ, რომ აღნიშნული თანხებით შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის (დღეისთვის მისი რიცხვი დაახლოებით 5 ათასს უტოლდება) ხელფასებით, ფორმით, შეიარაღებით, საბრძოლო მასალებით და სხვა აუცილებელი პირობებით უზრუნველყოფა მთელი წლის განმავლობაში არარეალურია და, შესაბამისად, გამორიცხულია ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლების ჩატარებაც, რაც სავარაუდოდ გვაფიქრებინებს, რომ აფხაზ სეპარატისტთა შეიარაღებული ძალების დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხდება ფარული ან სხვა წყაროებიდან (მაგალითად უცხო ქვეყნის დახმარებით). ერთ-ერთ ძირითად ასეთ წყაროს აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო კონტიგენტი წარმოადგენს, საიდანაც ისინი ხშირად იღებდნენ და დღესაც იღებენ საბრძოლო მასალებით და ტექნიკით შეიარაღების შევსებას. ასეთი სახის დასკვნის გამოტანის საფუძველს იძლევა სეპარატისტული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის - სერგეი შამბას ა.წ. იანვარში გაკეთებული განცხადება, რომლის თანახმად სოხუმმა რუსეთიდან უსაფრთხოების გარანტიები მიიღო გუდაუთიდან რუსეთის სამხედრო ბაზის გაყვანაზე აფხაზური მხარის თანხმობის სანაცვლოდ. მოსკოვსა და სოხუმს შორის ამ საკითხთან დაკავშირებით გამოინახა კომპრომისული ვარიანტი, რომელმაც სავსებით დააკმაყოფილა აფხაზური მხარე.

სამხედრო სფეროში საკადრო საკითხების გაუმჯობესებას სეპარატისტები ყოფილი საბჭოთა არმიის ოფიცრების მოზიდვით და სამხედრო-სასწავლო ბაზის გაფართოებით ცდილობენ (2000 წლის ბოლოს სოხუმის სამხედრო-სასწავლო ცენტრის ბაზაზე გაიხსნა საერთო სამხედრო სასწავლებელი), დიდი ყურადღება ეთმობა ასევე შეიარაღებულ ძალებში ახალგაზრდობის გაწვევის საკითხს. აღსანიშნავია, რომ სამხედრო რაიონული კომისარიატები განსაკუთრებით უკან დაბრუნებულ ქართველ ლტოლვილ ახალგაზრდებს აიძულებენ იმსახურონ „აფხაზურ არმიაში." სეპარატისტების გათვლა ამ შემთხვევაში რეალურია: ლტოლვილების ეს ნაწილი ავტომატურად მოწყდება საქართველოს და „უკან დასაბრუნებელი გზა" ახალგაზრდებს მოჭრილი ექნებათ. ამასთან ერთად აფხაზები ცდილობენ საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში შეიქმნან დემოკრატიული სახელმწიფოს იმიჯი, სადაც ქართველი და აფხაზი ახალგაზრდები „გვერდიგვერდ იცავენ სამშობლოს."

ქ. სოხუმში ა.წ. მაისის თვის მეორე ნახევარში ჟურნალისტებთან შეხვედრისას ვლ. არძინბამ საკმაოდ დიდხანს ისაუბრა სამშვიდობო ძალების მომავალი სტატუსის შესახებ, სადაც ხაზგასმით აღნიშნა - „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დსთ-ს სამშვიდობო ძალები საომარი მოქმედებების განუახლებლობის გარანტიაა და ამას მშვენივრად აცნობიერებს ქართული მხარეც." მისი აზრით, ამჟამად სხვა ალტერნატივა არ არსებობს და იგი რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების წინაშე აქტიურად აყენებს გუდაუთის სამხედრო ბაზის სამშვიდობო ძალების სარეაბილიტაციო ცენტრად გარდაქმნის საკითხს. საგულისხმოა, რომ 22-24 მაისს რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების სარდალის გ. შპაკი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა გუდაუთაში, სოხუმში და გალში დისლოცირებული რუსეთის სამშვიდობო ძალების დისლოკაციის ადგილების და სამსახურის პირობების გასაცნობად, ასევე შეიარაღების ინსპექტირების და პრეზიდენტ ვლ. არძინბასთან შეხვედრის მიზნით.

ამავე დროს „ოფიციალური" სოხუმი კატეგორიულად უარყოფს საქართველოსთან ერთიანი ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის იდეას. ამავე დროს, სეპარატისტები თავს იკავებენ თბილისთან მოლაპარაკების პროცესის განახლებისაგან, რომელიც მიმდინარეობდა ა.წ. აპრილამდე საკოორდინაციო საბჭოს და „გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების" ეგიდით.

**„ქართულ-აფხაზური" კონფლიქტის დარეგულირების პროცესი აღნიშნულ ეტაპზე ჩიხშია შესული. მისი დადებითად გადაწყვეტა კვლავაც საჭიროებს ქართული მხარის უდიდეს ძალისხმევას.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქართულ-აფხაზური" კონფლიქტის დარეგულირების პროცესი აღნიშნულ ეტაპზე ჩიხშია შესული, რაც კვლავაც საჭიროებს უდიდეს ძალისხმევას ქართული მხარის მიერ მისი დადებითად გადაწყვეტის მიზნით.

## 2001 წელს აზერბაიჯანში მიმდინარე პროცესები

### შიდაპოლიტიკური ვითარება

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ გატარებული საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის ნაცვლად, ერთმნიშვნელოვნად არსებული რეჟიმის შენარჩუნებისა და განმტკიცებისკენ იყო მიმართული.

უკანასკნელ პერიოდში აზერბაიჯანის ხელისუფლებაში და მოსახლეობაში აქტიურად მიმდინარეობს აზერბაიჯანის რესპუბლიკის

მომდევნო პრეზიდენტის საკითხზე მსჯელობა, რაც, ერთი მხრივ, განპირობებულია პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობით, ხოლო, მეორე მხრივ, 2003 წელს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით არაოფიციალური საარჩევნო კამპანიის დაწყებით.

2000 წლის ბოლოს ჩატარებულმა საპარლამენტო არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჰეიდარ ალიევს შესწევს უნარი სრულად აკონტროლოს რესპუბლიკაში არსებული სიტუაცია, ხოლო ოპოზიცია, რომელიც ძირითადად ერთმანეთისათვის ბრალდებების წაყენებით და შიდა უთანხმოებების მოგვარებით არის დაკავებული, ვერ იღებს აქტიურ მონაწილეობას ქვეყანაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავებასა და განხორციელებაში.

მიმდინარე ეტაპზე აზერბაიჯანში საგრძნობლად გაიზარდა პრეზიდენტის გარემოცვის როლი, რომელიც მართავს ქვეყანას 60-იანი წლების ბოლოდან და რომლისთვისაც საკმაოდ მნიშვნელოვანია ხელისუფლების მემკვიდრეობითობის საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე მმართველ წრეებში მომავალი პრეზიდენტის ერთ-ერთ კანდიდატურას, ჰეიდარ ალიევის გარდა, პრეზიდენტის შვილი ილხამ ალიევი წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ, მისი კანდიდატურა იმ წრეში, რასაც ე.წ. „აქტიური მოსახლეობა“ ეწოდება (პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, ინტელიგენცია) უფრო მისაღებია მმართველი გუნდის სხვა წევრებისაგან განსხვავებით. მიუხედავად ამისა პრეზიდენტის კონსერვატორულად განწყობილმა გუნდმა, შესაძლოა მხარი არ დაუჭიროს ილხამ ალიევის კანდიდატურას, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ ხელისუფლების სტრუქტურები დატოვეს იმ პოლიტიკოსებმა, რომლებიც განიხილებოდნენ როგორც „ილხამ ალიევის გუნდის“ მომავალი წევრები, ხოლო თვით ილხამ ალიევმა ვერ მოახერხა პარლამენტის სპიკერის თანამდებობის დაკავება, რაც გაცილებით უმარტივებდა მას გზას პრეზიდენტის სავარძლისკენ.

აზერბაიჯანში მმართველი პარტიის („იენი აზერბაიჯანი“) გარდა, მოქმედებს სამი რეალური პოლიტიკური ძალა - პარტია „მუსავატი“ (ლიდერი ისა გამბარი), სახალხო ფრონტი (ალი ქერიმოვი) და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია (ეთიბარ მამედოვი), რომელთა ლიდერებს პრეტენზია გააჩნიათ მომავალი პრეზიდენტობის პოსტზე.

ისა გამბარი - მემარჯვენე ორიენტაციის მქონე პარტია „მუსავატის“ ლიდერი. ისა გამბარი აზერბაიჯანში საკმაოდ პოპულარული პოლიტიკოსია, მაგრამ სხვა მემარჯვენე ორიენტაციის წამყვანი ოპოზიციური პარტიების ლიდერებისაგან განსხვავებით გაცილებით რადიკალური პოლიტიკური შეხედულებების მქონე პიროვნებაა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ი. გამბარი არასოდეს გამოდის ირანის და რუსეთის მიმართ მკვეთრი განცხადებებით, ხოლო მის ძირითად დასაყრდენ ძალას წარმოშობით ყარაბაღელი აზერბაიჯანელები წარმოადგენენ. ამავე დროს აზერბაიჯანის პოლიტიკური წრეების ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან აქტიურად მიმდინარეობს ისა გამბარის დისკრედიტაცია. კერძოდ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ 1993 წლის ივნისში პოლკოვნიკ სურეთ ჰუსეინოვის მიერ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ერთ-ერთ იდეოლოგს და ინიციატორს სწორედ პარტია „მუსავატის“ ლიდერი ისა გამბარი წარმოადგენდა, რომელსაც კავშირები გააჩნდა ირანის სპეცსამსახურებთან და მათი დაფინანსებითა და მხარდაჭერით ცდილობდა ხელისუფლების სათავეში მოსვლას.

ალი ქერიმოვი - სახალხო ფრონტის ახალი ლიდერი. მან ეს თანამდებობა აბულფაზ ელჩიბეის გარდაცვალების შემდეგ დაიკავა. აღსანიშნავია, რომ სწორედ იგი ხელმძღვანელობდა პარტიას ელჩიბეის ნახიჩევანში გადასახლების პერიოდში და შესძლო რეალური მხარდაჭერის მოპოვება, მაგრამ ვერ უზრუნველყო პარტიის ერთიანობის შენარჩუნება. ელჩიბეის გარდაცვალების შემდეგ პარტია სახალხო ფრონტი ორ ნაწილად გაიყო, „რეფორმატორებად“, რომელსაც სათავეში ალი ქერიმოვი ჩაუდგა და „კონსერვატორებად“, რომლის ლიდერია მირმახმუდ ფატაევი. აღნიშნულმა გარემოებამ შესაძლოა გარკვეული ნეგატიური გავლენა იქონიოს მის წინასაარჩევნო კამპანიაზე.

ეთიბარ მამედოვი - ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი, რომლის ძირითად დასაყრდენ ძალას წარმოშობით სომხეთის აზერბაიჯანელები წარმოადგენენ და მათი აღნიშნულ პარტიაში გაწევრიანების ძირითადი მიზეზი იყო უკმაყოფილება პრეზიდენტის პოლიტიკის მიმართ, რომელმაც მმართველობის პირველ წლებში სწორედ მათზე გააკეთა დასაყრდენი, ხოლო შემდეგ ხელისუფლებაში წამყვან პოსტებზე დანიშნა თავისი თანამემამულეები - ნახიჩევანელები.

აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით არსებული სიტუაციის გათვალისწინებით ოპოზიციური პარტიების ლიდერებს ნაკლები შანსი გააჩნიათ დამოუკიდებლად ხელისუფლების სათავეში მოსვლისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ეთიბარ მამედოვსა და ალი ქერიმოვს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებების პროცესი ორ პარტიას შორის თანამშრომლობის და კოალიციის შექმნის მცდელობის შესახებ. არსებული ინფორმაციით, პარტიები ცდილობენ შეიმუშაონ დოკუმენტი, რომელშიც შეთანხმებული იქნება ხელისუფლების ყველა შტოს (პრეზიდენტის, მილი მეჯლისის, სასამართლოების) უფლებამოსილება, აგრეთვე ეკონომიკური რეფორმის პროგრამა აღნიშნული პარტიების ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში.





თუ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია შეძლებს წარმატებულად დაასრულოს მოლაპარაკებები სახალხო ფრონტთან, კოალიციას შესაძლოა შეუერთდნენ სხვა ოპოზიციური პარტიებიც, კერძოდ პარტია „ადალიათი“ (ლიდერი ილიას ისმაილოვი). ამავე დროს ნაკლებსავარაუდოა, რომ პარტია „მუსავატმა“ მოინდომოს აღნიშნულ კოალიციაში გაერთიანება.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მომავალი პრეზიდენტის პოსტზე, ასევე რეალურ პრეტენდენტებად განიხილებიან აზერბაიჯანის პარლამენტის ყოფილი სპიკერი რასულ გულიევი და ქვეყნის ექს-პრეზიდენტი აიაზ მუთალიბოვი, რომლებიც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ პოლიტიკურ ემიგრაციაში იმყოფებიან. აღსანიშნავია, რომ ორივე პოლიტიკოსის უკან საკმაოდ რეალური ძალები დგანან.

რასულ გულიევი - პრეზიდენტის გუნდის ყოფილი წევრი და მილი მეჯლისის ექს-სპიკერი, რომელიც ამჟამად ემიგრაციაში იმყოფება აშშ-ში. იგი წარმოშობით ნახიჩევანიდანაა და დასაყრდენს თავის თანამემამულეებზე აკეთებს. მის სახელს უკავშირებენ დემოკრატიულ პარტიას და მოძრაობას „დემოკრატიული გზა.“ აზერბაიჯანში რ. გულიევს გააჩნდა ძლიერი სოციალური ბაზა და ფინანსური შესაძლებლობები, მაგრამ იძულებითი ემიგრაციის შემდეგ ალიევი მაქსიმალურად შეეცადა შეესუსტებინა გულიევის პოზიციები. კერძოდ, დაპატიმრებულ იქნენ მისი ნათესავები და მსხვილი კაპიტალის მქონე თანამოაზრეები. სხვადასხვა ინფორმაციით, გულიევს მმართველი ელიტის კონსერვატორულად განწყობილი ფრთის მხარდაჭერის იმედი გააჩნია. ამავე დროს რ. გულიევის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მას ბრალად ედება სახელმწიფო ქონების დიდი რაოდენობით დატაცება, რაც გარკვეულწილად პრობლემებს შეუქმნის წინასაარჩევნო კამპანიაში. თუმცა, რადიოსადგურ „თავისუფლების“ აზერბაიჯანული რედაქცია, რომელსაც აშშ-ს კონგრესი აფინანსებს აქტიურ ლობირებას უწევს რასულ გულიევის ინტერესებს და ალიევის პოლიტიკური არენიდან წასვლის შემთხვევაში ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე გულიევის კანდიდატურას მისაღებად მიიჩნევს. რ.გულიევის საპრეზიდენტო არჩევნებში წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა გახდეს ის გარემოება, რომ იგი, ისევე როგორც ჰეიდარ ალიევი, წარმოშობით ნახიჩევანიდანაა და მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში ხელისუფლება ქვეყანაში კვლავ ნახიჩევანელ-ერაზელი (ერაზები - ერევნელი აზერბაიჯანელები) კლანის ხელში დარჩება, რის წინააღმდეგაც გამოდის აზერბაიჯანის რაიონების უმრავლესობა. აღნიშნულის მიუხედავად, ალიევი გულიევს უხერხულ ოპონენტად მიიჩნევს და მუდმივად ცდილობს მის დისკრედიტაციას, თუმცა ცნობილია, რომ 1993 წელს სწორედ გულიევმა დააფინანსა ჰეიდარ ალიევის ხელისუფლების სათავეში დაბრუნების პროცესი, რისთვისაც მან მილი მეჯლისის სპიკერის თანამდებობა მიიღო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გულიევის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში აზერბაიჯანის არც საშინაო და არც საგარეო პოლიტიკაში რადიკალური ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

აიაზ მუთალიბოვი - აზერბაიჯანის ექს-პრეზიდენტი ისევე, როგორც გულიევი ემიგრაციაში იმყოფება (რუსეთი), მაგრამ ექს-სპიკერისაგან განსხვავებით უფრო მომგებიან მდგომარეობაშია, ვინაიდან მის მიმართ წაყენებული ბრალდებები აშკარად პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. ა. მუთალიბოვს მხარს უჭერს დედაქალაქის, აფშერონის ნახევარკუნძულის და აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონების მოსახლეობა.

უკანასკნელ პერიოდში აზერბაიჯანში გარკვეული ცვლილება განიცადა პოლიტიკურმა კლიმატმა. ქვეყანაში გარკვეულწილად შესუსტდა პროამერიკული და პროთურქული განწყობილება. დღევანდელი პოლიტიკური და ეკონომიკური რეალიები აიძულებს საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მხარი დაუჭირონ პრორუსულად განწყობილ პოლიტიკოსს. აღნიშნულიდან გამომდინარე, აზერბაიჯანის ექს-პრეზიდენტ აიაზ მუთალიბოვს, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს ბაქოსა და მოსკოვის მჭიდრო თანამშრომლობას, რეალური შანსები გააჩნია გახდეს აზერბაიჯანის მომავალი პრეზიდენტი. ამავე დროს პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებისაგან განსხვავებით, მუთალიბოვი თავისი კარიერის მანძილზე (ბაქოში ერთ-ერთი მსხვილი ქარხნის დირექტორი, სახელმწიფო დაგეგემარების კომიტეტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი და ქვეყნის პრეზიდენტი) არასოდეს ყოფილა შემჩნეული კორუფციაში.

გარდა ამისა, მისი მმართველობის პერიოდში (1991-92 წ.წ.) აზერბაიაჯან-სომხეთის კონფლიქტის შედეგად აზერბაიჯანს არ დაუკარგავს არც ერთი დასახლებული პუნქტი, გარდა ხოჯალისა, რომლის ოკუპაცია სომხეთის მიერ ბრალად ედება სახალხო ფრონტის ლიდერებს და ჰეიდარ ალიევს.

მიუხედავად იმისა, რომ აიაზ მუთალიბოვს არ გააჩნია ეფექტურად მოქმედი ორგანიზაციულ-პროპაგანდისტული ბაზა და აზერბაიჯანში გარდა სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, არც ერთი სხვა სერიოზული პოლიტიკური ორგანიზაცია ღიად არ უჭერს მხარს მის კანდიდატურას, აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში ა. მუთალიბოვი საკმაოდ აქტიურად წარმოჩინდა აზერბაიჯანის პოლიტიკურ არენაზე, რაზეც მოწმობს შემდეგი ფაქტები:

➤ აზერბაიჯანის საინფორმაციო წყაროების თანახმად, აზერბაიჯანის სუკ-ის ყოფილმა მაღალჩინოსანმა ოფიცრებმა, რომლებიც დღესაც საკმაო გავლენით სარგებლობენ რუსეთის სპეცსამსახურების როგორც გადამდგარ, ასევე

მოქმედ გენერალიტეტს შორის, შეხვედრა გამართეს ექს-პრეზიდენტ აიაზ მუთალიბოვთან. აღნიშნული შესაძლოა მიუთითებდეს, რომ რუსეთი ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე ა. მუთალიბოვის კანდიდატურას მისაღებად მიიჩნევს;

➢ ექს-პრეზიდენტს ინტერნეტში გახსნილი აქვს საკუთარი ვებ-გვერდი, რომლის მეშვეობითაც უკანასკნელ პერიოდში ატარებს ინტერნეტ-ფორუმებს;

➢ მოქალაქეობრივი სოლიდარობის პარტიის განცხადებით, ექს-პრეზიდენტის მომხრეებმა მილი მეჯლისში თავიანთ რიგებში პარლამენტის დეპუტატების მიზიდვის ფართომასშტაბიანი კამპანია დაიწყეს. როგორც ცნობილი გახდა, ხუთმა დეპუტატმა თანხმობა განაცხადა მილი მეჯლისის სხდომაზე „პირველი პრეზიდენტის დარღვეული უფლების აღდგენის“ საკითხის წამოყენების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს მიმდინარეობს ექს-პრეზიდენტის მომხრეების გააქტიურების ფონზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ნაკლებსავარაუდოა, რომ ოპოზიციამ, რომელიც ამ ეტაპზე ვერ ახდენს რაიმე მნიშვნელოვან გავლენას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ხელი შეუშალოს პრეზიდენტ ალიევს მესამე ვადით გაპრეზიდენტებაში და მისი პოლიტიკის წარმართვაში. ამასთან, აზერბაიაჯანის პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტა მხარს უჭერს არსებულ კურსს და მათ ინტერესებში არ შედის ქვეყანაში შიდაპოლიტიკური ბალანსის რადიკალური ცვლილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისინი მაქსიმალურად შეეცდებიან ხელი შეუწყონ ხელისუფლების სათავეში საკუთარი კანდიდატურის მოსვლას, რაც ავტომატურად ამძაფრებს ბრძოლას ხელისუფლებისათვის და მომავალ მთავრობაში ადგილების მოსაპოვებლად. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე (2003 წელი) საკმაო დროა დარჩენილი, უახლოესი ორი წლის განმავლობაში აზერბაიჯანში განვითარებულმა ზოგადპოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მოვლენებმა შესაძლოა პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობის ახალი გადანაწილება გამოიწვიოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე აზერბაიჯანში მიმდინარეობს სახელმწიფო მართვის სისტემაში სტრუქტურული რეფორმების პროცესი, რომლებიც მინისტრთა კაბინეტს და მის დაქვემდებარებაში მყოფ უწყებებს შეეხება. სახელმწიფო მართვის სისტემაში სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად დარჩება 13-14 სამინისტრო, რომელთა მუშაობას კოორდინირებას გაუწევს მინისტრთა კაბინეტი. შენარჩუნდება პრემიერ-მინისტრის და ვიცე-პრემიერის ინსტიტუტები. სტრუქტურული ცვლილებები პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განხორციელდება რეფორმის ბოლო ეტაპზე.

პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე ლიკვიდირებულ იქნა რიგი სამინისტროები და უწყებები, განხორციელდა საკადრო ცვლილებები. აღსანიშნავია სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროს ჩამოყალიბება, რომელშიც გაერთიანდა აზერბაიჯანის სამი მონოპოლისტური ენერგოკომპანია - აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანია, „აზერენერჟი“ და „აზერიგაზი“, რომლებზეც ფაქტიურად დამყარებულია რესპუბლიკის მთელი მრეწველობა.

პრეზიდენტის ბრძანებით, ხუთი უწყების, მათ შორის ეკონომიკის და ვაჭრობის სამინისტროების ბაზაზე შეიქმნა ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

აზერბაიჯანის აღმასრულებელ ხელისუფლებაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები შეეხება ძალოვან სტრუქტურებსაც. ჯერჯერობით რეფორმა განხორციელდა მხოლოდ ეროვნული უშიშროების სამინისტროში. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა თანამდებობიდან გაათავისუფლა სასაზღვრო ძალების სარდალი, ეროვნული უშიშროების მინისტრის მოადგილე აბასალ ნოვრუზოვი.

მიმდინარე წლის ივლისი-აგვისტოს პერიოდში სავარაუდოდ რეორგანიზაცია განხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროშიც.

აზერბაიჯანის შიდაპოლიტიკური მოვლენებიდან აღსანიშნავია თავდაცვის სამინისტროსა და მთავრობის სხვა ნაწილს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა. ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად საუბრობენ აბიევის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. სამხედრო პირების გარკვეული ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამს თავდაცვის მინისტრის მიერ გატარებული საკადრო პოლიტიკის მიმართ. გარდა ამისა, სამინისტროს ხელმძღვანელი არაერთხელ იქნა დადანაშაულებული კორუფციაში. აბიევის საკითხი და თავდაცვის სამინისტროში არსებული ვითარება განხილულ იქნა აზერბაიჯანის უშიშროების საბჭოს სხდომაზე. მიუხედავად ამისა, თავდაცვის მინისტრი ჯერ კიდევ რჩება თავის თანამდებობაზე. თავდაცვის მინისტრთან ერთად ასევე საუბრობენ შინაგან საქმეთა მინისტრ რამილ უსუბოვის თანამდებობიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ (მის ადგილზე ერთ-ერთ კანდიდატად ასახელებენ ბაქოს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსს ჰასან შირინოვს. აღნიშნულ თანამდებობაზე პრეტენზიები გააჩნიათ ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსს მაგერამ ალიევს და შსს მინისტრის მოადგილეს ასკერ ალეკპეროვს).

კულუარებში გაჩნდა აზრი, რომ თავდაცვის მინისტრის სავარაუდო გათავისუფლება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს შეიარაღებულ ძალებში მთავრობის მაღალჩინოსანი პირების წინააღმდეგ ტერაქტის მომზადებასთან. ამასთან, არსებობს მოსაზრება, რომ როგორც თავდაცვის მინისტრის, ასევე შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლება დაკავ-





შირებულია ყარაბაღის საკითხთანაც. კერძოდ, პრობლემის მოგვარების იმ ვარიანტებს, რომლებსაც ეთანხმება რესპუბლიკის მთავრობა, არ იზიარებს ეს ორი მინისტრი.

ბოლო პერიოდში აზერბაიაჯანში აქტუალურია რადიკალური ისლამის, ვაჰაბიზმის და აგრეთვე სხვა რელიგიური სექტების (როგორც მუსულმანური, ასევე ქრისტიანული) გავრცელების საფრთხე. მარეგულირებელი ორგანოს არარსებობის გამო კავკასიის მუსულმანთა მმართველობის თავმჯდომარე და მინისტრთა კაბინეტთან არსებული რწმუნებული რელიგიის საკითხებში ვერ აკონტროლებდნენ მეჩეთების და რელიგიური საზოგადოებების საქმიანობას. ამასთან დაკავშირებით, პრეზიდენტის ბრძანებულებით გაუქმდა მინისტრთა კაბინეტთან არსებული რელიგიის საკითხებში რწმუნებულის თანამდებობა და შეიქმნა რელიგიურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სახელმწიფო კომიტეტი. ბრძანებულების თანახმად კომიტეტი, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, უფლებამოსილია ჩაერიოს რელიგიური ორგანიზაციების მუშაობაში.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფო მმართველობის აპარატში განხორციელებული რეფორმები ზედაპირულ ხასითის ატარებს და იგი ცალკეული სტრუქტურების, კონკრეტული პირების და ჯგუფების ინტერესების სფეროდან გამომდინარე მიმდინარეობს.

აზერბაიჯანის ხელისუფლების წინაშე კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება კონფლიქტი მთიან ყარაბაღში.

მიმდინარე წლის იანვრის ბოლოს საფრანგეთის პატრონაჟით დაწყებული ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების პროცესი, რომელშიც ეუთო-ს მინსკის ჯგუფთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ პროცესის რეალური ლიდერები აშშ და რუსეთი კვლავ ჩიხში შევიდა. კონფლიქტის დარეგულირების მიზნით, ეუთო-ს მინსკის ჯგუფმა წარმოადგინა სამი წინადადება - პაკეტური, ეტაპობრივი და(საერთო სახელმწიფოს პრინციპზე დაფუძნებული. აღნიშნული წინადადებებიდან ორი მიუღებელი აღმოჩნდა სომხეთისათვის, ხოლო ერთი - საერთო სახელმწიფოს პრინციპი - აზერბაიჯანისათვის.

მოსალოდნელი იყო, რომ ვაშინგტონის და მოსკოვის გააქტიურებას შედეგად უნდა მოჰყოლოდა მოლაპარაკებათა პროცესის კონკრეტიზაცია, მაგრამ ალიევისა და ქოჩარიანის შეხვედრები (პარიზში, ქი-ვესტში, მინსკში) უშედეგო აღმოჩნდა. აგრეთვე გაურკვეველი ვადით გადაიდო მათი შეხვედრა ჟენევაში, რომელიც ივნისის შუა რიცხვებში იყო დაგეგმილი. კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის ძირითადი უთანხმოება გამოწვეულია სამშვიდობო ნაბიჯების განხორციელების თანმიმდევრობით. ოფიციალური ბაქო ოკუპირებული რაიონების, ე.წ. უსაფრთხოების ზონის უპირობო გათავისუფლებას მოითხოვს, ხოლო სომხეთი მთიანი ყარაბაღის სტატუსის განსაზღვრამდე უარს აცხადებს აზერბაიჯანის აღნიშნული რაიონებიდან ჯარების გაყვანაზე.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ქვეყნების პატრონაჟით გამართული სამიტები მიმართული იყო არა იმდენად კონფლიქტის დარეგულირების მცდელობისაკენ, არამედ თავისთავად წარმოადგენდა აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობის გარკვევას მსოფლიო ლიდერობაზე. ამ რაკურსით შეიძლება განიხილოს ეუთო-ს მინსკის ჯგუფის ამერიკელი თანათავმჯდომარის ქერი ქავანოს განცხადება ყარაბაღის დარეგულირების პროცესში ირანის ჩართვის შესახებ. აღნიშნული განცხადება საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ინიციატივა მომდინარეობს აშშ-ს მხრიდან, რომელსაც საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა გააჩნია ირანთან. ირანის ჩართვა მთიანი ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტის პროცესში შესაძლოა ემსახურებოდეს არა კონფლიქტის დარეგულირებას, არამედ რუსეთ-ირანის მჭიდრო ურთიერთობის განეიტრალებას. თავის მხრივ, რუსეთი ცდილობს შეინარჩუნოს მთავარი შუამავლის( პოზიცია, რასაც ადასტურებს უკანასკნელ პერიოდში მოლაპარაკებებზე რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელად რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგნლის დსთ-ს ქვეყნებში, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ვიაჩესლავ ტრუბნიკოვის წარგზავნა, რაც ეუთო-ს მინსკის ჯგუფში რუსეთის სტატუსის ამაღლებაზე მიუთითებს. მოსკოვი ცდილობს ყარაბაღის დარეგულირების პროცესში სამშვიდობო ინიციატივის დაუფლებას, რაც თავისთავად გამოიწვევს რეგიონში რუსეთის გავლენის გაძლიერებას. ოფიციალური ბაქო კატეგორიული წინააღმდეგი იყო მოლაპარაკებებში ირანის მონაწილეობაზე, ხოლო ეუთო-ს მინსკის ჯგუფში მომხდარი ცვლილებები სომხეთს წარმატების გარკვეულ იმედებს აძლევს ყარაბაღის კონფლიქტის მისთვის დადებითად დარეგულირებასთან დაკავშირებით.

შუამავლების მიერ უკანასკნელ პერიოდში გაკეთებული ოფიციალური განცხადებების შედეგად, გაურკვეველია თუ როგორ ტაქტიკას მიმართავს შუამავალთა (სამეული და როგორი აღმოჩნდება საერთაშორისო საზოგადოებრიობის დამოკიდებულება რეგიონისადმი. არ არის გამორიცხული, რომ სამშვიდო მოლაპარაკებებში პაუზა შენარჩუნდეს, რაც დაკავშირებულია რეგიონში შესაძლო ძალთა გადანაწილების ახალი პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით.

**საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები**

მიმდინარე პერიოდში აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკურმა კურსმა გარკვეული ცვლილება განიცადა, ქვეყანაში გარკვეულწილად შესუსტდა პროდასავლური და პროთურქული

განწყობილება და საკმაოდ აქტიურად ხდება რუსული ვექტორის გაძლიერება, რაც ერთდროულად რამოდენიმე ასპექტში გამოიხატება.

ოფიციალური ბაქო ცდილობს გარკვეულ დათმობებზე წავიდეს და აღადგინოს ურთიერთობა რუსეთთან, რათა მოიპოვოს მისი მხარდაჭერა, როგორც ყარაბაღის პრობლემის, ასევე საჭიროების შემთხვევაში ხელისუფლების მემკვიდრეობის გადაწყვეტის საკითხში.

აღნიშნული კუთხით მნიშვნელოვანია ბაქოში გამართული დსთ-ს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა საბჭოს სხდომა. აზერბაიჯანმა, რომელიც ბოლო პერიოდში გამოდიოდა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ინტეგრაციის ინიციატივით, მხარი დაუჭირა რუსეთთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებას. თავდაცვის მინისტრის საფარ აბიევის განცხადებით, აზერბაიჯანის არმიას შეიარაღებაში გააჩნია ძირითადად საბჭოთა წარმოების ტექნიკა, რომელსაც ესაჭიროება მოდერნიზაცია, რემონტი და ახალი სამხედრო ტექნიკით შევსება, რის გამოც აზერბაიჯანი აპირებს გააფართოვოს სამხედრო-ეკონომიკური თანამშრომლობა რუსეთთან.

ამავე დროს, რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის ვლადიმერ რუშაილოს ბაქოში ვიზიტისას აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, ბოლო წლების განმავლობაში, პირველად არ შეეხო სომხეთისთვის იარაღის გადაცემის საკითხს. იმავდროულად, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე აზერბაიჯანის დელეგაციის ხელმძღვანელი ილხამ ალიევი შეეხო რა, სომხეთის მიერ რუსეთისაგან 1 მლრდ. აშშ დოლარის ღირებულების იარაღის შესყიდვის საკითხს, შეეცადა რაც შეიძლება ნაკლებად დაედანაშაულებინა ოფიციალური მოსკოვი შეიარაღების უკანონო გადაცემაში. გამოსვლისას ილხამ ალიევმა აქცენტი გააკეთა იმ გარემოებაზე, რომ იარაღის შესყიდვა ხორციელდებოდა უკანონო ოპერაციების საშუალებით, რითაც ფაქტიურად სომხეთის მხარე იქნა დადანაშაულებული იარაღის კონტრაბანდაში. აზერბაიჯანის დელეგაციამ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც შეეხებოდა სომხების მიერ აზერბაიჯანელების გენოციდის ფაქტს ყარაბაღში საომარი მოქმედებების დროს, კერძოდ კი ხოჯალის მოვლენებს. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში არ ფიგურირებდა ზემოთქმულ მოვლენებში რუსეთის 366-ე მოტომსროლელი პოლკის მონაწილეობის ფაქტი.

თავის მხრივ, კრემლის ხელმძღვანელობა არ მალავს თავის დაინტერესებას აღადგინოს და განავითაროს მრავალმხრივი ურთიერთობა ბაქოსთან. ამასთან, ის გარემოება რომ რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობაში ჯერ კიდევ რჩება გადაუჭრელი საკითხები, მოსკოვი არ ერიდება გარკვეულ დათმობებზე წასვლას ოფიციალურ ბაქოსთან. აზერბაიჯანში რუსეთის ფედერაციის საგზაო მიმოსვლის მინისტრის ნიკოლაი აქსიონენკოს ვიზიტისას მიღწეულ იქნა შეთანხმება სატრანსპორტო პროექტში „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ აზერაბაიჯანის მონაწილეობის შესახებ, რომელიც დააკავშირებს ირანის ქ. ყაზვინს აზერბაიჯანის ასტარასთან. ახალი მაგისტრალი გააერთიანებს ირანის, რუსეთის და აზერბაიჯანის სარკინიგზო ხაზებს ერთიან სატრანსპორტო ქსელში და სატრანსპორტო კორიდორის „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ მნიშვნელოვნი შემადგენელი ნაწილი გახდება, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეცვალოს გეოპოლიტიკური სურათი რეგიონში. აღნიშნული პროექტის რეალიზაციის შედეგად აზერბაიჯანი არა მარტო მატერიალურ, არამედ პოლიტიკურ დივიდენდებსაც მიიღებს. აღსანიშნავია, რომ სატრანსპორტო მაგისტრალის „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ სატრანზიტო მონაკვეთებზე პრეტენდენტებად საქართველო და სომხეთიც განიხილებოდა. სომხეთი, რომელიც მოსკოვის სტრატეგიულ პარტნიორს წარმოადგენს რეგიონში და აზერბაიჯანისაგან განსხვავებით საკმაოდ მჭიდრო კავშირები გააჩნია ირანთან, იმედოვნებდა, რომ სწორედ იგი გახდებოდა დამაკავშირებელი რგოლი რუსეთ-ირანის მონაკვეთზე. ამ შემთხვევაში აზრს დაკარგავდა აზერბაიჯანის და თურქეთის მხრიდან განხორციელებული სატარანსპორტო-ენერგეტიკული ბლოკადა და სომხეთი მოექცეოდა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გადაკვეთის ცენტრში. ამასთანავე, ერევანში გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევს რუსეთ-აზერბაიჯანის დაახლოება, რაც შესაძლოა სომხეთის ინტერესების ხარჯზე მიმდინარეობდეს, თუმცა აღნიშნულს უარყოფს რუსეთი. ერევანში აცნობიერებენ, რომ რაც უფრო გაღრმავდება რუსეთ-აზერბაიაჯანის ურთიერთობა, მით უფრო შესუსტდება მოსკოვის მხარდაჭერა სომხეთისადმი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში.

აზერბაიჯანისა და რუსეთის ურთიერთობაში პოზიტიური ცვლილებები და ოფიციალური ბაქოს დამოკიდებულება რესპუბლიკაში მცხოვრებ ჩეჩენი ეროვნების წარმომადგენლების მიმართ ნეგატიურად აისახება მასხადოვის მთავრობის დამოკიდებულებაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხელისუფლებასთან. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით აზერბაიჯანის ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილება გამოთქვა შამილ ბასაევმა და იგი ოფიციალურ ბაქოს ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში დესტაბილიზაციის შექმნით დაემუქრა. იმ შემთხვევაში თუ აზერბაიჯანის მხარე კვლავ გააგრძელებს ჩეჩენი ეროვნების პირების გადაცემას რუსეთის ხელისუფლებისათვის, აზერბაიჯანსა და ჩეჩნეთს შორის არსებული დაძაბული მდგომარეობა შესაძლოა გადაიზარდოს ღია შეიარაღებულ დაპირისპირებაში.

მიუხედავად ბოლო პერიოდში აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის ურთიერთობის დათბობისა და





პოზიციების თანხვედრისა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიცაა კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსი და ჩეჩენი ბოევიკების რუსეთის სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადაცემა, გაბალინის რადიოლოკაციური სადგურის სტატუსთან დაკავშირებული პრობლემები კვლავ მოუგვარებელი რჩება. რუსეთის მხარე იმედოვნებდა, რომ მიმდინარე წლის იანვარში რუსეთის პრეზიდენტის ვლ. პუტინის ვიზიტისას მიიღწეოდა შეთანხმება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანისთვის ეკონომიურად წამგებიანია რადიოლოკაციური სადგურის სტატუსის განუსაზღვრელობა (რუსეთი არ იხდის სადგურის იჯარის საფასურს) ალიევი არ ჩქარობს კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას. ოფიციალურ ბაქოს გაბალინის რადიოლოკაციური სადგურის სახით მძლავრი ზემოქმედების ბერკეტი გააჩნია მოსკოვთან პოლიტიკურ-დიპლომატიური ურიერთობისას და სწორედ რადიოლოკაციური სადგური წარმოადგენეს ერთ-ერთ მიზეზს რითაც აზერბაიჯანმა, საქართველოსგან განსხვავებით, აიცილა სავიზო რეჟიმის შემოღება რუსეთთან.

აშშ-ს ანტიბალისტიკური ხელშეკრულებიდან გამოსვლის და ნაციონალური რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნის შემდეგ რუსეთისთვის გაბალინის რადიოლოკაციური სადგურის მნიშვნელობა და როლი რამდენჯერმე გაიზრდება. აშშ-თან რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების მოდერნიზაციის შესახებ მოლაპარაკებების წინ რუსეთი მაქსიმალურად შეეცდება შეინარჩუნოს კონტროლი იმ სამხედრო ობიექტებზე, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას აშშ-ს ინიციატივის საპასუხოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე, უკანასკნელ პერიოდში რუსეთი ცდილობს გააქტიუროს მოლაპარაკებები აზერბაიჯანთან სადგურის სტატუსის შესახებ და სავარაუდოა, რომ 2001 წლის შემოდგომისთვის საბოლოოდ განისაზღვროს გაბალინის რადიოლოკაციური სადგურის, როგორც რუსეთის სამხედრო ბაზის სტატუსი.

ამავე დროს, რუსეთთან თანამშრომლობის გაფართოებით აზერბაიჯანი გარკვეული რისკის ქვეშ აყენებს დასავლეთთან ურთიერთობას. ბოლო პერიოდში აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის პრორუსული ტენდენცია უყურადღებოდ არ რჩება დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში, მაგრამ ნაკლებსავარაუდოა, რომ აღნიშნულმა ფაქტმა ოფიციალურ ბაქოსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის ურთიერთობის მკვეთრი გაუარესება გამოიწვიოს, თუმცა ამ გარემოებამ შესაძლოა უბიძგოს აშშ-ს უფრო მეტი აქტივიზაციისკენ რეგიონში, რაც შეიძლება გამოიხატოს სამხედრო სფეროში თანამშრომლობის კონკრეტულ წინადადებებშიც.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია (წინა ადმინისტრაციისაგან განსხვავებით) უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს აზერბაიჯანის როლს კავკასიის რეგიონში, რაც გამოწვეულია ვაშინგტონის ახალი მიდგომით მთლიანად კავკასიისადმი. აშშ-ს გააჩნია როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ინტერესები აზერბაიჯანში. ერთი მხრივ, ახლო აღმოსავლეთში და სპარსეთის ყურის ქვეყნებში არსებული დაძაბულობა აიძულებს ვაშინგტონს ყურადღება გაამახვილოს ნავთობის ალტერნატიული წყაროებისკენ. ამასთანავე ბოლო პერიოდში შესამჩნევად გაიზარდა აშშ-ს სახელმწიფო და პოლიტიკური სტრუქტურების ჩართვის ტენდენცია კასპიის ნავთობპროექტებში. აშშ-ს წარმომადგენლები მიანიშნებენ, რომ ყარაბაღის მოუგვარებელი კონფლიქტი არ წარმოადგენს ენერგეტიკული პროექტების განხორციელების ხელისშემშლელ ფაქტორს. მეორე მხრივ, რუსეთის მისწრაფება აღადგინოს გავლენა სამხრეთ კავკასიში, განაპირობებს აშშ-ს მიერ საკუთარი პოზიციების კიდევ უფრო გაძლიერების მცდელობას აღნიშნულ რეგიონში.

საყურადღებოა, აშშ-ში გამართული აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების შეხვედრა, რომელიც წინა შეხვედრებისაგან განსხვავებით, პროაზერბაიჯანული ტენდენციებით ხასიათდებოდა. ალიევისა და ქოჩარიანის შეხვედრამდე, რამოდენიმე დღით ადრე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის მიმოხილვა, რომლის შეაფასების დროსაც ოფიციალურმა ვაშინგტონმა პირველად აღიარა აზერბაიჯანის ტერიტორიების ოკუპირების საკითხი სომხეთის შეიარაღებული ძალებისა და ყარაბაღის სეპარატისტების მიერ. აშშ-ს სენატის დაზვერვის კომიტეტის სპიკერმა რიჩარდ შელბიმ წინა პლანზე წამოსწია „თავისუფლების მხარაჭერის აქტის“ 907-ე შესწორების გაუქმების საკითხი, რომელიც აზერბაიჯანისათვის აშშ-ს სამთავრობო დახმარების აღმოჩენას კრძალავს. ამავე დროს მოსკოვი-ერევანი-თეირანი სტრატეგიული კავშირის გაძლიერება საკმაოდ აშფოთებს ვაშინგტონს. რუსეთის პოზიციების შესუსტების მიზნით, ვაშინგტონი ცდილობს გააძლიეროს საკუთარი ინტერესები აზერბაიჯანში და საქართველოში, ხოლო თავის მხრივ ოფიციალური ბაქო ცდილობს აშშ-რუსეთის მეტოქეობის ფაქტორის საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებას.

ზემოაღნიშნულის ფონზე თურქეთში გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევს ოფიციალური ბაქოს მცდელობა დაუახლოვდეს მოსკოვს, განსაკუთრებით რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობის გამწვავების ფონზე. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში ორი ქვეყნის ურთიერთობაში გარკვეული უთანხმოებები შეიმჩნევა. სწორედ ორ ქვეყანას შორის წარმოქმნილი გარკვეული დაძაბულობის განეიტრალებას და სტრატეგიული პარტნიორობის სტაბი-

ლურობის გარანტიის მიღებას ემსახურებოდა ალიევის მიერ მიმდინარე პერიოდში განხორციელებული ვიზიტები თურქეთში.

აზერბაიჯანისა და თურქეთის ურთიერთობას, გარდა საერთო პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების არსებობისა, განაპირობებდა ალიევისა და დემირელის მეგობრობა. თურქეთში პრეზიდენტის შეცვლის შემდეგ აზერბაიჯან-თურქეთის ურთიერთობაში გარკვეული დაძაბულობა შეინიშნებოდა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამომჟღავნდა იანვრის თვეში ალიევისა და ჟაკ შირაკის შეხვედრის, აზერბაიჯან-სომხეთის მოლაპარაკებების გააქტიურების და საფრანგეთის სენატის მიერ სომეხთა გენოციდის აღიარების შემდეგ, როდესაც ალიევმა ამ საკითხთან დაკავშირებით ფაქტიურად ნეიტრალური პოზიცია დაიკავა.

საფრანგეთის პარლამენტის მიერ სომეხთა გენოციდის აღიარებამ თურქეთში შეასუსტა იმ კონსერვატორ-ნაციონლისტების პოზიციები, რომლებიც უარყოფდნენ სომხეთთან პირდაპირი დიალოგის შესაძლებლობას და აუცილებლად მიიჩნევდნენ ოფიციალური ანკარას მხრიდან ბაქოსათვის აქტიურ მხარდაჭერას. ანკარაში სულ უფრო ხშირად საუბრობენ აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტის დარეგულირებამდე თურქეთსა და სომხეთს შორის საზღვრის გახსნის შესაძლებლობასა და კონსტრუქციული დიალოგის დაწყებაზე.

აღსანიშნავია, რომ პარალელურად მიმდინარეობს თურქეთ-სომხეთის ურთიერთობის აღდგენის ლობირება, რომლის მომხრეებად გამოდიან თურქი ბიზნესმენები. უკანასკნელ პერიოდში თურქი და სომეხი ბიზნესმენების ურთიერთობაში დადებითი ძვრები შეინიშნება, კერძოდ, სომხეთთან თანამშრომლობას მხარს უჭერენ არა მხოლოდ ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციები, არამედ თურქეთის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ეკონომიკური ორგანიზაცია TUSIAD - თურქეთის მრეწველთა და ბიზნესმენთა ორგანიზაცია და ITO - სტამბულის სავაჭრო პალატა. ამასთან, აღნიშნულ თანამშრომლობაში თურქეთის საქმიანი წრეები ცდილობენ ჩართონ აშშ-ში სომხური დიასპორაც. ზემოაღნიშნულმა შესაძლოა გავლენა იქონიოს ყარაბაღის დარეგულირების საკითხზე მოლაპარაკებების შედეგებზე.

უკანასკნელ პერიოდში თურქეთის საინფორმაციო საშუალებები ყურადღებას ამახვილებენ ორი ქვეყანის ურთიერთობაში არსებულ პრობლემებზე. კერძოდ, აზერბაიჯანი ჯერჯერობით თავის იკავებს თურქეთთან დაიდოს ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მაშინ, როდესაც მსგავსი ხელშეკრულება უკვე არსებობს რუსეთთან და ირანთან.

ამავე დროს ოფიციალური ანკარას პოზიცია აზერბაიჯანის, როგორც სტრატეგიული პარტნიორის მიმართ უცვლელი რჩება. თურქეთში ვიზიტისას მნიშვნელოვანი იყო ალიევის შეხვედრები თურქეთის სამხედრო უწყების ხელმძღვანელობასთან, რომლის დროსაც ხელი მოეწერა დოკუმენტებს სამხედრო თანამშრომლობის შესახებ, თუმცა ნაკლებსავარაუდოა, რომ ალიევმა შესძლო კონკრეტული სამხედრო მხარდაჭერის გარანტიების მიღება ყარაბაღში საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში.

აზერბაიჯან-თურქეთის სამხედრო თანამშრომლობა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს სომხეთში. ერევნის საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, „სომხეთის ეროვნული ერთობის" გენერალურმა მდივანმა არტაშეს გეგამიანმა შეშფოთება გამოთქვა თურქეთი-აზერბაიჯანი-საქართველოს შესაძლო სამხედრო კავშირის შექმნასთან დაკავშირებით. აღნიშნულის საბაბად მიიჩნევა საქართველოსა და აზერბაიჯანში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციათა მსგავსება - ორივე ქვეყანას გააჩნია დაურეგულირებელი კონფლიქტები და ოკუპირებული ტერიტორიები, რომელთა გათავისუფლება მშვიდობიანი გზით არ ხერხდება.

აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ფართოვდება თანამშრომლობა ეკონომიკურ, კერძოდ ენერგეტიკის სფეროშიც. ამ მხრივ მნიშვნელოვანია შეთანხმება შაჰ-დენიზის საბადოდან თურქეთისთვის აზერბაიჯანული გაზის მიყიდვის შესახებ. აღნიშნული შეთანხმება, რომლის ღირებულება 2,5 მლრდ. აშშ დოლარს შეადგენს, ითვალისწინებს 2004-18 წლებში თურქეთისათვის 79,7 მლრდ. კუბური მეტრი ბუნებრივი აირის მოწოდებას. აღსანიშნავია, რომ გაზის საკითხთან მოლაპარაკებებში აზერბაიჯანის მხარე გარკვეულ დათმობებზე წავიდა, კერძოდ აზერბაიჯანული გაზი თურქეთს შედარებით დაბალ ფასებში მიეყიდება ვიდრე რუსეთს პროექტის „ცისფერი ნაკადი" მიხედვით. ეკონომიკური ზარალის ანაზღაურებას ბაქო პოლიტიკური დივიდენდებით აპირებს, რომლებიც აზერბაიჯანმა მიიღო ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით და თურქეთ-სომხეთის ურთიერთობის განხილვისას.

აშშ-ს თავდაცვის მინისტრის - დონალდ რამსფელდის ვიზიტისას ანკარაში, თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბიულენთ ეჯევითმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებამდე თურქეთ-სომხეთის ურთიერთობაზე საუბარი ნაადრევია. აღსანიშნავია, რომ თურქეთის მხარემ ორი მოთხოვნა წამოაყენა. კერძოდ, სომხეთმა უპირობოდ უნდა გაათავისუფლოს მთიანი ყარაბაღი და უნდა შეიქმნას აზერბაიჯანის და ნახიჩევანის დამაკავშირებელი დერეფანი. აღსანიშნავია, რომ თურქეთი უკანასკნელ პერიოდამდე მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლებას მოითხოვდა.

აღსანიშნავია, რომ ეს განცხადებები კეთდება მაშინ, როდესაც ყარაბაღის კონფლიქტის დარე-





გულირების პროცესში თურქეთი გარკვეულწილად ჩრდილში მოექცა, ხოლო მოლაპარაკებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლავ ჩიხში მოექცა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ თურქეთმა შესაძლოა აამოქმედოს დამატებითი ბერკეტები აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტის დარეგულირებისათვის.

მიმდინარე პერიოდში აზერბაიჯანსა და ირანს შორის, ისედაც არაერთგვაროვანი ურთიერთობის გამწვავების საბაბად შეიძლება ჩაითვალოს აზერბაიჯანში რადიკალური ისლამის გავრცელების ზრდის ტენდენცია.

ორი ქვეყანის ურთიერთობაში უთანხმოების მთავარ საკითხად კვლავ რჩება ირანის, აზერბაიჯანისა და კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის პრობლემა და ირანის პოზიცია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში. ირანი, თურქეთისაგან განსხვავებით, აგრძელებს სომხეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას, ავითარებს სავაჭრო-ეკონომიურ კავშირებს, რაც ხელს უწყობს სომხეთს მინიმუმამდე შეამციროს თურქეთ-აზერბაიჯანის მიერ განორციელებული ეკონომიკური ბლოკადის შედეგები.

აზერბაიჯან-ირანის ურთიერთობის გაუარესების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს აზერბაიჯანის ეროვნული უშიშროების სამინისტროს განცხადება იმის შესახებ, რომ ირანის რლიგიური წრეები და რიგი არაბული ქვეყნები მიზნად ისახავენ აზერბაიჯანში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას, რაც დაკავშირებულია რადიკალური ისლამური დაჯგუფებების მოღვაწეობასთან, რომელთა აქტიურობამ უკანსკნელ პერიოდში საშიშ ზღვარს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ოფიციალურმა ბაქომ პირველად აღიარა რამდენიმე წლის წინ პროირანული ძალების მიერ აზერბაიჯანში ისლამური რევოლუციის ექსპორტის მცდელობის შესახებ.

რესპუბლიკაში პროირანული ძალების დასაყრდენს და ირანული განვითარების მოდელის მთავარ გამტარებელს „აზერბაიჯანის ისლამური პარტია" წარმოადგენდა, რომლის მოღვაწეობის ძირითადი პრინციპია სახელმწიფოს მშენებლობა შარიათის კანონების მიხედვით, ანტითურქიზმი და ანტისემიტიზმი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პარტიის საქმიანობას ანტისახელმწიფოებრივი შეფასება მიეცა და 1995 წელს იგი აიკრძალა, „აზერბაიჯანის ისლამურმა პარტიამ" თავისი ლეგალური მოღვაწეობის პერიოდში მოასწრო საკმაოდ მძლავრი იდეოლოგიური ბაზის შექმნა (პარტია აერთიანებდა დაახლოებით 50000 წევრს) და აზერბაიჯანელების მომზადება ირანის სამხედრო ბანაკებში. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, მოხდა პარტიის სტრუქტურების დაკონსერვება და აზერბაიჯანში სიტუაციის შესაძლო გამწვავებისას მათ შესაძლოა კვლავ იქონიონ გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებაზე.

„ისლამური პარტიის" დახურვის შემდეგ, ირანის გავლენა აზერბაიჯანში არსებულ სიტუაციაზე მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. ამჟამად ირანი ცდილობს გაიმყაროს პოზიციები აზერბაიჯანში „არალეგალური" მედრესებისა და მეჩეთების ჩამოყალიბების, ახალგაზრდობის გადმობირებისა და მათი ირანში გაგზავნის გზით. გარადა ამისა, თეირანი ცდილობს შექმნას, როგორც საკუთარ ტერიტორიაზე, ასვე აზერბაიჯანში ირანზე ორიენტირებული აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური მოძრაობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნაკლებსავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში მოხდეს აზერბაიჯანსა და ირანს შორის არსებული უთანხმოებების დარეგულირება. აღსანიშნავია, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული მდგომარეობა საშუალებას აძლევს როგორც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, ასევე რეგიონის გარეთ არსებულ ძალებს ფართო დიპლომატიური მანევრებისათვის.

უკანასკნელ პერიოდში აზერბაიჯანსა და თურქმენეთს შორის არსებული დაპირისპირება სულ უფრო მძაფრ ხასიათს იღებს, რომლის ძირითადი მიზეზია კასპიის ზღვის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ორი სადაო ნავთობსაბადოს „აზერის" (თურქმენეთის ინერპრეტაციით „ხაზარი") და „ჩირაგის" („ოსმანი") იურისდიქციის საკითხი. მიუხედავად თურქმენეთის არა ერთი მოთხოვნისა, აზერბაიჯანი აგრძელებს სადაო საბადოების სრულმასშტაბიან დამუშავებას. თურქმენეთი ცდილობს ზეწოლა მოახდინოს აზერბაიჯანის მთავრობაზე და საკუთარ პოზიციებს კონკრეტული ქმედებებით ამყარებს. კერძოდ, ოფიციალური აშხაბადის გადაწვეტილებით თურქმენეთის საელჩო ბაქოში დროებით გადატანილ იქნა აშხაბადში. აღნიშნულ ფაქტს ოფიციალური აშხაბადი გართულებული ეკონომიკური მდგომარეობით ასაბუთებს, რაც ნაკლებად სარწმუნოა, მითუმეტეს, რომ ამ ფაქტს წინ უსწრებდა თურქმენეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რამდენიმე საპროტესტო ნოტა. თურქმენეთი, აგრეთვე ცალმხრივად აძლიერებს საკუთარ სამხედრო პოტენციალს კასპიის ზღვაზე. მან უკრაინისგან შეისყიდა 10 ერთეული 127 მმ-იანი ტყვიამფრქვევით აღჭურვილი „გრიფის" ტიპის და იგივე რაოდენობის „კალანის" ტიპის საბრძოლო საპატრულო კატარღები.

ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ თურქმენეთს ისევე, როგორც აზერბაიჯანს არ სურს კომპრომისზე წასვლა და საკუთარი სტრატეგიული ინტერესების დათმობა და ნაკლებადსავარაუდოა, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული უთანხმოება უახლოეს მომავალში მოგვარდეს.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის გარკვეული პოლიტიკური წრეები ბაქოსა და აშხაბადს შორის ურთიერთობის დაძაბვაში გარკვეულ-

წილად საგარეო უწყებას ადანაშაულებენ. მათი აზრით, თურქმენეთის ქმედება გამოწვეულია აზერბაიჯანის სუსტი საგარეო პოლიტიკით შუა აზიის რეგიონში. აზერბაიჯანი ნაკლებ ყურადღებას უთმობს აღნიშნულ რეგიონს და სომხეთისაგან განსხვავებით არ გააჩნია მჭიდრო კონტაქტები შუა აზიის სახელმწიფოებთან, რაზეც მეტყველებს ბოლო პერიოდში ყაზახეთის და ყირგიზეთის პრეზიდენტების ვიზიტები სომხეთში. ამასთანავე, ყირგიზეთი არღვევს საერთაშორისო ნორმებს და საბრძოლო მასალებით ამარაგებს სომხეთს.

ოფიციალურ დონეზე აზერბაიჯანი და საქართველო კვლავ სტრატეგიულ პარტნიორებად რჩებიან, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში ორი ქვეყნის ურთიერთობაში გარკვეული პრობლემები შეინიშნება. აზერბაიჯანში წინა პლანზე წამოიწია საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანული დიასპორის უფლებების დაცვის საკითხი. რესპუბლიკაში არაერთგვაროვანი რეზონანსი გამოიწვია აზერბაიჯან-საქართველოს საზღვარზე და ბოლნისის რაიონის სოფელ კოლაგირში მომხდარმა ტრაგიკულმა ინციდენტებმა. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის საზოგადოების ერთმა ნაწილმა აღნიშნული მოვლენები აღიქვა, როგორც საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების მიზანმიმართული დისკრიმინაცია და მიაჩნიათ, რომ შესაძლოა განმეორდეს სომხეთის ანალოგიური მოვლენები, კერძოდ აზერბაიჯანელების დეპორტაცია საქართველოდან. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამჟამად აზერბაიჯანში მცხოვრები საქართველოდან გამოსული აზერბაიჯანელების გარკვეული ნაწილი უკანასკნელ მოვლენებს საქართველოში აზერბაიჯანელების მიმართ შოვინისტური პოლიტიკის შეფასებას აძლევს და აზერბაიჯანის ხელისუფლებისგან მოითხოვს მიაღწიონ საქართველოსგან აზერბაიჯანელების როგორც ეროვნული უმცირესობის უფლებების დაცვას.

**სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა**

აზერბაიჯანში არსებული სუსტი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი და კადრების მომზადების დაბალი დონე აიძულებს ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გააფართოოს სამხედრო ურთიერთობები როგორც ტრადიციულად სტრატეგიულ პარტნიორებთან, ასევე დაამყაროს ახალი კავშირები.

აზერბაიჯანი აფართოებს სამხედრო თანამშრომლობას უკრაინასთან. ორი ქვეყნის თავდაცვის უწყებებს შორის ხელმოწერილია დოკუმენტი 2001 წლისთვის თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს პარტნიორობას სამხედრო, სამხედრო-ტექნიკურ, სამხედრო-სამეცნიერო და კადრების მომზადების სფეროებში. სააქციო კომპანია „უკრრესურსსა" და აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს შორის ხელი მოეწერა კონტრაქტს აზერბაიჯანისთვის გარკვეული პროდუქციის მიწოდების შესახებ. აღსანიშნავია, რომ კომპანიის წარმომადგენელმა უარი განაცხადა დაესახელებინა კონტრაქტის პროდუქცია და მისი ღირებულება. 2000 წელს „უკრრესურსმა" მიაწოდა აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს 5 მლნ. აშშ დოლარის ღირებულებეის საქონელი. სავარაუდოდ, ზემოაღნიშნული კონტრაქტის ღირებულება აღემატება გასული წლისას. არსებული მონაცემებით კონტრაქტით გათვალისწინებულია აზერბაიჯანის სახმელეთო ჯარებისათვის T-84 ტიპის საბრძოლო ტანკების, საარტილერიო დანადგარების, ასევე სხვადასხვა კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღის ტყვია-წამალის და საავიაციო ბომბების გადაცემა.

აღსანიშნავია აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრის - საფარ აბიევის ვიზიტი პაკისტანში, სადაც იგი შეხვდა ქვეყნის ხელმძღვანელს გენერალ ფარვიზ მუშარაფს, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს და პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრს აბდულ სატარს. შეხვედრებზე მოლაპარაკებების ძირითად თემას წარმოადგენდა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაფართოება სამხედრო სფეროში. კერძოდ, აბიევის ვიზიტისას განიხილულ იქნა ისლამაბადისგან შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების შესყიდვის და აზერბაიჯანელი ოფიცრების პაკისტანის სამხედრო სასწავლებლებში მომზადების საკითხები. აღსანიშნავია, რომ პაკისტანი ერთმნიშვნელოვნად მხარს უჭერს აზერბაიჯანს ყარაბაღის კონფლიქტში, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა აბიევის პაკისტანში ვიზიტისას.

ბოლო დროს შეინიშნება აზერბაიჯანსა და საბერძნეთს შორის ურთიერთობის აქტივიზაციის ტენდენცია. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით სტრატეგიულ პარტნიორობაზე საუბარი ნაადრევია, შეიმჩნევა თანამშრომლობის განვითარება პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ სფეროებში. მიმდინარე წელს დაგეგმილია 5 აზერბაიჯანელი სამხედრო მოსამსახურის მომზადება საბერძნეთის სამხედრო აკადემიებში. ამჟამად აზერბაიჯანში განიხილება ჯერ კიდევ 1997 წელს საბერძნეთის თავდაცვის მინისტრის აკის ცოხაძოპულოსის ვიზიტისას აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროსათვის გადაცემული ხელშეკრულების პროექტი სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ. საბერძნეთის მხარე იმედოვნებს, რომ აღნიშნული პროექტის ტექსტის შეთანხმებისა და ხელმოწერის შემდეგ სამხედრო სფეროში თანამშრომლობა უფრო მჭიდრო ხასიათს მიიღებს. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში გარკვეული სიფრთხილე მაინც შეინიშნება, რაც უპირველეს ყოვლისა განპირობებულია საბერძნეთსა და სომხეთს შორის სამხედრო სფეროში მჭიდრო თანამშრომლობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე





შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აზერბაიჯანის მომავალი პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ზოგადად კავკასიაში შექმნილ გეოპოლიტიკურ სურათზე და ქვეყნის ხელისუფლების მიერ არჩეულ პოლიტიკურ კურსზე, კერძოდ:

➢ იმ შემთხვევაში, თუ უახლოეს მომავალში აზერბაიჯანის ხელისუფლებაში, რუსეთის აქტიური ხელშეწყობით, პრორუსულად განწყობილი ძალები მოვლენ რუსეთის მიერ შექმნილ სტრატეგიულ ღერძს რუსეთი-სომხეთი-ირანი დაემატება აზერბაიჯანიც და აღნიშნული ღერძი მიიღებს შემდეგ სახეს - რუსეთი-აზერბაიჯანი-სომხეთი-ირანი, რაც პრაქტიკულად გამოიწვევს კავკასიაში ევროპა-აზიის გეოეკონომიკური კავშირის გაწყვეტას, საქართველო გახდება დასავლეთის ინტერესების გავრცელების ბოლო წერტილი, დაკარგავს ენერგორესურსების ტრანსპორტირებისათვის სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციას, გამოვა დასავლეთის ინტერესების სფეროდან და იძულებული გახდება რუსეთში ეძებოს სტრატეგიული პარტნიორი. თუმცა, მეორე მხრივ, აღნიშნული სცენარით მოვლენების განვითარების შემთხვევაში საქართველოს როლი შესაძლოა მნიშვნელოვნად გაიზარდოს და ქვეყანა გახდეს დასავლეთის ინტერესების ერთადერთი დასაყრდენი კავკასიაში.

➢ აზერბაიჯანის ხელისუფლებაში პროდასავლური ძალების მოსვლის შემთხვევაში, სავარაუდოდ, რეგიონში დღესდღეობით არსებული გეოპოლიტიკური სურათი არ შეიცვლება, თუმცა შესაძლოა კვლავ მოუგვარებელი დარჩეს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი, ხოლო რუსეთი, რეგიონზე ზეგავლენის შენარჩუნების მიზნით, შეეცდება მის ხელთ არსებული ზეწოლის ბერკეტების ამოქმედებით კავკასიაში არსებულ ფეთქებადსაშიშ ზონებში სიტუაციის დესტაბილიზაციის და გამწვავების პროვოცირებას, რაც აგრეთვე უარყოფითად იმოქმედებს დასავლეთის პოლიტიკაზე რეგიონის მიმართ.

## 2001 წელს სომხეთში მიმდინარე პროცესები

**შიდაპოლიტიკური ვითარება**

უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში სომხეთში მიმდინარე პროცესები მჭიდროდაა დაკავშირებული 1999 წლის ბოლო პერიოდისა და 2000 წელს სომხეთსა და მთიან ყარაბაღში განვითარებულ მოვლენებთან. შეიარაღებულმა შეტაკებებმა და ხელისუფლების წარმომადგენლებზე განხორციელებულმა თავდასხმებმა სერიოზული საფრთხე შეუქმნა ქვეყნის სტაბილურობასა და ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებულ სამშვიდობო პროცესს. 1999 წლის 27 ოქტომბერს განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად ბოლო მოეღო სომხეთის ხანმოკლე სტაბილურობას, დაარღვია ქვეყანაში არსებული ძალთა ბალანსი და მთიან ყარაბაღში ვითარების გაუარესება გამოიწვია. შიდაპოლიტიკური დაპირისპირებები კარგად აისახა 27 ოქტომბერს სომხეთის პარლამენტში განხორციელებული ტერაქტის გამოძიების რთულ და ხანგრძლივ პროცესზე და მხოლოდ 2001 წლის მეორე ნახევრისათვის მოახერხა პრეზიდენტმა თავისი პოზიციების გამყარება.

აღსანიშნავია, რომ გამოძიების პირველი არაოფიციალური ვერსიის თანახმად, ტერაქტი ორგანიზებული იყო იმ სახელმწიფოების სპეცსამსახურების მიერ, რომელთაც სასიცოცხლო ინტერესები გააჩნიათ რეგიონში. ასეთებად აშშ და რუსეთი სახელდებოდნენ. ამ ვერსიის წარმოქმნის საფუძვლები რეალურად არსებობდა. 1999 წლის შემოდგომაზე განახლდა ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების პროცესი, რომელიც 1998 წლის თებერვლიდან, პირველი პრეზიდენტის, ლევონ ტერ-პეტროსიანის გადადგომის შემდეგ შეჩერებული იყო. შედგა სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების უშუალო შეხვედრები და გახშირდა ყარაბაღის დარეგულირების საკითხებში ეუთო-ს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეთა (აშშ, საფრანგეთი, რუსეთი) ვიზიტები რეგიონში. იმავე წლის ნოემბერში დაგეგმილი იყო ეუთო-ს სამიტი სტამბულში, სადაც სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის გარკვეული შეთანხმების მიღწევას ვარაუდობდნენ. შუამავალთა მიერ შემოთავაზებული კონფლიქტის დარეგულირების ერთ-ერთი ვარიანტი ტერიტორიების გაცვლის საკითხს უკავშირდებოდა, რომლის მიხედვით სომხეთი მიიღებდა მთიან ყარაბაღთან დამაკავშირებელ ლაჩინის დერეფანს, ხოლო აზერბაიჯანი - მეგრის რაიონს, რომელიც ნახიჩევანთან ქმნის კორიდორს. აღნიშნული ვარიანტი სომეხი პოლიტიკოსების, მათ შორის, პრემიერის ვაზგენ სარქისიანისა და სპიკერის კარენ დემირჩიანის აღშფოთებას იწვევდა. 1999 წლის 27 ოქტომბერს ერევანში ვიზიტით ჩამოვიდა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე სტროუბ ტელბოტი, რომელთან შეხვედრისას ვაზგენ სარქისიანმა, რობერტ ქოჩარიანისაგან გაჵსხვავებით, ტერიტორიული გაცვლის საკითხის მიუღებლობაზე ისაუბრა და ზოგიერთი ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრს ეროვნულ კრებაში სწორედ ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა დეპუტატებისათვის, რასაც ტერაქტმა შეუშალა ხელი.

მეორე ვერსიის მიხედვით, მმართველი პარტიის ლიდერების - პრეზიდენტის ერთადერთი რეალური ოპოზიციური ძალის განადგურების ინიციატორად თავად რობერტ ქოჩარიანი დასახელდა. აღნიშნულ ვერსიას რეალური საფუძველი გააჩნდა. 1999 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნებში აბსოლუტური გამარჯვება მოიპოვა ბლოკმა „მიასნუტიუნმა (ერთობა), რომლის საფუძველს ორი უძლიერესი პარტია - სომხეთის რესპუბლიკური პარტია თავდაცვის მინისტრ ვაზგენ სარქისიანის

მეთაურობით და კარენ დემირჩიანის მიერ შექმნილი სახალხო პარტია წარმოადგენდნენ. ბლოკის ლიდერებმა პრემიერ-მინისტრისა და სპიკერის პოსტები გადაინაწილეს და, ფაქტიურად, პრეზიდენტის როლი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში მინიმუმამდე დაიყვანეს. 1999 წლის ზაფხულში უკვე საუბარი დაიწყო საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების აუცილებლობაზე. ვარაუდობდნენ, რომ პრეზიდენტის პოსტი ან საერთოდ გაუქმდებოდა, ან მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქციებით შემოიფარგლებოდა და სომხეთი საპარლამენტო რესპუბლიკად გარდაიქმნებოდა, სადაც მმართველი პარტია ჩამოაყალიბებდა მთავრობას. ტერაქტმა, რომლის შედეგად ბლოკმა ორივე ლიდერი დაკარგა, სიტუაცია ქვეყანაში საგრძნობლად შეცვალა.

ბლოკი „მიასნუტიუნის“ ძალაუფლება, ფაქტიურად გადავიდა რესპუბლიკური პარტიის რადიკალური ფრთის - ყარაბაღის ომის ვეტერანთა კავშირის „ერკრაპა“-ს ხელში, მწარმოებლური ინფრასტრუქტურების მინისტრ-კოორდინატორის ვაან შირხანიანისა და გენერალ-მაიორ მანველ გრიგორიანის ხელმძღვანელობით. სახალხო პარტია კი, რომელმაც დაკარგა ლიდერები (კარენ დემირჩიანი და ვიცე-სპიკერი რუბენ მიროიანი დაიღუპნენ, ხოლო საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე არმენ ხაჩატრიანი - დაიჭრა), მმართველობას ჩამოშორდა. პირველივე დღიდან „ერკრაპა“-მ გამოძიებაზე კონტროლი მოიპოვა. მისი ზეწოლის შედეგად, სომხეთის გენერალურმა პროკურორმა გამოძიების ხელმძღვანელობა დაღუპული პრემიერის თანამოაზრეს და ოჯახის ახლობელს, სამხედრო პროკურორს გაგიკ ჯარგინიანს დაავალა.

ვაან შირხანიანის ჯგუფმა თავდაცვის მინისტრ ვაგარშაკ არუთუნიანთან ერთად, ჯერ კიდევ 27 ოქტომბერს ტერორისტებთან მოლაპარაკებისას პრეზიდენტს ულტიმატუმი წამოუყენა უმაღლესი სახელისუფლებო პოსტების მოთხოვნით. მოგვიანებით, ქი-უესტში გამგზავრებისას პრეზიდენტმა ამ ულტიმატუმს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა უწოდა.

1999 წლის ოქტომბერ-ნოემბერში შირხანიანის გუნდის ზეწოლის შედეგად პრეზიდენტი იძულებული იყო თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა თავისი გუნდის წევრები - საგარეო საქმეთა და ეროვნული უშიშროების მინისტრები სურენ აბრამიანი და სერჟ სარქისიანი. პრემიერ-მინისტრად დაინიშნა დაღუპული ვაზგენ სარქისიანის ძმა არამ სარქისიანი, მაგრამ ფაქტიურად, მთავრობას ხელმძღვანელობდა ვიცე-პრემიერის მოვალეობის შემსრულებელი ვაან შირხანიანი. ნოემბრის ბოლოს გენერალურ პროკურორად დაინიშნა „ერკრაპა“-ს მომხრე ბორის ნაზარიანი.

არამ სარქისიანის პრემიერად დანიშვნის შემდეგ ტერაქტის გამოძიების პროცესში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ნაირ უნანიანის განცხადებით, 1999 წლის ნოემბრიდან მასზე ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური, ფიზიკური და სხვა სახის ზემოქმედებები ტერაქტში სომხეთის პრეზიდენტის და "ერკრაპა"-ს მოწინააღმდეგეთა მონაწილეობის შესახებ ჩვენებების მიცემის მიზნით. ამ ჩვენებების საფუძველზე 9 ნოემბერს დააპატიმრეს ეროვნული კრების დეპუტატი მუშეგ მოვსისიანი, 16 დეკემბერს - პრეზიდენტის მრჩეველი ალექსან არუთუნიანი და პრეზიდენტის კიდევ რამდენიმე მხარდამჭერი. თავად პრეზიდენტის მისამართით კი ღია ბრალდებები გაისმა.

საგამომძიებლო ჯგუფის ხელმძღვანელმა გაგიკ ჯარგინიანმა გამოძიების ნორმების დარღვევით რამდენიმე პრესკონფერენცია ჩაატარა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს არამ სარქისიანმა, ვაან შირხანიანმა, დაღუპული სპიკერის შვილმა სტეპან დემირჩიანმა და რიგმა მაღალჩინოსანმა პოლიტიკოსებმა, სადაც ღიად დაადანაშაულეს პრეზიდენტი და მისი გუნდის წევრები.

2000 წლის გაზაფხულისათვის თავისი ოპონენტების მიერ დაშვებული შეცდომების გამოყენებით პრეზიდენტმა სიტუაციაზე კონტროლი დაამყარა. მან უმაღლეს თანამდებობებზე დანიშნა რამდენიმე გენერალი - ყოფილი საველე მეთაურები და მათი მხარდაჭერა მოიპოვა. ამით მან საკმაოდ შეამცირა მოწინააღმდეგეთა მანევრირების არეალი.

არამ სარქისიანის და ვაან შირხანიანის გუნდმა ვერ მოახერხა ეკონომიკაში კრიზისული პროცესების განვითარებაზე კონტროლის დამყარება, გამოძიება კი რეალურ შედეგებამდე ვერ მივიდა. ნახევარი წლის მანძილზე ვერც ერთი პოლიტიკური ფიგურის წინააღმდეგ ვერ მოხერხდა მასალების მოძიება. შედეგად, 2000 წლის აპრილის შუა რიცხვებში პირველი ინსტანციის სასამართლომ პროკურატურას უარი უთხრა ალექსან არუთუნიანისათვის პატიმრობის გაგრძელებაზე, ასევე გათავისუფლდნენ დეპუტატი მუშეგ მოვსისიანი და ეროვნული ტელევიზიის დირექტორის მოადგილე არუთუნ არუთუნიანი, რომელიც ასევე უნანიანის ჩვენებების საფუძველზე იყო დაკავებული.

აპრილის ბოლოს არამ სარქისიანის მთავრობა გადადგომის პირას აღმოჩნდა. პრეზიდენტმა სამხედრო პროკურორს აუკრძალა „მიასნუწიუნ“-ის მიერ ინიცირებულ ტერაქტის საქმესთან დაკავშირებულ საპარლამენტო მოსმენებში მონაწილეობის მიღება და ამ გზით აღნიშნული თემით სპეკულირება. აღშფოთებულმა პარლამენტარებმა პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი წამოაყენეს, მაგრამ პარლამენტის დათხოვნის შესაძლებლობამ ამ საკითხსაც დაუკარგა აქტუალურობა.

საპარლამენტო სკანდალს პრემიერ-მინისტრისა და თავდაცვის მინისტრის მოსკოვში





ვიზიტი მოჰყვა. ეს იყო პრეზიდენტის მოწინააღმდეგე ძალების უკანასკნელი მცდელობა - პრორუსული პოზიციის დაფიქსირებით მოსკოვის მხარდაჭერის მოპოვება. მიუხედავად იმისა, რომ დელეგაცია მოსკოვში უმაღლეს დონეზე მიიღეს, „ერკრაპა“ დამარცხდა. პრემიერი და თავდაცვის მინისტრი პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე დათხოვნილ იქნენ თანამდებობიდან. ახალ კაბინეტს ჩამოშორდა პრეზიდენტის ყველა მოწინააღმდეგე, ხოლო თავდაცვის მინისტრის პოსტი მიიღო მისმა თანამოაზრემ სერჟ სარქისიანმა. 2000 წლის მაისის ბოლოსთვის დასრულდა ხელისუფლების გადაკეთება და ორხელისუფლებიანობასაც ბოლო მოეღო. რობერტ ქოჩარიანი მთლიანად აკონტროლებდა სიტუაციას, მონოლითური ბლოკი „მიასნუწიუნი“ კი უკვე ზაფხულის შუა რიცხვებისთვის დაშლის პირას მივიდა და აღარ წარმოადგენდა სერიოზულ ძალას.

ივლისის დასაწყისში საბოლოოდ გაკეთდა განცხადება პარლამენტში განხორციელებული ტერაქტის საქმის წინასწარი მოკვლევის დასრულების შესახებ, თუმცა ტერაქტის შესაძლო შემკვეთთა საქმე ცალკე წარმოებაში გავიდა და ჯერაც არ დასულებულა. ამგვარად, პრეზიდენტს თავის მოწინააღმდეგეებზე ზეწოლის საუკეთესო საშუალება გააჩნია, ისინი შესაძლოა ნებისმიერ მომენტში დასახელდნენ ტერაქტის თანამონაწილეებად.

2000 წლის ბოლოსთვის სიტუაცია ქვეყანაში კვლავ დაიძაბა. „ერკრაპა“-ს მომხრეები მასობრივ ანტიპრეზიდენტულ გამოსვლებს გეგმავდნენ, რასაც მათი აზრით პრეზიდენტის გადადგომა უნდა მოჰყოლოდა. 30 ოქტომბერს რუსეთში მცხოვრები ბიზნესმენის არკადი ვართანიანის მიერ ორგანიზებული მიტინგი პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით პრეზიდენტის სასახლისაკენ არასანქციონირებულ სვლაში გადაიზარდა, რასაც შედეგად ორგანიზატორის დაპატიმრება მოჰყვა ხელისუფლების ძალისმიერი გზით შეცვლის მოწოდებების ბრალდებით.

2001 წლის ზამთარში თითქმის ყველა წამყვან პოლიტიკურ პარტიაში მიმდინარე დეზინტეგრაციული პროცესების ხარჯზე, პრეზიდენტის გუნდის ძალაუფლება კიდევ უფრო განმტკიცდა. პარლამენტში შეინიშნებოდა წვრილი სადეპუტატო გაერთიანებების (3-10 კაციანი) წარმოქნისა და დაშლის პროცესი, რომლებიც ცდილობდნენ რაც შეიძლება ხელსაყრელ პირობებში გაეყიდათ საკუთარი ხმები.

ამგვარად, 2001 წლის გაზაფხულისათვის სომხეთში პრაქტიკულად საპრეზიდენტო რესპუბლიკა ჩამოყალიბდა მთავრობის განსაზღვრული პოლიტიკური შესაძლებლობებითა და უუნარო პარლამენტით.

ამ სიტუაციამ ხელისუფლებას საშუალება მისცა ნაირ უნანიანის ჯგუფის სასამართლო პროცესი 15 თებერვლისთვის დაენიშნა, ამასთან, სასამართლოს დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ქოჩარიანმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას ქვეყნის გენერალური პროკურორის თანამდებობიდან დათხოვნის შესახებ. ოპოზიციის ვარაუდები სკანდალურობაზე კი ჯერჯერობით არ გამართლდა, პროცესი დაწყებისთანავე რუტინული გახდა. მიუხედავად ამისა, დანაშაულის შესაძლო შემკვეთთა საქმე ჯერაც არ დახურულა და ნებისმიერ მომენტში შესაძლებელია ეჭვმიტანილთა დასახელება, რამაც შესაძლოა სერიოზული გავლენა იქონიოს არა მარტო გარკვეულ პიროვნებებზე, არამედ ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე.

მიმდინარე წელს სომხეთში განხორციელდა რიგი სახელისუფლებო ცვლილებები. სომხეთის თავდაცვის მინისტრის სერჟ სარქისიანის განცხადებით, უკანასკნელი ექვსი თვის მანძილზე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნა თავდაცვის სამინისტროს საერთო საჯარისო ნაწილის მეთაურთა 20%. გათავისუფლების მიზეზად მათდამი დაქვემდებარებულ ნაწილებში დიდი რაოდენობით სამართალდარღვევები დასახელდა. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სამხედრო ნაწილებში მსგავსი ფაქტების რეგისტრირებისა და აღმოფხვრისათვის. სარქისიანმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ამ ექვსი თვის განმავლობაში ჯარში სიკვდილიანობის რიცხვი 2000 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 10%-ით შემცირდა, ხოლო ხულიგნობის რიცხვი 80%-ით გაიზარდა. ეს ნახტომი მინისტრმა ახსნა არა დანაშაულებათა რაოდენობის გაზრდით, არამედ ყველა ამ შემთხვევის დაფიქსირებით.

7 ივლისს სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ანდრანიკ მარქარიანმა სახელმწიფო შემოსავლების, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სამინისტროების და საბაჟო კომიტეტის თანამშრომლებს წარმოუდგინა საკადრო ცვლილებების შედეგად ამ დაწესებულებების ახალი ხელმძღვანელები. სახელმწიფო შემოსავლების მინისტრად დაინიშნა ე. ზაქარიანი, კავშირგაბმულობის და ტრანსპორტის მინისტრად ა. მანუკიანი, საბაჟო კომიტეტის ხელმძღვანელად კი ა. ავეტისიანი. ამას გარდა, ეკოლოგიის მინისტრად დაინიშნა პარტია „დაშნაკცუტიუნ“-ის წევრი, ეროვნული კრების წარმომადგენელი, მაჟორიტარი დეპუტატი მართუნ მათევოსიანი. აღსანიშნავია, რომ სომხეთის რევოლუციური პარტია კიდევ ერთ პორტფელს (ქალაქის დაგეგმარების მინისტრი) ფლობს მთავრობაში.

23 მაისს პრეზიდენტისადმი ოპოზიციურად განწყობილი სახალხო პარტიის ინიციატივით და ეროვნული კრების გადაწყვეტილებით სომხეთში შეიქმნა დროებითი სადეპუტატო კომისია, რომლის მიზანია ტერაქტში ბრალდებულთა მიმართ შესაძლო კანონდარღვევების გამოაშკარავება. კომისიის შემადგენლობაშია:

➢ ფრაქცია „ერთობა“ - 2 დეპუტატი (გრიგორ არუთუნიანი და სტეპან ზაქარიანი) სახალხო

პარტიიდან და ერთი - სუკიას ავეთისიანი რესპუბლიკური პარტიიდან;

➢ „კანონი და თანხმობა“ - ნაპოლეონ აზიზიანი;

➢ ფრაქცია „ორინაც ერკირი“ - გეგამ გასპარიანი;

➢ ფრაქცია „დაშნაკცუტიუნი“ - კიმ ბალაიანი;

➢ კომუნისტური პარტია - ხორენ სარქისიანი;

➢ ფრაქცია ეროვნულ-დემოკრატიული კავშირი - ფილარიტ ბერიკიანი;

➢ სადეპუტატო ჯგუფი „სტაბილურობა“ - აკოპ აკოპიანი;

➢ სადეპუტატო ჯგუფი „აიასტანი“ - გუკას ულიხანიანი;

➢ სადეპუტატო ჯგუფი „სახალხო დეპუტატები“ - ვაჰან გრიგორიანი;

➢ დამოუკიდებელი დეპუტატი - გაგიკ კოსტანდიანი.

სომხეთში სტაბილურობის მიღწევამდე, მთიან ყარაბაღში მშვიდობის დამყარება პრაქტიკულად შეუძლებელია. მიმდინარე პერიოდში ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების პროცესი, რომელიც გაზაფხულზე აქტიურ ფაზაში შევიდა, კვლავ ჩიხში მოექცა. 2000 წელს ქოჩარიანის და ალიევის შეხვედრა რამდენჯერმე შედგა დსთ-ს სამიტის ფარგლებში. 2001 წელს კი განახლდა მოლაპარაკების პროცესი. შუამავლების როლში ეუთო-ს მინსკის ჯგუფის ხელმძღვანელობის ნაცვლად, გამოვიდნენ დასავლეთის სახელმწიფოების პირველი პირები. იანვრის ბოლოს პარიზში ჟაკ შირაქის ინიციატივით და ხელმძღვანელობით გაიმართა სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების შეხვედრა, მოლაპარაკებების მეორე რაუნდი კი 3-5 მარტს შედგა. 3-7 აპრილს თეთრი სახლის ინიციატივით მოლაპარაკების შემდეგი ტური გაიმართა აშშ-ში, ქი-უესტში, რომელსაც აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი თავმჯდომარეობდა.

სომხეთის ყოფილი პრეზიდენტის ლევონ ტერ-პეტროსიანის გადაყენების და პარლამენტის შენობაში განხორციელებული ტერაქტის შემდეგ, მხარეები მესამედ მიუახლოვდნენ სამშვიდობო შეთანხმებას, მაგრამ უშედეგო აღმოჩნდა სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების შეხვედრა პარიზში, ფლორიდის შტატსა და მინსკში. ამას გარდა, გაურკვეველი ვადით გადაიდო ივნისის შუა რიცხვებში დაგეგმილი ჟენევის შეხვედრა, ხოლო რუსეთისა და აშშ-ს პრეზიდენტების შეხვედრა ლუბლიანაში, რომელზეც კონფლიქტის მოწესრიგების თვალსაზრისით დიდ იმედებს ამყარებდნენ, ნაკლებშედეგიანი აღმოჩნდა. ამას მოწმობს, როგორც ერევნისა და ბაქოს ოფიციალური წარმომადგენლების, ასევე ეუთო-ს მინსკის ჯგუფის რუსი, ამერიკელი და ფრანგი დიპლომატების განცხადებები. ივნისის ბოლოს ამ უკანასკნელთა შეხვედრა მალტაზე პრაქტიკულად ზედაპირული ფრაზებით შემოიფარგლებოდა, რამაც საბოლოოდ დაარწმუნა მხარეები მინსკის ჯგუფის უუნარობაში კონფლიქტის დარეგულირების საქმეში. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მიმომხილველები მოლაპარაკებების გადატანას გავლენიან სახელმწიფოთა პირველ პირთა ხელში ძალთა გადანაწილებას უკავშირებენ და არა მოლაპარაკების პროცესის ახალი ეტაპის დაწყებას.

სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებს შორის დაგეგმილი შეხვედრა იქნება უკანასკნელი, რომელიც დაკავშირებული იქნება ყარაბაღის პრობლემის მშვიდობაიანი გზით მოგვარებასთან. აღნიშნული შეხვედრისათვის სომხეთის მთავრობაში მზადდება ხელშეკრულების ორი ვარიანტი, რომლებიც ეყრდნობა პრობლემის მოგვარების ორ სავარაუდო პრინციპს:

1. აზერბაიჯანის მხრიდან მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარება;

2. ტერიტორიების გაცვლის პრინციპი, კერძოდ მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის დატოვება სომხეთის შემადგენლობაში და ამასთანავე აზერბაიჯანისათვის აღდამის, ფიზულის, გორადისის, ჯებრაილის, მეგრის და აგარაკის რაიონების გადაცემა.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების მეორე ვარიანტი მიუღებელია მთიანი ყარაბაღის ხელმძღვანელობისათვის, რაზეც ოფიციალურად იყო განცხადებული მთიანი ყარაბაღის თავდაცვის საბჭოზე სახელმწოფო ეროვნული უშიშროების სამმართველოს უფროსის გენერალ-მაიორ დ. ოგანიანის და ყარაბაღის თავდაცვის მინისტრის გენერალ-ლეიტენანტ სეირან ოგანიანის მხრიდან. მათი აზრით, მეორე ვარიანტით ხელშეკრულების გაფორმება ნახიჩევანის გზის და ლაჩინის მთავარი დერეფანის გახსნას ნიშნავს და საბრძოლო მოქმედებების განახლების შემთხვევაში, აზერბაიჯანს მიეცემა შესაძლებლობა განახორციელოს შეიარაღებული ძალების სწრაფი გადასროლა და მანევრირება.

ამას გარდა, სომხეთის სამხედრო-პოლიტიკურ წრეების ზოგიერთი წარმომადგენელი ავრცელებს აზრს, რომ ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების შემთხვევაში ამიერკავკასიაში შეიქმნება ახალი დაძაბულობის კერები სადაო ტერიტორიების გამო, კერძოდ საქართველო-აზერბაიჯანსა და საქართველო-სომხეთს შორის, რაც მათი აზრით მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს არ უნდა აწყობდეს ყარაბაღის პრობლემის მოგვარება. ამასთანავე, სომხეთის ხელისუფლებაში აშკარა გაღიზიანებას იწვევს საქართველოს მჭიდრო კავშირები თურქეთსა და აშშ-სთან და გაურკვეველი პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან.





**სამხედრო-პოლიტიკური ვითარება**

მიმდინარე წელი სომხეთში გამოირჩეოდა ოფიციალური ერევნის მზარდი საგარეო პოლიტიკური აქტიურობით და სომხური დიპლომატიის ე.წ. რუსული და დასავლური ბერკეტების გააქტიურებით.

რუსული ვექტორის გაძლიერება აშკარად გამოიხატა უკანასკნელ პერიოდში მოსკოვისა და ერევნის მიერ ორმხრივი სამხედრო-სტრატეგიული თანამშრომლობის გაძლიერებისა და გაფართოების მიზნით განხორციელებული ღონისძიებებით. მხარეებმა დაიწყეს თურქეთ-სომხეთის და ირან-სომხეთის საზღვრის ერთობლივი ჰაერსაწინააღმდეგო დაცვა და ოფიციალურად განაცხადეს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების სისტემის ფარგლებში სომხურ-რუსული გაერთიანებული სამხედრო დაჯგუფების შექმნის შესახებ.

მაისის დასაწყისში ოფიციალურად ამუშავდა რუსეთ-სომხეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ერთობლივი ავტომატური სისტემა, რომელიც რეგულარულად გადასცემს თურქეთის და ირანის ჩრდილოეთ ტერიტორიების და სამხრეთ კავკასიის საჰაერო სივრცის შესახებ ინფორმაციას მოსკოვში.

მიმდინარე წლის მაისში ერევანში გაიმართა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა კოლექტიური უსაფრთხოების საბჭოს სესია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის და სომხეთის პრეზიდენტებმა. ამასთანავე, პირველად შედგა ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრთა, აგრეთვე უშიშროების საბჭოს მდივანთა სხდომა. ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მეთაურებმა მიიღეს დოკუმენტთა პაკეტი ცენტრალურ აზიაში მრავალეროვნული სწრაფი რეაგირების კოლექტიური ძალების შექმნის შესახებ, შემუშავდა აღნიშნული ძალების ჩამოყალიბების კონკრეტული გეგმა და შტაბის რუქები.

შეხვედრაზე აგრეთვე ხელი მოეწერა ოქმს კოლექტიური უსაფრთხოების რეგიონალური ძალებისა და საშუალებების ფორმირებისა და ფუნქციონირების წესის შესახებ. სულ დსთ-ს სამხედრო სტრუქტურის ფარგლებში შეიქმნება სამი დაჯგუფება: აღმოსავლეთ ევროპის (რუსეთ-ბელორუსიის თანამშრომლობის ბაზაზე), კავკასიის (რუსეთი და სომხეთი) და უკვე აღნიშნული - ცენტრალური აზიის (რუსეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი და ყირგიზეთი). ამ უკანასკნელის მართვა ბიშკეკიდან განხორციელდება, რაც განპირობებულია იმით, რომ ისლამისტი ბოევიკების აგრესიის მთავარ ობიექტს ყირგიზეთი და უზბეკეთი წარმოადგენენ. სავარაუდოდ, სწრაფი რეაგირების კოლექტიური ძალების შექმნა მხოლოდ ყაზახეთისთვის და, გარკვეულწილად, სომხეთისთვისაცაა განკუთვნილი, რადგანაც ყირგიზეთი და ტაჯიკეთი ალიანსის არამონაწილე ქვეყანასთან - უზბეკეთთან ერთად დიდი ხანია ჩაბმულია ავღანურ კონფლიქტში.

რუსეთი ყველანაირად ცდილობს ხელშეკრულებაში მონაწილეობაზე დსთ-ს სხვა სახელმწიფოებიც მიიზიდოს, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ სწორედ ერევანში შეხვედრის წინა დღეს რუსეთის მთავრობამ მოიწონა ფედერალური კანონის პროექტი 1992 წლის 15 მაისის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების მონაწილე ქვეყანათა სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობის გაღრმავებას. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებზე იარაღი გაიყიდება შედარებით დაბალ ფასებში და დაბეგვრის გარეშე, კერძოდ აღნიშნული სახელმწიფოები რუსულ იარაღს იმავე ფასში შეიძენენ, როგორშიც თვით რუსეთის არმია, რაც, თავის მხრივ, რუსეთს დაეხმარება ნატო-სა და აშშ-ს კონკურენცია გაუწიოს იარაღის ბაზარზე დსთ-ს სივრცეში. ამას გარდა, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები გარკვეული შეღავათებით ისარგებლებენ რუსეთთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის სფეროში, სამხედრო კადრების მომზადებაში და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლაში. აღნიშნული შეღავათები სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის ორ კონცეფციაში აისახა, რომელთა საფუძველზე კონკრეტულ სახელმწიფოებთან ჩამოყალიბდება თანამშრომლობის გრძელვადიანი პროგრამები. ეს კონცეფციები გულისხმობს სამხედრო-ტექნიკურ სფეროში თანამშრომლობის კონკრეტული გეგმების შემუშავებას, მათ შორის იარაღზე ფასების პოლიტიკაშიც. რუსეთის პრეზიდენტის ვლ. პუტინის განცხადებით, ახალი რეგიონალური გავლენის ცენტრების და უსაფრთხოების ახალი სისტემების ფორმირების, აგრეთვე სამხედრო-პოლიტიკურ ძალთა ბალანსის ახლებური გადანაწილების პირობებში, აუცილებელია ამ პროცესებზე ზემოქმედებისთვის გარკვეული ბერკეტების ფლობა, რის როლსაც აღნიშნული კონცეფციები შეასრულებენ.

სავარაუდოა, რომ ზემოაღნიშნული სამხედრო-ტექნიკური შეღავათები ნაკლებად მოახდენს გავლენას იმ სახელმწიფოთა პოლიტიკაზე კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებასთან მიმართებაში ვისთვისაც უშუალოდ არის განკუთვნილი, კერძოდ, ამგვარი შეღავათებით რუსეთი ცდილობს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებაში ახალი წევრების მიღებას, რასაც ჯერჯერობით პერსპექტივა არ გააჩნია.

შეხვედრაზე კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ხელმძღვანელების მიერ ხელი მოეწერა განცხა-

დებას, რომლის თანახმად ამ სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები პრიორიტეტულ ხასიათს ატარებენ იმ მესამე სახელმწიფოთა მიმართებაში, რომლებიც ხელშეკრულებაში არ შედიან, ასევე ხელი მოეწერა მემორანდუმს ხელშეკრულების ეფექტურობის ამაღლების და მისი თანამედროვე გეოპოლიტიკურ სიტუაციასთან ადაპტაციის შესახებ.

ოფიციალური ბაქო უკმაყოფილებას გამოთქვამს სამხედრო ბლოკის შექმნის მიზნით სომხეთში იარაღის კონცენტრირებასთან დაკავშირებით, რაც საფრთხეს შეუქმნის აზერბაიჯანს. აღნიშნულს აძლიერებს სომხეთში კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების წარმომადგენლის იური ჩანჩურიანის განცხადება, რომლის მიხედვითაც ახლახანს შექმნილი სომხურ-რუსული ერთობლივი დაჯგუფება დაფუძნებულია პირველ რიგში სომხეთ-რუსეთის ორმხრივ სამხედრო-სტრატეგიულ ურთიერთობებზე. ფაქტიურად სომხეთი არ მალავს, რომ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას განიხილავს ორი ქვეყნის სტრატეგიული თანამშრომლობის კიდევ ერთ დადასტურებად. ამას გარდა, თუ აქამდე კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების მონაწილე თითოეული სახელმწიფო დანარჩენისაგან დახმარებას მიიღებდნენ უცხოური აგრესიის შემთხვევაში, რომელშიც დსთ-ს ქვეყნები არ იგულისხმებოდნენ, დღესდღეობით კონკრეტულად დაფიქსირებულია ერთობლივი დაცვა ხელშეკრულების არამონაწილე ნებისმიერი დსთ-ს წევრი-სახელმწიფოების მხრიდან აგრესიის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ჯარების სომხეთში ყოფნის პირობები მეტად ხელსაყრელია რუსეთისთვის. გიუმრის სამხედრო ბაზის ხარჯების 30%-ს სომხეთი თავის თავზე იღებს, რუსეთი არ იხდის იჯარის გადასახადს, რადგანაც მიწა და უძრავი ქონება 25 წლის ვადით უსასყიდლოდ გადავიდა რუსეთის სარგებლობაში, მოხსნილია გადასახადები სხვა უძრავ ქონებაზეც და აღნიშნული ბაზა შეტანილია იმ განსაკუთრებული ობიექტების სიაში, რომელთაც მუდმივად მიეწოდებათ ელექტროენერგია.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბოლო პერიოდში სომხეთსა და რუსეთს შორის სტრატეგიული ხელშეკრულების საფუძველზე, აქტიურად მიმდინარეობს სომხეთისა და სომხეთში განლაგებული რუსული სამხედრო ქვედანაყოფების (აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტერიტორიებზე განლაგებული მუდმივ მზადყოფნაში მყოფი სომხეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების გარდა) გადაჯგუფება, იარაღითა და საბრძოლო მასალით მათი მომარაგება, აგრეთვე ერთობლივი მცირე მასშტაბის სამხედრო მანევრების განხორციელება და მათი გადაყვანა გაძლიერებულ საბრძოლო მზადყოფნაზე.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში არსებული სომხური დიასპორის მიერ გამოყოფილია 1,5 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის თანხა სომხეთისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად, რომელიც ძირითადად მოხმარდება სომხეთის შეიარაღებული ძალების ფორმირებას და მოდერნიზაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სომხეთის შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე ღონისძიებები აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების შეხვედრის მსვლელობაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით ხორციელდება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ვერ მოხერხდება ყარაბაღის პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარება სომხეთს სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ეყოლება საკუთარი შეიარაღებული ძალები და მზად იქნება საბრძოლო მოქმედებების წარმოებისათვის.





# ნეიტრალიტეტი - [illegible] ალტერნატივა?

■ ნუგზარ დურმიშიძე

ეროვნული უსაფრთხოება ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია დღევანდელ პოლიტიკაში და იგი არა მარტო სამხედრო, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ და იდეოლოგიურ სფეროებსაც მოიცავს, ვინაიდან დროთა ცვლის შესაბამისად იცვლება საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ყოფის, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ფორმები, შინაარსი და კრიტერიუმები, აზროვნებისა და ცხოვრების წესი. XXI საუკუნის მსოფლიო ისეთი აღარ იქნება, როგორიც გასულ საუკუნეში იყო, უფრო ადრინდელ ეპოქებზე რომ არაფერი ვთქვათ. აგრესია დღეს მრავალმხრივი და მრავალგვარი შეიძლება იყოს, მხოლოდ სამხედრო ფაქტორით არ შემოიფარგლება. როგორ უნდა შეიქმნას უსაფრთხოების ისეთი მყარი, საიმედო და ყოვლისმომცველი სისტემა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, მშვიდობისა და კეთილდღეობის გარანტი იქნება სამომავლოდ? ამისათვის ეროვნული უსაფრთხოების ოპტიმალური კონცეფციის შემუშავება აუცილებელია, რაშიც პირველხარისხოვან როლს ასრულებს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციისა და ქვეყნის საერთაშორისო სტატუსის განსაზღვრა. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით დღევანდელ საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში სამი ძირითადი ვარიანტი ფიგურირებს:

1. ორიენტაცია დასავლეთზე - ინტეგრირება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში;
2. ორიენტაცია რუსეთზე, ანუ რუსეთთან სტრატეგული პარტნიორობა;
3. ნეიტრალიტეტი, ანუ მიუმხრობლობა, უარის თქმა ომებში მონაწილეობასა და ნებისმიერ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში გაწევრიანებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად გამოითქმის წინადადებები და მოსაზრებები ნეიტრალიტეტის სასარგებლოდ. წინამდებარე წერილის მიზანსაც ამ საკითხზე შეჩერება და მისი შეძლებისდაგვარი განხილვა შეადგენს.

სიტყვა - „ნეიტრალიტეტი" ლათინური წარმოშობისაა (neuter) და პირდაპირი თარგმანით ნიშნავს „არც ერთი და არც მეორე". პოლიტიკური განმარტებით კი იგი ასახავს ომში არამონაწილე სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივ მდგომარეობას.

ნეიტრალიტეტს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. მას სხვადასხვა დროს მრავალი სახელმწიფო მიმართავდა, უმთავრესად პატარა ქვეყნები; დიდი და ძლიერი სახელმწიფოსათვის ნეიტრალიტეტი მიუღებელი და მიზანშეუწონელიც კია, რადგან მას არ შეიძლება არ ჰქონდეს თავის შესაძლებლობათა შესაბამისი სტრატეგიული ინტერესები და ამბიციები, თუ გლობალური არა, რეგიონული მასშტაბის მაინც. პატარა ქვეყანას კი საკუთარი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარდა, სხვა ინტერესები არ გააჩნია.

ნეიტრალიტეტი შეიძლება იყოს მუდმივი და დროებითი, როდესაც ესა თუ ის სახელმწიფო თავს იკავებს რომელიმე კონკრეტულ ომში მონაწილეობისაგან. ამის მაგალითად გამოდგება ესპანეთი მეორე მსოფლიო ომის დროს. თვით მუდმივი ნეიტრალიტეტის „ფორმატებს" შორისაც არის სხვაობა. მაგალითად, ავსტრია და შვედეთი თავიანთ ნეიტრალიტეტს ახორციელებენ ძირითადად სამხედრო თვალსაზრისით და ასევე, ევროკავშირის წევრები არიან. შვიცარიის ნეიტრალიტეტი კი საყოველთაოა და სამხედროს გარდა წმინდა პოლიტიკურ ურთიერთობებსაც მოიცავს. შვეიცარია, რომელმაც 1313 წლის ნოემბერში გამოაცხადა მკაცრი და მუდმივი ნეიტრალიტეტი, ხოლო 1815 წლის მარტში მას ეს დაუმტკიცა ვენის კონგრესმა (დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ავსტრია, პრუსია, შვედეთი), დღემდე არცერთი საერთაშორისო ორგანიზაციის, გაეროს წევრიც კი არ არის იმ მოტივით, რომ ამ მსოფლიო ფორუმზე ვინმეს ან რაიმეს მიმართ თავის მხარდამჭერი ან საწინააღმდეგო პოზიციის დაფიქსირება ნეიტრალიტეტის დარღვევის პრეცენდენტს შექმნის. ნეიტრალიტეტს უდაოდ ბევრი დადებათი მხარე აქვს. იგი ქვეყნის მშვიდობიან განვითარებასა და ტერიტორიულ ხელშეუხებლობას განაპირობებს, მაგრამ ასე ვთქვათ, „ასპროცენტიან" გარანტიას მაინც ვერ იძლევა. გარემოებათა საბედისწერო დამთხვევაც არ არის გამორიცხული; ხშირად ყველაფერი ამა ქვეყნის ძლიერთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ისტორიული ფაქტების მოხმობაც არ გაგვიჭირდება:

ბელგიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა 1830 წელს. 1831 წელს კი ლონდონის კონფერენციამ (დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, რუსეთის და

პრუსიის მონაწილეობით) მას მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსი განუსაზღვრა, რასაც ხელი არ შეუშლია გერმანიისთვის პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას უხეშად დაერღვია ბელგიის ნეიტრალიტეტი და ამ ქვეყნის ოკუპაცია მოეხდინა. ამ „მწარე გამოცდილების“ გათვალისწინებით ბელგიამ 1920 წელს სამხედრო კავშირი შეკრა საფრანგეთთან, როგორც გამარჯვებულ სახელმწიფოსთან. თუმცა ვერც ამან უშველა და მეორე მსოფლიო ომის დროს კვლავ ოკუპირებულ იქნა, ამჯერად უკვე ფაშისტური გერმანიის მიერ. მისმა „მფარველმა“ საფრანგეთმაც იგივე ბედი გაიზიარა. ვერც ნეიტრალური ავსტრია გადაურჩა 1938 წელს ჰიტლერულ „ანშლუზს“. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბელგიამ საბოლოოდ თქვა უარი „საშიშ ექსპერიმენტებზე“ და ჩრდილოატლანტიკურ სახელშეკრულებო ორგანიზაციაში (ნატო) გაწევრიანდა, რაც, ალბათ, ყველაზე გონივრული ნაბიჯი იყო. ხოლო ავსტრიამ 1955 წელს ისევ ნეიტრალიტეტი აირჩია, რასაც დღემდე რაიმე საფრთხე არ დამუქრებია და ვიმედოვნებთ, არც დაემუქრება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს „არჩევანი“ გამარჯვებული სახელმწიფოების (განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის) მხრიდან მძლავრი ზეწოლის შედეგიც იყო.

როგორც ვხედავთ, ნეიტრალიტეტი მხოლოდ მრავალმხრივი (სახელმწიფოთაშორისი) შეთანხმებით, კონსენსუსით არის შესაძლებელი. იგი არ არის მხოლოდ იმ ქვეყნის გადასაწყვეტი, რომელიც ასეთ არჩევანს აკეთებს. მისი ნეიტრალური სტატუსი მისაღები უნდა იყოს როგორც მეზობელი ქვეყნებისათვის, ისე იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც პრაქტიკურად მსოფლიო პოლიტიკას განსაზღვრავენ და სრული საერთაშორისო მხარდაჭერით უნდა სარგებლობდეს. ისიც აღსანიშნავია, რომ ნეიტრალიტეტი მრავალი სიკეთის გარდა, გარკვეულწილად, თვითიზოლაციის ელემენტებსაც შეიცავს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. შედარებით გაძნელებულია სრულფასოვანი ინტეგრირება საერთაშორისო და რეგიონალურ ეკონომიკურ და სამართლებრივ სისტემაში. თვით შვეიცარია, ეს „მარადიული ზავის“ ქვეყანა, უკვე ცდილობს რამდენადმე გადახედოს თავის „ორთოდოქსული ნეიტრალიტეტის“ პრინციპებს და უფრო ინტენსიური საერთოევროპული ინტეგრაციისაკენ გადადგას ნაბიჯი, რაც უდაოდ მომგებიანი იქნება თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით. გარდა ამისა, არ შეიძლება ყველა ქვეყანას ერთი განზომილებით მიუდგე; ყოველ მათგანს ღრმად ინდივიდუალური თავისებურებანი ახასიათებს, რაც განპირობებულია გეოპოლიტიკური მდებარეობით, ისტორიული გამოცდილებით, ერის მენტალიტეტითა და საერთაშორისო ვითარებით მოცემულ მომენტში. ამასთან დაკავშირებით გვინდა შედარებით დეტალურად განვიხილოთ საქართველოს ზემოთ აღნიშნული სამი შესაძლო გზა (ნეიტრალიტეტი, სტრატეგიული პარტნიორობა რუსეთთან და ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სისტემაში) ეროვნულ უსაფრთხოებასთან მიმართებაში თითოეული მათგანის პერსპექტიულობის თვალსაზრისით.

თუ საქართველოს ხანგძლივ ისტორიას თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ იგი ყოველთვის ნაკლებ საფუძველს იძლეოდა ისეთი „ფუფუნებისათვის“, როგორიცაა ნეიტრალიტეტი. ამის მიზეზი უპირველესად, ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური პოზიცია გახლდათ. კავასია - დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზაშესაყარი, დიდი სტრატეგიული მნიშნელობის რეგიონი იყო მუდამ და არის დღესაც. აქ ტრადიციულად ეჯახება ერთმანეთს მსოფლიოს „გიგანტების“ ინტერესები. არც გარემომცველი სივრცე გვიწყობდა ხელს. კავკასიის ორ პატარა, ქრისტიანულ ქვეყანას - საქართველოს და სომხეთს თითქმის ყოველი მხრიდან მტრული ისლამური სახელმწიფოები და წარმართული ტომები შემოსაზღვრავდნენ. ბიზანტია იყო ერთადერთი გზა საქრისტიანოსაკენ, თუმცა მასაც არანაკლები იმპერიული ამბიციები ამოძრავებდა ჩვენს მიმართ. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში საქართველო ნეიტრალური ვერ დარჩებოდა. XII საუკუნის ძლიერი საქართველო აქტიურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა, იგი თვითონ აკონტროლებდა მთელ რეგიონს და მას უბრალოდ არც „შეეფერებოდა“ ნეიტრალიტეტი. XV საუკუნეში „ბიზანტიური დერეფანიც“ დაგვეხშო კონსტანტინოპოლის თურქების მიერ დაპყრობის გამო, ხოლო ჩრდილოკავკასიელ ხალხთა დიდი ნაწილის გამუსულმანების შემდეგ საერთოდ, სრულ ბლოკადაში აღმოვჩნდით. ასეთ პირობებში, ალბათ, ნეიტრალიტეტზე ფიქრიც კი არასერიოზულობა იქნებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული პოლიტიკური აზრი, ტრადიციულად, ევროპაზე იყო ორიენტირებული, მაგრამ როდესაც ქართველ მეფე-მთავართა არაერთგზისმა მცდელობამ, როგორმე მიექციათ „განათლებული დასავლეთის“ ყურადღება და არსებითი დახმარება მიეღოთ, შედეგი არ მოიტანა (ევროპის სტრატეგიული ინტერესები ჯერ კიდევ არ ვრცელდებოდა „შორეულ კავკასიაზე“), საბოლოოდ არჩევანი შეჩერდა დიდ ჩრდილოელ მეზობელზე - მართლმადიდებელ რუსეთზე. 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დადებული ცნობილი „გეორგიევსკის ტრაქტატი“ იყო ხელშეკრულება პროტექტორატის, მფარველობის შესახებ. იმდროინდელი საქართველოს მესვეურებს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდათ თუ რას წარმოადგენდა სინამდვილეში „მესამე რომი“, მაგრამ ჩათვალეს, რომ იგი მაინც უფრო „მცირე ბოროტება“ იქნებოდა მოსისხლე სპარსეთთან და ოსმალეთთან შედარებით (ასე „დიდი და მცირე ბოროტების“ გარკვევაში ვართ დღემდე), თან იმედოვნებდნენ, რომ პეტრესა და ეკატერინეს ძალისხმევით „გაევროპელებული“ რუსეთი გზას





გაუხსნიდა ჩვენს ქვეყანას „ნამდვილი ევროპისაკენ“. ყველას მოეხსენება, თუ რით დამთავრდა რუსეთის „ერთმორწმუნე მფარველობა“ საქართველოსთვის.

საქართველოს 1918-21 წლების პირველი რესპუბლიკა შეეცადა ნეიტრალური პოლიტიკის გატარებას, მაგრამ ეს ხომ აშკარად არარეალური, უტოპიური ოცნება იყო ბოლშევიკური რუსეთისა და რევოლუციურ-ქემალისტური თურქეთის გარემოცვაში (გავიხსენოთ ე.წ. ყარსის ხელშეკრულება) და დასავლეთის მხრიდან სრული იგნორირების პირობებში. ნეიტრალიტეტი კი არა, დამოუკიდებლობაც ვერ შევინარჩუნეთ. თუმცა მაშინდელმა მთავრობამ ის მაინც მოახერხა, რომ საქართველოს ე.წ. გასაბჭოება ერთგვარად არაქმედითუნარიანი გაეხადა იურიდიული თვალსაზრისით. 1921 წლის თებერვლის ორკვირიანი ომით მან დააფიქსირა ქვეყნის წინააღმდეგობა ბოლშევიკური რუსეთისადმი, ხოლო შემდეგ ისე დატოვა ქვეყანა, რომ არც კაპიტულაციის აქტზე მოუწერია ხელი და არც საბჭოთა ხელისუფლება ულიარებია; აქედან გამომდინარე კი საბჭოთა საქართველოს არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი და მისმის მიერ მიღებული ყოველი გადაწყვეტილება უკანონოდ, ანტიკონსტიტუციურად ჩაითვლებოდა, ხოლო საქართველოს „სოვეტიზაცია“ სხვა არაფერი იყო, თუ არა რუსეთის მიერ მეზობელი ქვეყნის მიმართ აგრესია და ოკუპაცია შემდგომი იძულებითი ინკორპორაციით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში (არავითარ კომუნისტურ აჯანყებასა და წითელი არმიის დასახმარებლად მოხმობას რომ ადგილი არ ჰქონია, ამას თვით ქართველ ბოლშევიკთა ლიდერებიც არ უარყოფდნენ). ამაზე მეტის გაკეთება იმ დროისათვის, პირველი რესპუბლიკის მთავრობას არ შეეძლო, რადგან არც საერთაშორისო ვითარება „მუშაობდა“ ჩვენს სასარგებლოდ.

წარსულის ამ შეძლებისდაგვარად მოკლე მიმოხილვიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ნეიტრალიტეტის ისტორიული გამოცდილება და საფუძველი არ გააჩნია. სახელმწიფოებრივი არსებობის ეს ფორმა აბსოლუტურად უცხოა მისთვის.

საყურადღებოა, რომ ნეიტრალიტეტის აქტიურ მომხრეებად პოლიტიკური სპექტრის ის წარმომადგენლები გვევლინებიან, რომლებიც ადრე რუსეთზე „სწორებისაკენ“ მოგვიწოდებდნენ დაბეჯითებით. ნეიტრალიტეტს ისინი რუსეთის სტრატეგიული პარტნიორობისა და მოკავშირეობის (ჩათვალეთ სატელიტობის) ალტერნატივად გვთავაზობენ, თორემ დასავლურ ორიენტაციაზე საუბარიც კი არ სურთ. ეს ვარიანტი a priori მიუღებელია მათთვის. ორთოდოქსი რუსოფილებისაგან განსხვავებით მათი ფორმულა ასე ჟღერს: თუ რუსეთთან კავშირი არა, ნეიტრალიტეტი მაინც, რადგან ეს უფრო ნაკლებად გაალიზიანებს ჩრდილოელ მეზობელს, ამას უფრო შეეგუება და აიტანს, ვიდრე ნატოს სამხედრო ბაზების განლაგებას საქართველოში (საკითხავია ვინ რას „ალაგებს“, ან ვინ სად „გვეპატიჟება“ ). ეკონომიკურ ურთიერთობებში კი ცხადია, პრიორიტეტი რუსეთს ენიჭება. ეს მოსაზრება გამაგრებულია მტკიცე არგუმენტებით: ისტორიული კავშირები და ტრადიციები, ერთად ყოფნისა და მეგობრობის (რეალურად „უფროს-უმცროსობის“) დიდი გამოცდილება, ერთმორწმუნეობა, აქედან გამომდინარე, ცივილიზაციური სიახლოვე, აგრეთვე ის, რომ დსთ-ს ქვეყნების პროდუქცია დასავლეთის ბაზარზე ვერ არის, და კიდევ დიდხანს ვერ იქნება, კონკურენტუნარიანი, ერთმანეთთან კი რეალიზაციის პრობლემა არა გვაქვს და ა.შ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, რა თქმა უნდა სავსებით გასაგებია. უფრო მეტიც: სხვა სიტუაციაში არავინ იქნებოდა რუსეთთან სტრატეგიულ პარტნიორობის, არათუ „პრორუსული ნეიტრალიტეტის წინააღმდეგი“. მაგრამ ეს ქვეყანა, როგორც ჩანს, ჯერ ვერ თავისუფლდება და ალბათ კიდევ დიდხანს ვერ გათავისუფლდება იმპერიული ამბიციების, „დიადი წარსულის“ ნოსტალგიისა და რევანშისტული ვნებებისაგან და არა მარტო საქართველოსთან მიმართებაში. არც უხეში ზემოქმედების მეთოდებზე და ეკონომიკური ბერკეტების პოლიტიკური ზეწოლისათვის გამოყენებაზე იტყვის უარს, არც აფხაზეთით და ცხინვალის რეგიონით სპეკულირებას და არც სამხედრო ბაზებით ვაჭრობას დაანებებს თავს. მართალია, რუსეთის ამჟამინდნელი პრეზიდენტი, ვ. პუტინი თავის წინამორბედებთან შედარებით უფრო პრაგმატული და რეალისტური პოლიტიკის გატარებას ცდილობს, მაგრამ ძნელი საფიქრებელია, ამ ეტაპზე მაინც, შეცვალოს ყოფილი „გუბერნიებისადმი“ ტრადიციული დამოკიდებულება. რუსეთს არ სჭირდება მეგობარი სახელმწიფოები საქართველოს ან სხვა რომელიმე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის სახით; მას მორჩილი ქვეშერდომები და მარიონეტები სჭირდება, სიტყვაშეუბრუნებლად რომ შეუსრულებენ ნებისმიერ კაპრიზს. ოფიციალური მოსკოვისათვის მნიშვნელობა არა აქვს თუ როგორი იქნება მისი ყოფილი სამფლობელოების განწყობილება და ორიენტაცია, პრორუსული თუ პროდასავლური, მას თვით ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობა ვერ მოუნელებია; ყველაფრის თავი და თავიც სწორედ ეს არის. რუსულ-ქართულ ურთიერთობათა ორასი წლის ისტორია და პოსტსაბჭოური ათი წლის პრაქტიკა სწორედ ამაზე მეტყველებს. თუმცა კრემლი იმასაც გრძნობს, რომ საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე წარმოქმნილი ახალი სახელმწიფოების სრული რეანექსია არც ისე იოლი საქმეა, როგორც ამ 80 წლის წინ იყო. სხვა დროა, სხვა საერთაშორისო ვითარებაა და ბევრ რამეს უნდა გაეწიოს ანგარიში. რუსეთი „ცივ ომში“ დამარცხებული ქვეყანაა. მისი ეკონომიკური და სამხედრო

პოტენციალი ველარ არის ადრინდელ დონეზე, აღარც ისეთი პოლიტიკური გავლენა აქვს „დანარჩენ“ მსოფლიოზე, ზესახელმწიფოობის პერიოდში რომ ჰქონდა; თუ დასავლეთზე მის ფინანსურ დამოკიდებულებასაც გავითვალისწინებთ, რუსეთი უკიდურეს შემთხვევაში შეეგუება ყოფილი რესპუბლიკების ოფიციალურ დამოუკიდებლობას და საერთაშორისო სამართლის სუბიექტობას, ოღონდ თავისი ეგიდით და „პატრონაჟით“, რომ იმგვარად მაინც გააკონტროლოს ისინი, როგორც თავის დროზე აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებს აკონტროლებდა. თუ რას მივიღებთ აქედან, ამას ხსენებული ქვეყნების მწარე გამოცდილებაც მოწმობს.

ამრიგად, რუსეთზე ორიენტაციის აღება არათუ არახელსაყრელია ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ საშიშიცაა და დიდ რისკთან არის დაკავშირებული. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ჩვენი საუბრის თემას - ნეიტრალიტეტს.

როდესაც ქართველი „ნეიტრალისტები“ თავიანთი არგუმენტების „ცოცხალი მაგალითებით“ განმტკიცებას ცდილობენ, ხელს, როგორც წესი იშვერენ თურქმენეთისაკენ და გვეუბნებიან, რომ თუ ამ პატარა აზიურ ქვეყანას, ისეთივე პოსტსაბჭოურ სახელმწიფოს, როგორიც საქართველოა, შეუძლია იყოს ნეიტრალური, ჩვენთვის რატომ არის მიუღებელი? იმიტომ, რომ თურქმენეთისა და საქართველოს შედარება არ შეიძლება არც ერთი პარამეტრით. ამ ორი ქვეყნის გეოპოლიტიკურ პოზიციას საერთო არაფერი აქვს. თურქმენეთი ცენტრალური აზიის უკიდურეს სამხრეთში მდებარეობს, არ ესაზღვრება რუსეთს და სტრატეგიულად არც ისე მნიშვნელოვანია, როგორც საქართველო, რომელიც ნატო-ს (თურქეთი) და რუსეთს მიჯნავს ერთმანეთისაგან და მოსკოვისათვის დიდად სასურველი იქნებოდა თუ მას საკუთარი გავლენის სფეროში იხილავდა. საქართველოს რეალური ნეიტრალიტეტით ალბათ არც სომხეთი იქნება დაინტერესებული, რადგან იგი რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია და საქართველოს ნეიტრალიტეტი გარკვეულად შეზღუდავდა კომუნიკაციას მასთან, განსაკუთრებით „სტრატეგიული საქონლის“ გადაზიდვების თვალსაზრისით (როგორც ცნობილია, სომხეთს რუსეთთან არა აქვს საერთო სახმელეთო საზღვარი და დღეისათვის, ფაქტობრივად, ამ ორი ქვეყნის ერთადერთი დამაკავშირებელი გზა, აზერბაიჯანთან კონფლიქტური მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოზე გადის), გასათვალისწინებელია აგრეთვე დასავლეთის, პირველ რიგში კი აშშ-ს გაზრდილი ინტერესი სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ. თურქმენეთს არც ტერიტორიები დაუკარგავს, არც სეპარატიზმის საფრთხე ემუქრება, არც შიდაპოლიტიკური კონფლიქტები სტანჯავს და არც აზრთა პლურალიზმით იწუხებს მაინცდამაინც თავს. იგი ერთ-ერთი ყველაზე მშვიდი და სტაბილური ქვეყანაა მსოფლიოში; იქ, ფაქტობრივად, წმინდა აღმოსავლური აბსოლუტიზმი მეფობს. თურქმენეთი თავისუფალია ყოველგვარი საგარეო ვალებისაგან, რომელიც ხშირ შემთხვევაში ზემოქმედების ბერკეტად იქცევა ხოლმე; პირიქით, სხვებს (მ.შ. საქართველოსაც) მართებთ მისი ვალი; თურქმენეთი გაზითა და ნავთობით მდიდარი ქვეყანაა, ენერგორესურსების ექსპორტიორი და ამდენად მისი პოლიტიკური ნეიტრალიტეტი ბევრის ინტერესებში შედის. ეს აწყობს რუსეთსაც, ამერიკასაც, ცენტრალური აზიის რეგიონის სახელმწიფოებსაც და ირანსაც, რომელთაც არანაირი პრეტენზიები თავისი „პატარა მეზობლის“ მიმართ, არ გააჩნიათ. თურქმენეთი დსთ-ს არც ერთ სამხედრო, პოლიტიკურ და სამართლებრივ შეთანხმებაში არ მონაწილეობს. და თუ მაინც რჩება ამ ორგანიზაციის ფორმალურ წევრად, მხოლოდ იმისთვის, რომ, როგორც თვითონ აცხადებს, დსთ-ს ქვეყნებთან ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები შეინარჩუნოს; უფრო რეალურად კი ამას ალბათ რუსეთის ინტერესების გათვალისწინება განაპირობებს, რაც არა მგონია, ძალიან დიდი დათმობა იყოს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, იქნებ ვიკითხოთ: შესაძლებელია საქართველოში თურქმენული ნეიტრალიტეტის განხორციელება? ეს რიტორიკული კათხვაა, რომელიც პასუხს არ მიითხოვს.

ისტორიამ ზოგი ისეთი ფაქტიც შემოგვინახა, რომელსაც პირობითად შეიძლება „იძულებითი ნეიტრალიტეტი“ ეწოდოს. ამის კლასიკური მაგალითია „ცივი ომის“ დროინდელი ფინეთი. ვფიქრობ, ამ საინტერესო ფენომენზე, რომელიც დასავლურ პოლიტიკურ ლექსიკაში „ფინლანდიზაციის“ სახელითაა ცნობილი, ღირს ცოტა უფრო დეტალურად შეჩერება, რადგან შეიძლება კონტრარგუმენტად გამოდგეს „ნეიტრალისტებთან“ დისკუსიაში. საქმე ის გახლავთ, რომ ნეიტრალისტები, მეტი დამაჯერებლობისათვის, ხშირად „აზიური“ და პოსტსაბჭოური თურქმენეთის გარდა „ევროპული“ ფინეთის გამოცდილებასაც იშველიებენ, რომელსაც საუკეთესო, მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობები ჰქონდა რუსეთთან, ამავე დროს არც „მშობლიურ“ ევროპას მოწყდა და კომუნისტურ დიქტატურასაც გადაურჩა. ვნახოთ რამდენად შეუვალია ეს არგუმენტი.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან 1918 წლამდე ფინეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი დამპყრობილი ქვეყნისადმი არ ყოფილა რომანოვების მონარქია ისეთი ლოიალური, როგორიც ფინეთის მიმართ იყო. რუსეთი, რომელიც თავს ევროპულ სახელმწიფოდ თვლიდა, ძალიან უფრთხილდებოდა საკუთარ იმიჯს „განათლებული დასავლეთის“ წინაშე და ცდილობდა თავის ევროპულ სამფლობელოებში ნაკლებად კოლონიური, უფრო „რბილი“ და ცივილიზებული პოლიტიკა გაეტარებინა, ვიდრე „ველურ





აღმოსავლეთში“, უფრო მეტი თავისუფლება და თვითმმართველობა მიეცა მათთვის. მაგრამ ფინეთი ამ ფონზეც გამოირჩეოდა. ეს ალბათ თვით ხალხის აზროვნების წესით და მენტალიტეტით იყო განპირობებული. თუ მაგალითად, პოლონელები არასდროს შეეგუებიან დამოუკიდებლობის დაკარგვას და ყველა შესაძლო საშუალებით, მათ შორის შეიარაღებული გზითაც იბრძოდნენ მის დასაბრუნებლად, რითაც მეტროპოლიის გულისწყრომასა და მკაცრ სადამსჯელო სანქციებს იმსახურებდნენ, ფინელები, ეს დინჯი და გაწონასწორებული ჩრდილოელები უფრო „გონივრულად“ იქცეოდნენ. ისინი ცდილობდნენ არსებულ ვითარებაში შესაძლებლის მაქსიმუმი გაეკეთებინათ, გამოეყენებინათ იმპერიის მიერ მინიჭებული ფართო ავტონომიური უფლებები თავისი ქვეყნის ყოველმხრივ განსავითარებლად და ეროვნული თვითშეგნების განსამტკიცებლად, რასაც უნდა ითქვას, დიდი წარმატებითაც ართმევდნენ თავს. ყოველივე ამას ისინი სავსებით მშვიდობიანად, ვითარების გამწვავებისა და ექსცესების გარეშე ახერხებდნენ. პეტერბურგის კეთილგანწყობასაც ფინელების მიმართ ეს განსაზღვრავდა.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ლენინმა ფინეთს დამოუკიდებლობა მიანიჭა, თუმცა ვერც ეს ახალშობილი სახელმწიფო ასცდა სამოქალაქო ომს. მასაც მისწვდა მთელ იმპერიაში მობობოქრე რევოლუციური ტალღა. იქაც „თეთრები“ და „წითლები“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, მაგრამ რუსეთისაგან განსხვავებით ფინეთში სამოქალაქო ომი „თეთრების“ გამარჯვებით დამთავრდა და ქვეყანა დემოკრატიული განვითარების გზას დაადგა.

1939 წელს, საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის შემდგარი გარიგების შედეგად, რომელიც რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტად მოიხსენიება, ევროპა, ასე ვთქვათ, გადანაწილდა ორ „დრაკონს“ შორის. ფინეთი ბალტიის ქვეყნებთან ერთად სსრკ-ს „ერგო“. როგორც ცნობილია, რუსეთმა უპრობლემოდ მოახდინა ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ოკუპაცია და ანექსია, ფინეთი კი სასწაულებრივად გადაურჩა იმევე ბედის გაზიარებას. 1940 წლის ზამთარში ფინელებმა, რომ იტყვიან, შეუძლებელი შეძლეს და წითელი არმიის ტოტალური შეტევა მოიგერიეს. რუსეთმა მხოლოდ სამხრეთ კარელიისა და ვიბორგის მიტაცება შეძლო, ქვეყნის სიღრმეში შეჭრისა და დედაქალაქზე იერიშის განხორციელების საშუალება კი არ მიეცა. საერთაშორისო მდგომარეობა ხანგძლივი ლოკალური ომის წარმოების უფლებას არ იძლეოდა; დღითიდღე მწვავდებოდა ურთიერთობა გერმანიასთან; ასეთ ვითარებაში რუსეთი, რომელმაც ისედაც დიდი ზარალი და დანაკარგები განიცადი, მოერიდა კიდევ დამატებით მსხვერპლს და დათანხმდა საზავო მოლაპარაკებას. მისი მოგება მიზერული იყო: მხოლოდ განაპირა, სასაზღვრო ტერიტორიები. პატარა ფინეთი პირველი იყო, რომელმაც შეძლო საგრძნობლად შეერყია მითი წითელი არმიის უძლეველობის შესახებ.

ფინეთმა 1940 წლის „ზამთრის სასწაული“ 1944 წელს გაიმეორა, როდესაც გერმანიასთან ომში უკვე, ფაქტობრივად, გამარჯვებული საბჭოთა კავშირი (ეს არის განსაკუთრებით აღსანიშნავი), მეორედ შეეცადა ამ ქვეყნის დაპყრობას, იმ მოტივით, რომ მეორე მსოფლიო ომის პირველ წლებში ფინეთი იბრძოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და აგრეთვე მის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ გერმანული სამხედრო ნაწილები. მაგრამ ვერც ამჯერად შეძლო, კვლავ წააწყდა რა ფინური არმიის გადაულახავ წინააღმდეგობას. ფინელებმა რუსეთის აგრესიული მუხტის გასანეიტრალებლად გერმანული სამხედრო კონტინგენტისაგანაც გაწმინდეს თავიანთი ტერიტორია, როგორც ამას მოსკოვი მოითხოვდა (ორ ფრონტზე ბრძოლაც კი მოახერხეს! - ნ.დ.). ამის შედეგად, მოსკოვი იძულებული გახდა ზავი შეეკრა ფინეთთან ნეიტრალიტეტის პირობით. როგორც ცნობილია, სტალინმა აღფრთოვანება ვერ დაფარა ფინელთა საბრძოლო გმირობის გამო და აღნიშნა, რომ მხოლოდ ის სახემწიფო იმსახურებს პატივისცემას, რომელსაც ძლიერი არმია ჰყავს და შეუძლია თავი დაიცვას.

1948 წლის ხელშეკრულებით საბჭოთა კავშირმა ფინეთს თავს მოახვია იძულებითი ნეიტრალიტეტი, უფრო სწორედ ნეიტრალიტეტის „საბჭოური ვარიანტი“, რის მიხედვითაც ფინეთის საზოგადოებრივი წყობა და სახელმწიფო სისტემა არ იცვლებოდა, იგი რჩებოდა დემოკრატიულ ქვეყნად თავისუფალი ეკონომიკით, მაგრამ ვალდებული იყო ყველგან, ყველაფერში და ყოველთვის უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის ინტერესები გაეთვალებისწინებინა „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების“ შესახებ პაქტის თანახმად; მოსკოვის უბრალო კრიტიკის უფლებაც არ ჰქონდა. რუსეთის პოლიტიკური ზეწოლა თვით საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შედეგებზეც კი ახდენდა გავლენას. ხელისუფლებაში მხოლოდ პროსაბჭოურად განწყობილი პარტიები (ძირითადად სოციალ-დემოკრატიული პარტია, კომუნისტური მაინც „უხერხული“ იყო) უნდა ყოფილიყვნენ, ფინეთს არ უნდა „ემეგობრა“ საბჭოთა კავშირის „მტრებთან“ და ა.შ. და იქიდან დაწყებული, მთელი 40 წლის განმავლობაში, ე.შ.ნ. პაასიკივი-კეკონენის კურსი ამ შეთანხმებათა ერთგული მომსახურება იყო. რა შეიძლება ითქვას? ერთობ საინტერესო და „ორიგინალური“ ნეიტრალიტეტია. ფინელმა ხალხმა თავგანწირული, გმირული ბრძოლით შეინარჩუნა სახელმწიფოებრივი სუვერინიტეტი, დაიცვა ქვეყანა კომუნისტური ტირანიისაგან. რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ როდესაც ამა ქვეყნის ძლიერთა ჭიდილში მოხვდები, საკუთარი თავის გარდა არავის იმედი უნდა გქონდეს, მაგრამ ამის

სანაცვლოდ 40 წელი ითმენდა იძულებით ნეიტრალიტეტს. მისი საგარეოპოლიტიკური თავისუფლება პრაქტიკულად არაფრით განსხვავდებოდა აღმოსავლეთ ევროპის სატელიტი ქვეყნებისაგან.

ფინეთის მაგალითიდან გამომდინარე, როგორ მიესადაგება მისი გამოცდილება საქართველოს? ზემოთაც აღინიშნა, თუ რა ძნელი ასატანი იყო ფინეთისათვის რუსეთის მიერ თავსმოხვეული ნეიტრალიტეტი. მაგრამ დღევანდელი საქართველოს სავალალო მდგომარეობისა და რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით, თუ ნეიტრალიტეტს აირჩევს, „ფინური მოდული" ყველაზე უკეთესი შემთხვევა იქნება, რაც ნაკლებ მოსალოდნელია. ფინელებმა სისხლით შეინარჩუნეს დამოიუკიდებლობა და შეიძლება ითქვას, აიძულეს რუსეთი მათი ქვეყნის იძულებითი ნეიტრალიტეტით დაკმაყოფილებულიყო (როგორც ვხედავთ, აქ „ორმხრივ იძულებას" ჰქონია ადგილი - ნ.დ.) და ეს ყოველივე ერის მტკიცე ერთიანობითა და ურყევი ნებით, პირველხარისხოვანი, ბრძლისუნარიანი და უმაღლეს დონეზე მომზადებული არმიის წყალობით მოახერხა. ასე რომ არ ყოფილიყო, ფინეთი დღეს ჩვენსავით პოსტსაბჭოური, „ახალი" დამოუკიდებული სახელმწიფო იქნებოდა მთელი თავისი „მიმზიდველობით". ამჟამინდელ საქართველოსთან კი რუსეთს ბევრი საბოდიშო არაფერი აქვს. ძალიან საეჭვოა იძულებითი ნეიტრალიტეტისათვის მას საქართველოსთან ომი დაჭირდეს. თანაც ეს ნეიტრალიტეტი გაცილებათ მძიმე იქნება, ვიდრე ფინეთის შემთხვევაში.

რჩება ეროვნული უსაფრთხოების ერთადერთი, ჩემი აზრით, გამართლებული ალტერნატივა. ეს არის თანმიმდევრული პროდასავლური კურსი - ერთადერთი სტრატეგიული მიზნით: სრულყოფილი ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, გაწევრიაება ევროპის კავშირსა და ჩრდილოეთ ატლანტიკურ სახელშეკრულებო ორგანიზაციაში (ნატო). საბედნიეროდ, ასეთი მოსაზრება დღეს არავისათვისაა გასაკვირი და ასე ვთქვათ, „მაშოკირებელი". შეიძლება ვინმემ გაიზიაროს ან არ გაიზიაროს ეს თვალსაზრისი, დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს, მაგრამ უტოპიურად მას აღარავინ მიიჩნევს. ჯერ კიდევ 5-6 წლის წინ კი მსგავსი ვარიანტის ხმამაღლა გამოთქმას ან წერილობით დაფიქსირებას ყველა მოერიდებოდა იმის შიშით, რომ საზოგადოებას სულით ავადმყოფად არ ჩაითვალა.

ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაცია პანაცეად სულაც არ მიმაჩნია, რაიმე უკეთესი ალტერნატივა რომ არსებობდეს. ეს არც იდეა ფიქსი არ არის, არამედ ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო აუცილებლობიდან გამომდინარეობს. ყოველი შემთხვევისთვის, ხილულ მომავალში სხვა რეალური პერსპექტივა არ ჩანს.

ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესი ჯერ კიდევ 1992 წლიდან დაიწყო, როდესაც საქართველო გაწევრიანდა ეუთო-ში (ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) და ნაქს-ში (ჩრდილატლანტიკური პარტნიორობის საბჭო), 1993 წლის მაისიდან ბრიუსელში მოქმედებს საქართველოს საელჩო ბენილუქსის ქვეყნებში და მასთან არსებული საქართველოს სპეციალური მისია ნატო-ში. ძირითადად სწორედ ამ მისიის საშუალებით ხორციელდება საქართველოს მუდმივი და აქტიური თანამშრომლობა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან. 1994 წლიდან საქარტველო ეაპს-ის (ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო) და ნატო-ს პროგრამა - „პარტნიორობა მშვიდობისათვის" სრულუფლებიანი წევრია.

1994-95 წლებში, აფხაზეთის დაკარგვის, დსთ-ში იძულებით გაწევრიანების, რუსეთის მძლავრი პოლიტიკური ზეწოლისა და მისი სამხედრო ბაზების ჩვენს ტერიტორიაზე განლაგების შედეგად, საქართველოს „სვლა დასავლეთისკენ" რამდენადმე შეფერხდა, იკლო ურთიერთობათა ინტენსიობამ, მაგრამ მას შემდეგ, რაც დასავლეთი კასპიის (აზერბაიდჯანის და ყაზახეთის) ენერგორესურსებით, საქართველოს სატრანზიტო პოტენციალით, აქედან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიის რეგიონის სტაბილური განვითარებითა და უსაფრთხოებით დაინტერესდა, ჩვენს ქვეყანას კვლავ მიეცა ევროატლანტიკური პოლიტიკის გააქტიურების შესაძლებლობა. ამას გარკვეულწილად ხელი შეუწყო საქართველოს ხელისუფლების არაერთგზის მანიფესტირებულმა პროდასავლურმა კურსმაც, და არა მარტო დეკლარაციების დონეზე. საქართველო რეგულარულად მონაწილეობს ნატო-ს და მისი პარტნიორების ერთობრივ სამხედრო-სამშვიდობო წვრთნებში (უკანასკნელი წელს ფოთში ჩატარდა), საქართველოს მიერ გამოხატულმა ლოიალურმა პოზიციამ ბალკანეთში ნატოს სამხედრო ოპერაციისადმი რეგიონში მშვიდობის დამყარებისა და ძალადობის აღკვეთის მიზნით, რომელიც „მილენიუმის" სამიტზეც დაფიქსირდა 1999 წლის სექტემბერში, აგრეთვე ქართული კონტინგენტის გაგზავნამ კოსოვოს სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობას მისაღებად, უდაოდ დადებითად იმოქმედა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე.

1999 წლის იანვარში საქართველო მიიღეს ევროპის საბჭოს სრულუფლებიან წევრად, რაც კიდევ ერთი მნიშნელოვანი ნაბიჯია ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით. 1999 წლის დამლევს, ეუთო-ს სტამბულის სამიტზე, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე, რასაც ხელი მოაწერა რუსეთის მხარემაც. იმედის მომცემია, რომ ეს პროცესი უკვე დაიწყო.

ბოლო რამდენიმე წელიწადში, 90-ანი წლების პირველ ნახევართან შედარებით, რადიკალურად





შეიცვალა ნატო-ს დამოკიდებულება როგორც კერძოდ საქართველოსადმი, ისე საერთოდ, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც ალიანსმა აღმოსავლეთით გაფართოება დაიწყო. თუ ადრე ნატო და საერთოდ, დასავლეთი რუსეთს განიხილავდა ყოფილ საბჭოთა სივრცეში წესრიგისა და სტაბილურობის ერთადერთ გარანტად, იმედოვნებდა რა, რომ იგი აღარ გადაუხვევდა დემოკრატიის, სამართლიანობისა და დასავლეთთან ყოველისმომცველი, კონსტრუქციული თანამშრომლობის გზიდან, ცდილობდა მაქსიმალურად შეეკავებინა თავი რუსეთსა და დსთ-ს ქვეყნებს შორის ურთიერთობაში ჩარევისაგან, რათა უნებურად რევანშისტულ განწყობილებათა პროვოცირებისათვის არ შეეწყო ხელი, დღეს არსებითად ცვლის პრიორიტეტებს. ახლა უფრო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე (მ.შ. საქართველოზე - ნ.დ.), მათთან პარტნიორობის გაფართოებასა და გაღრმავებაზე კეთდება აქცენტი, რადგან ყველა დარწმუნდა, რომ რუსეთი კიდევ დიდხანს არ აპირებს საბოლოოდ თქვას უარი „ტრადიციული" საგარეო პოლიტიკის რეციდივებზე და ჰეგემონისტურ ამბიციებზე, ხოლო დსთ-ს ფარგლებში იგი სახელმწიფოთა შორის არსებული ისედაც სერიოზული პრობლემების, რეგიონული კონფლიქტებისა და სეპარატიზმის გამწვავებას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე მათ აღკვეთასა და მოწესრიგებას. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რუსეთთან მიზანმიმართული „მუშაობა" არ უნდა გაგრძელდეს. ყველას კარგად ესმის, რომ საერთოევროპული და მსოფლიო უსაფრთხოება და სტაბილურობა წარმოუდგენელია ყოფილი საბჭოთა სივრცის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარეშე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროკავშირი და ნატო საერთოდ, როგორც ასეთი, არ არის პანაცეა და უნივერსალური რეცეპტი. უკეთეს ვითარებაში სხვა ვარიანტებზე შეჩერებაც შეიძლებოდა. მაგალითად, მეტად სასურველი იქნებოდა კავკასიისათვის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნა, რომელშიც რეგიონის სახელმწიფოებთან და რუსეთთან ერთად მონაწილეობას მიიღებდნენ თურქეთი, ირანი, ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი. (3+3+2). ამ აზრმა სტამბულის სამიტზეც გაიჟღერა, მაგრამ სამწუხაროდ, ამჟამად ეს შესაძლებლობა ნაკლებად რეალურად გამოიყურება სავარაუდო მონაწილეთა შორის სერიოზული უთანხმოებებისა და რეგიონში რუსეთის დესტრუქციული პოლიტიკის გამო.

ამრიგად, ასეა თუ ისე, დღეს და უახლოეს მომავალში, საქართველოს უსაფრთხოებისათვის ერთადერთი გამართლებული გზა ევროპულ სტრუქტურებში სრულფასოვანი ინტეგრაცია და ნატო-ში გაწევრიანებაა, რაც თუ სამუდამოდ არა, საკმაოდ დიდი ხნით მაინც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის მყარ უსაფრთხოებასა და მშვიდობიან განვითარებას.

რაც შეეხება ნეიტრალიტეტს, ამ ისტორიულ ეტაპზე, ჩემი აზრით, იგი მიუღებელია საქართველოსთვის, რადგან ეს არჩევანი, რუსულ ფაქტორსაც რომ თავი დავანებოთ, გარკვეულწილად, თვითიზოლაციისაკენ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, რაც არავითარ სარგებლობას არ მოიტანს. შემდეგ კი ვნახოთ, შორეული მომავლის პროგნოზირება არავის ძალუძს. იცვლება დრო, იცვლება მსოფლიო, იცვლებიან ფასეულობანი. იქნებ ოდესმე ნეიტრალიტეტი სავსებით მისაღები და პრიორიტეტულიც კი გახდეს ქართული პოლიტიკისათვის, მაგრამ არა ამჟამად.

# საინფორმაციო გვერდი

➢ გატყობინოთ, რომ ამა წლის 25-28 ივნისს საქართველოს სტრატეგიუული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ინიციატივით გაიმართა ტრენინგი თემაზე:

## ინტერესთა დაცვა და ლობირება

ალნიშნულ ტრენინგს უძღვებოდა „პარტნიორები დემოკრატიული ცვლილებებისათვის - სლოვაკეთი" (Partners for Democratic Change Slovakia) - ორგანიზაციის წარმომადგენელი დუშან ონდრუშეკი. ამ ღონისძიებაში მონაწილოეობა მიიღეს საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებმა (საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი; პარტნიორები დემოკრატიული ცვლილებებისათვის - საქართველო; ქალები მომავლისათვის; გაეროს ასოციაცია; ელკანა). აღსანიშნავია, რომ ტრენინგში მონაწილე ორგანიზაციები შეირჩა შემდგომი მჭიდრო თანამშრომლობისა და ტრენინგში მიღებული გამოცდილების პრაქტიკაში ერთობლივი დანერგვის/ გამოყენების პრინციპით.



ტრენინგის მსვლელობისას მონაწილეებმა გადაწყვიტეს, დახმარება გაეწიათ იმერეთის რეგიონის „ბროწეულას" ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლისათვის.

## შვიდი არასამთავრობო ორგანიზაციის საქველმოქმედო ინიციატივა!!!

„ბროწეულას" ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლისათვის დახმარების გაწევის მიზნით პირველ ეტაპზე დაიგეგმა ინფორმაციის მოძიება და რეალური საჭიროებების გამოვლენა. ალნიშნული მიზნით საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის წარმომადგენლები ეწვიენ ბავშვთა სახლს. აღმოჩნდა, რომ მათ სჭირდებოდათ სასწავლო ლიტერატურა. ამ პრობლემის გადასაჭრელად შვიდმა არასამთავრობო ორგანიზაციამ:

*საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი*
*პარტნიორები დემოკრატიული ცვლილებებისათვის - საქართველო*
*ქალები მომავლისათვის*
*გაეროს ასოციაცია*
*კონფლიქტების და მოლაპარაკების საერთაშორისო ცენტრი*
*ელკანა*
*საქართველოს ქალთა კოალიცია*

შეაგროვა ფულადი სახსრები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სათამაშოები, ხოლო შეგროვებული თანხით, რომელმაც 850 ლარი შეადგინა, ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა რაოდენობისა და ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით, შეძენილ იქნა სასწავლო წიგნების კომპლექტები და I-II კლასებისათვის სასკოლო-საკანცელარიო ნივთები. ეს ყოველივე ამა წლის 4 სექტემბერს „ბროწეულას" ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს გადაეცათ.





Friedrich-Ebert-Stiftung Bibliothek Bonn



# საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი დაფუძნდა 1995 წლის ივლისში. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ, არასამთავრობო, არაპოლიტიკურ, არაკომერციულ ორგანიზაციას. მისი წევრები არიან სხვადასხვა სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, მდიდარი გამოცდილების მქონე სპეციალისტები, ასევე სტუდენტები და ახალგაზრდები, რომლებიც გამოცდილ თანამშრომლებთან ერთად მუშაობენ ცენტრისათვის პრიორიტეტულ პრობლემატიკაზე და თანამშრომლობენ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ცენტრი სხვა ტრადიციული ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, არ შემოიფარგლება მხოლოდ დამოუკიდებელი მკვლევარისა და დამკვირვებლის როლით და ცდილობს, გავლენა იქონიოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. ამ მიზნით ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს არა მარტო სამეცნიერო და არასამთავრობო, არამედ სამთავრობო ორგანიზაციებთანაც, რათა საერთო ძალისხმევით შემუშავდეს ჩვენს ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზები. ცენტრში დამუშავებული სტრატეგიული გეგმები საბოლოო სახეს მხოლოდ მრავალჯერადი საჯარო განხილვების შემდეგ ღებულობს, რაც უზრუნველყოფს ამ პროცესში ყველა დაინტერესებული პირისა თუ ორგანიზაციის მონაწილეობას.

ცენტრის რეგულარულ გამოცემებში - ბიულეტენებში გაშუქებული საკითხების ირგვლივ სისტემატურად ეწყობა განხილვა-სემინარები.

## ცენტრის პრიორიტეტული მიმართულებები:

➢ *საზოგადოება და დემოკრატია*
➢ *გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება*
➢ *საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება*
➢ *ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა*

## განხორციელებული პროექტები

- კანონპროექტი საქართველოს გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ; კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- კანონპროექტი საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ; კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ კონცეფციის შემუშავება;
- ეკონომიკური რეფორმები საქართველოში;
- ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება;
- თვითმმართველობა საზოგადოებრივ სამსახურში;
- შავი ზღვის არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის საერთაშორისო კონფერენციის მომზადება, ქსელის საქმიანობის პოპულარიზაცია;
- ცენტრის ინსტიტუციური განვითარება.

## ცენტრის დონორი ორგანიზაციები

1. ფრიდრიხ ებერტის ფონდი, გერმანია
2. ნიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარებისათვის, ჰოლანდია.
3. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო".

# ცენტრის მხარდამჭერები

❖ ცენტრის ინდივიდუალური „მხარდამჭერი“ მიიღებს ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით.

❖ ცენტრის პარტნიორები, სპონსორები და მხარდამჭერები მიიღებენ ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. კომპანიის/ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან მის წარმომადგენელს უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, კომპანიის/ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით, გარდა ამისა:

❖ ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის „პარტნიორისა“, კომპანიის შესახებ ინფორმაციას დაეთმობა ერთი გვერდი ბიულეტენში და მცირე მონაკვეთი ლიფლეტში. ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის „პარტნიორი“.

❖ ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის სპონსორისა, ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის სპონსორი.

❖ ცალეული ღონისძიების სპონსორი კომპანია ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ღონისძიების „სპონსორი“ და მისი ლოგო წარმოდგენილი იქნება ღონისძიებაზე ცენტრის ლოგოსთან ერთად.

## *საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მხარდამჭერები*

❖ კომპანია ზენიტ გამა ქონსალთინგი **(Zenith Gamma Consulting)**

**მხარდამჭერობით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ შეავსოთ თანდართული გამოკითხვის ბარათი და მოგვაწოდოთ ორგანიზაციის მისამართზე**

**ცენტრის საქმიანობით დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ.**
ქ.თბილისი 380094, გამსახურდიას ქ. №33ა, ბინა 22.
ტელ/ფაქსი: (995 32) 964124, 250711
ელექტრონული ფოსტა: csrdg@caucasus.net
http://www.csrdg.caucasus.net



## ინდივიდუალური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ მე მსურს გავხდე ცენტრის მხარდამჭერი და მზად ვარ გავიღო 100 ლარი, გთოვთ, დამიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ, გამომიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ მე არ ვარ დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭრით, გთხოვთ, ნუღარ დამიკავშირდებით.

ჩემი კოორდინატებია:

სახელი, გვარი, ______________________________

სამუშაო ადგილი ______________________________

თანამდებობა ______________________________

მისამართი ______________________________

ტელეფონი ______________________ ფაქსი ____________

## კოლექტიური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის პარტნიორი და მზად არის გაიღოს 5000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის სპონსორი და მზად არის გაიღოს 2000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის მხარდამჭერი და მზად არის გაიღოს 280 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს სპონსორობა გაუწიოს ცენტრის სხვადასხვა საჯარო ღონისძიებას, სემინარს ან კონფერენციას, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ გამოგვიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ ჩვენი კომპანია არ არის დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დაგვიკავშირდებით.

ჩვენი კომპანიის კოორდინატებია:

კომპანიის დასახელება ————————————————————

მისამართი ————————————————————————

ტელეფონი ———————————————— ფაქსი ——————

საკონტაქტო პირი ————————————————————
(სახელი, გვარი, თანამდებობა)

დაიბეჭდა შ.პ.ს. „კომპიუტერში"
ქ. თბილისი, კრწანისის ქუჩა №3